

თარგეანი ჯრიჯოლ ალაუბიანი

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1965

მთარგმნელისაგან

საუკუნეების განმავლობაში შუა ევროპის ხალხები გმინავდნენ ოსმალთა და ჰაბსბურგთა უღელქვეშ. მათი თავგანწირული ბრძოლა წარსულში მათ ბედქვეშ მყოფი ჩვენი ხალხისათვის კარგად იყო ცნობილი, მაგრამ ამ ხალხების ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მას შემდეგ გახდა საბჭოთა ადამიანებისათვის ახლობელი და ხელმისაწვდომი, რაც ამ ქვეყნებში ახალი დემოკრატიული წყობა დამყარდა.

ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან გაცხოველებულმა კულტურულმა ურთიერთობამ დღის წესრიგში დააყენა ევროპის ამ ხალხებისა და მრავალეროვანი საბჭოთა ქვეყნის ლიტერატურის მიღწევების ურთიერთგაცნობა. რუსულად ითარგმნა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ალბანეთის და იუგოსლავიის ლიტერატურის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი. ამ ქვეყნების ენებზე გამოიცა რუსი და სხვა საბჭოთა ხალხების კლასიკური და თანამედროვე ლიტერატურის ნიმუშები, გაფართოვდა ინტერესი საბჭოთა ხალხებისა და კერძოდ ქართული ლიტერატურისადმი. ი იედლიჩკამ (ჩეხოსლოვაკია) და ვ. კერნბახმა (რუმინეთი) თავიანთ მშობლიურ ენებზე თარგმნეს „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ლიტერატურის ზოგიერთი შედევრი.

ბუნებრივია, რომ ქართულ ენაზეც ითარგმნა და გამოიცა ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ენებიდან თარგმნილი არა ერთი წიგნი.

წინამდებარე კრებული სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია. მასში თავმოყრილია ჩემს მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი პოლონური, უნგრული, ჩეხური, რუმინული და ბულგარული კლასიკური პოეზიის ნიმუშები.

ამათგან ყველაზე ადრე ვთარგმნე უნგრეთის უდიდესი პოეტისა და ეროვნული გმირის შანდორ პეტეფის ლექსები. ამას მოჰყვა ქრ. ბოტევის, ი. ვაზოვის (ბულგარეთი, პოეტ ი. აბაშიძესთან ერთად) მ. ემინესკუს (რუმინეთი) ლექსთა წიგნების გამოცემა, და ა. მიცკევიჩის (პოლონეთი), იან ნერუდას (ჩეხოსლოვაკია) ცალკე ლექსების თარგმნა.

შუა ევროპის ხალხთა ამ დიდი პოეტების შემოქმედებაში ქართველმა მკითხველმა ბევრი რამ ჰპოვა, რითაც ისინი ჩვენი დიდი კლასიკოსების ილიასა და აკაკის პოეზიას ენათესავებიან.

სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა მათი პოეზიის არა მარტო მთავარი თემაა, არამედ ყველა ამ პოეტების სიცოცხლისა და შემოქმედების უმთავრესი მიზანია.

ზოგიერთი მათგანი (პეტეფი, ბოტევი) თავიანთი მგზნებარე ლექსებით ფეხზე აყენებდნენ მშობელ ხალხს ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავათაც გმირული სიკვდილით კვდებოდნენ ამ წმინდა ბრძოლებში როგორც ერის მედროშეები. სახალხო დემოკრატიული ქვეყნების უდიდესი პოეტების სწორედ ეს საერთო ნიშანი — ერის მედროშეობა დავუდეთ საფუძვლად მათი ლექსების ერთ კრებულში თავმოყრას.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

1798—1855

ოდა ახალგაზრდობისადმი

1

შორს უგულო ბრბო — ჩონჩხების ჯარი!
ახალგაზრდობავ, ფრთა მომეც შენი,
რომ მკვდარ ქვეყანას გავშორდე ფრენით.
შევაღო ნათელ სამოთხის კარი,
სადაც სულს ალხენს მზიური დარი
ვარდით, სურნელით და შუქის ფენით.
დაე, სიბერეს მოსწყდეს სხეული,
თავი მიწისკენ მძიმედ დახაროს.
და ჩააშტერდეს ბინდმორეული
თვალით სამყაროს.

ახალგაზრდობავ, ვით ცეცხლის ალი,
აფრინდი მაღლა, მზის სხივს მისდევდე.
ქვეყანას გზნებით მოავლე თვალი
კიდით კიდემდე.
დახედე დაბლა, დახედე წამით,
შემოხვევია მიწას ერთიან

წყვდიადი ღამის,
დაბლობებს მყრალნი წყალნი ერტყმიან.
იქ წყლის ცხოველი უხსენებელი,
როგორც ხომალდი, ლაღად მისცურავს,
მცირე არსებებს მისდევს გიჟურად
და წყალში სძირავს უშველებელი.

ხან ფსკერს გაეკვრის, ხან ზვირთს აჰყვება
და თითქო წყალი არც ეკარება,
ისე დასცურავს, არა სველდება,
მაგრამ უეცრად ქვას გაედება
და ბუშტის მსგავსად გაჰქრება უცებ,
ვინ მოიგონებს ავსა და უძღებს!

სიცოცხლის წყარო შენში სჩქეფს ჭარბად,
ახალგაზრდობავ, ჰე, სიყმაწვილევ!
იცოდე, სიტკბო მაშინ აქვს შარბათს,
თუ შენ ტკბილ სასმელს სხვაც ინაწილებს!

ჭაბუკო ძმებო, აღვსდგეთ, საერთო
ბრძოლა დავსახოთ ერთადერთ მხსნელად,
ერთი მიზნისკენ სწრაფვით ავენთოთ,
ბრძოლაში ვპოვოთ ძალა და შველა.
ის ბედნიერი იქნება დიდად,
ვისაც მახვილი განგმირავს მტერთა,
იგი სხვებისთვის დარჩება ხიდად,
აღვსდგეთ ბრძოლისთვის, შემოვკრბეთ ერთად.
წინ როდი გვიდევს გზა გამართული,
გზა გავიკაფოთ მტრის არ დანდობით,
ძალას — ძალით ვძლევთ ახალგაზრდულით,
სისუსტეს — ჩვენივ ახალგაზრდობით.
ის, ვინც ყრმობაში ახრჩობდა ჰიდრებს,
სიჭაბუკეში კენტავრს დაფლითავს,
იგი ჯოჯოხეთს მსხვერპლს განარიდებს
და შუბლს შეიმკობს მწვანე დაფნითა.

იქ მისწვდი, სადაც ვერ სწვდება თვალი,
დასძლიე, რასაც ვერ სძლევს გონება,
მაღლა აფრინდი არწივულ ძალით,
სადაც ელვები მკერდს ეკონება!
ხელს მივსცეთ ხელი, მთელს დედამიწას
გარს შემოვერტყათ ცოცხალი რკალით,
ფიქრით ვესწრაფოთ საერთო მიზანს,
გულში ღვიოდეს უქრობი ალი!
ახალ გზას გაჰყე, მოსწყდი ძველ ორბიტს,
სამყაროვ, შესძარ შენი ბურჯები,
ჩამოგეცლება სიძველის ობი,
და კვლავ სინორჩით გაიფურჩქნები.

ერთ დროს პლანეტა იყო შავბნელი,
ირგვლივ ეხვია ქაოსის ფარდა,
ღვთის ერთი სიტყვით: „იყავ ნათელი!“
ჩადგა ზღვის ღელვა და ქროლვა ქართა,
ცაზე განათდა მნათობთა ჯარი,
წყალს გამოეყო უეცრად მყარი.

და ჩვენც ხომ დღემდის ღამის-წყვდიადი
გვფარავს ჯერ კიდევ არ გაფანტული,
მაგრამ ბნელს დასძლევს ძალა დიადი,
სული ძლიერი, ახალგაზრდული.
ის სიყვარულის შვილი იქნება
და ძმობის ძუძუს რძით აღიზრდება.
მდინარე ყინულს ამსხვრევს თამამი,
შუქი შებმია ბნელს რამოდენა.
თავისუფლების რიჟრაჟს სალამი,
ხალხების მხსნელი მზის გამოჩენას!

ალბომში გ-ს

ბედნიერება აღარსად არი.
უბედურება ადრე მოვიდა,
უსასტიკესი დადგა ზამთარი
და ყვავილები გაქრნენ მოლიდან.

დაბნელებულა ჩემთვის სამყარო,
დარდით გავყურებ მინდვრებს თოვლიანს,
რომ მოგიტანო, რომ გაგახარო,
ერთი ყვავილიც ვერ მიპოვნია.

არ გაგიმხილო, არ მყოფნის ძალა,
აღარსად არის მწვანე ფურცელი,
ქვეყანა სრულად გამოიცვალა,
გული კი, გული, დარჩა უცვლელი.

ილია ჭავჭავაძე

(1834—1891)

მხოლოდ წინ

სიბნელე შავი და შემზარავი
არ გვაკრთობს, რადგან გრიგალმა გვზარდა.
ჩვენ მუხლს არ ვუყრით ქვეყნად არავის.
ჩვენი ხალხის და სამშობლოს გარდა.
ჩვენ მივუშვირეთ ქარიშხალს მკერდი,
როგორც შეჰფერის არწივის მართვებს,
რადგან ვიტვირთეთ სამშობლოს ბედი,
ამიტომ ბრძოლა და წინსვლა გვმართებს.

სამშობლო, ჩვენთვის მშობელი დედა,
წმინდაა, როგორც წყარო ანკარა,
თავისი ბედი მან თვითონ სჭედა
და ბევრჯერ ცეცხლში გამოატარა.
მას კვლავ გმირული სული აღელვებს.
თავისუფლებას ესწრაფვის ახლაც,
ხალხი დაცემულ გმირთა სახელებს
დროშად წაიღებს სულ წინ და მაღლა.

გვყავდნენ მამები, მტრების მსახვრელნი,
დღეს დრო და ჯერი დგება საჩვენო,
ჩვენი გმირობით, ჩვენი სახელით
ჩვენი სამშობლო ჩვენც დავამშვენოთ.
და რაკი აწმყო ღამეში კვნესის,
ჩვენთვის წარსულის ნათელიც კმარა,
ხომალდმა სწორი აიღო გეზი,
მაშ წინ, ავუშვათ აფრები ჩქარა!

შორს, ჩვენგან, ვინც კრთის მტრების წინაშე!
გულის სიმტკიცე გვქონდეს უცვლელი,
ფერსა და სურნელს ხომ დიდ წვიმაშიც
არ ჰკარგავს ხოლმე ვარდის ფურცელი.
წინ, წინ გავსწიოთ გაშლილ დროშებით,
არ შევიცვალოთ ბრძოლის გუნება,
დროის დინებას ნუ ჩამოვრჩებით,
რადგან განვლილი არ დაბრუნდება.

დღე მოსდევს ღამეს, ბნელს სდევს ნათელი,
მზე ყველგან ბრწყინავს თვალგასახარად,
აღსდექ, ბნელეთზე ხმალშემმართველი,
აღსდექ, ეპოქამ დაჰკრა ნაღარა.
აღსდექ, ამართე დროშა დახრილი,
წამით არ შესდგე გმირთა თაობავ,
წინ გაიკაფე გზები მახვილით,
ფრთები შეგასხას გამბედაობამ.

სულ წინ, არასდროს უკან დახევა,
სულის სიმტკიცე არის მთავარი,
მტრის დამარცხების ხმის დასარხევად
მცირე როდია ჩვენი მთა-ბარი.
და ჯარისკაცებს ჰპოვებს შესაფერს
ჰუსისტთა ჰიმნიც, რკინის მახვილიც,
ჩვენ იარაღად ვაქცევთ ყველაფერს,
წინ გაგვიძღვება სისხლის ძახილი.

ხომალდი უკან ნუ დაბრუნდება,
ამორჩეულ გეზს მიჰყვეს წინანდელს,
დავიცვათ იგი ცეცხლში უვნებლად,
რომ გამარჯვების მზეში ბრწყინავდეს.
და თუ გვეღირსა ჩეხებს დიდება,
თუ ჩვენც გაგვეღო კარი დიდების,
თუ მზით განათდა ჩვენი ქედებიც,
როგორც არ იცის ზღვამ დამშვიდება,
შენ, ჩემო ხალხო, ნუ დამშვიდდები,
მაინც წინ გასწი, ნუ შეჩერდები.

* * *

ბედო, თუ გინდა მაქციო ფერფლად,
თუ გსურს რომ მიწამ ადრე დამმარხოს,
თავისუფლებას შემწირე მსხვერპლად,
თავისუფლებას დიდს და სახალხოს.
მონურ სიცოცხლეს რა თავში ვიხლი,
მომკალ, გამყარე მშობელ ველ-მინდორს,
ღე, ჩემი გულის მხურვალე სისხლით
შენს ხელებს ცოდვა ჩამოეწმინდოს.
დე, ცრემლი მოსწყდეს დედის წამწამებს,
ჩემს სახლზე დადგეს კვამლი ღრუბლებად,
ოღონდ დაჩაგრულს, ოღონდ ნაწამებს
ჩემს ხალხს ეღირსოს თავისუფლება.
სატრფოსაც დავთმობ, მშვენებით სავსეს,
დავთმობ სიყვარულს, ამ დიდ ოცნებას,
ოღონდ ვიხილო სამშობლოს ცაზე
თავისუფლების გასხივოსნება.

* * *

ურიცხვ ვარსკვლავთა წარწერას კენტად
ცაზე სწერს შუქი გაუქრობელი:
„შენს თავზე მეტად, ყველაზე მეტად
გიყვარდეს შენი მხარე მშობელი“.
ალბათ, თვით მზესაც ეს შუქი ათბობს,
უმისოდ იქნებ არც ეტრიალოს,
ამ მიზნით იკრებს უთვალავ მნათობს
ვრცელ სამყაროში სახეტიალოდ.
არა სურვილი განზე განდგომის,
მარად ბრუნვაა ვარსკვლავთ ბუნება,
რადგანაც ბრუნავს ყველა ატომი
შშობელ მხარეში დასაბრუნებლად.

სიყვარული

თურმე კაცთა მოდგმის
ასეთია წერა:
გული ბოროტს დასძლევს,
მაგრამ ტრფობას ვერა!
ჩემო ხალხო, შენზე,
შენს მტრებს უთქვამთ ამბად:
თითქოს მტვრიან გზაზე
ამოსულხარ შამბად.
თითქო გაჩნდი ქვეყნად
უპატრონოდ, ობლად,
სამათხოვროდ, თითქოს
დაწანწალებ სოფლად.
თითქოს გზარდა მხოლოდ
შიმშილმა და სევდამ,
სიღატაკე იყო,
თითქოს შენი ღედა.
ვინც ჩაგივლის, იტყვის:
„ამ დაწყეველილს ხედავ?
დროზე მოკვდეს მაინც,
ეს ოხერი ნეტავ!“
მე ამ მითქმა-მოთქმას
ყურს არ ვუგდებ, არა,
ჩემო ხალხო, მინდა
შენთან ვიყო მარად.
ფრთაშესხმული შენსკენ
მოვიჩქარი, როგორც
სატრფოს ნახვას ჩქარობს
თექვსმეტი წლის გოგო,
მიჰქრის როგორც ჩიტი,

მოფართქალე გულით
და სიმღერა ასე
მღერის ხალხში თქმული:
„თვალს ჩავხედავ მაინც,
თუ გინდ ყინულს ჰგავდეს,
ხელს ჩავკიდებ მაინც
თუნდ შიგ გველი ჰყავდეს,
სატრფოს ტუჩებს ხარბად
დავეკრობი წამით,
თუ გინდ ბაგე მისი
სავსე იყოს შხამით.
სატრფოვ, ჩემს მკერდს მინდა
შევაწებო შენი,
თუ გინდ იყოს სავსე
საშინელი სენით!“
არა, ბოროტ ჭორთა
არა მჯერა, არა,
ბრწყინავს შენი ყელი
თეთრი თოვლის დარად.
წამებამ და ტანჯვამ
ვერ გაგტეხა, ვერა,
ბავშვობიდან მახსოვს
სევდიანი მზერა,
როცა ყმაწვილს შენზე
მიმღეროდა დედა,
ჩიტის გულის მსგავსად
ჩემი გული ძგერდა.
ვერ შეგცვალა ტანჯვამ,
ისეთს გხედავ ცხადად,
როგორც დედის ნანამ
ოცნებაში გხატა.
იმ სიმღერის ხმები,
ჩემო ტკბილო დედავ,
ნეტავ სულ არ შესწყდეს,

ხულ ისმოდეს ნეტავ,
ვინ მიყვარდეს ქვეყნად,
თუმც ბევრია ხალხი,
ვუხმობ ისევ დედას,
ვით პატარა ბალღი.
მაგრამ დედა ჩემს ცრემლს
ვაჰ, რომ ვეღარ ხედავს, —
შავი მიწა ფარავს
უძვირფასეს ცხედარს.
დამეკარგა სატრფოც,
მასაც ფარავს მიწა,
დარდისაგან გული,
თითქოს ლოდად იქცა,
ავიტანე ყველა.
მაგრამ ერთი მჯერა,
სამშობლოსგან გაყრას
ვერ გავუძლებ, ვერა!

ეკატერინ ჯაფარიძე

(1823—1849)

ჩემი საუკეთესო ლექსი

ჩემს ლექსებს შორის ერთს ვარჩევ ყველას,
მე ის მომიტანს სახელ-დიდებას,
ლექსი, რომელიც ჩვენს ჯალათ ვენას
შურისძიებად წაეკიდება.

ო, სიტყვა „სიკვდილს“ ჩემი მახვილი
ასი მტრის გულში აღბეჭდავს ასჯერ!
და ეს იქნება ლექსი ნამდვილი,
ლექსი, რომელსაც ოდესმე დავსწერ.

ვარდი ხარ?

ვარდი ხარ? ვარდის რტოდ ვიქცე მინდა,
ნამი ხარ? ვარდად ვიქცევი უცებ,
რომ ეფრქვეოდეს ცის ნამი წმინდა
ტრფობით ალეწილ ჩემს წითელ ფურცლებს.

ცა ხარ? ვარსკვლავად ვიქცევი კენტად.
ჯოჯოხეთი ხარ, ჩემო ლამაზო?
ჩავიდენ ცოდვას, ჩამოვალ შენთან,
რომ სული ჩემი შემოგთავაზო.

საამო ღამე

საამო ღამე! ბაღის სურნელი
გვხიბლავს ძვირფასო, ტკბილსასურველო,
სიჩუმე. სადღაც ძაღლი წკავწკავებს,
ცა ჰყვავის მშვიდი,
თეთრდება ბინდი,
კაშკაში გააქვთ ცაზე ვარსკვლავებს.

მე ვიქნებოდი ვარსკვლავი ცუდი,
ვერ დავდგებოდი უშენოდ წუთით
ცაზე, თუნდ იყოს კალმით ნახატიც!
განმარტოებით
ცას დავტოვებდი
და ყოველ ღამე შენ მოგნახავდი.

ზორიდან

დიდი დუნაის პირად
პატარა სახლი არი,
მე თავზე მეტად მიყვარს
მისი ეზო და კარი.

მომაგონდება ხშირად
სარკმელში შუქი მკრთალი,
წამწამზე ცრემლი ბრწყინავს,
ცრემლით მევსება თვალი.

მე ახლა ვნანობ, სახლი
რატომ დავტოვე დედის...
ასე არ ფიქრობს კაცი,
როცა მომავალს ელტვის.

მაშინ ჩემს ლტოლვას ჰქონდა
ფრთები ძლიერი ორბის,
იმ ფრთებს გავყევი შორს და
სახლი დავტოვე მშობლის.

გულში დაენთო ცეცხლი,
თვალში ჩაუდგა სევდა,
გამოთხოვების წუთში,
როცა დავკოცნე დედა.

ის მწუხარების ცეცხლი,
გულს მოდებული ალი,
მას ვერ ჩაუქრო ცრემლმა,
თუმცა ცრემლს ღვრიდა თვალი.

მეეედრებოდა დედა,
გულში მიკრავდა თრთოლვით,
მისი ხვეწნა და ცრემლი
ვერ მაჩერებდა ლტოლვილს.

ო, რომ მცოდნოდა მაშინ
ქვეყნის კარგი და ცუდი,
ჩემს აცრემლებულ დედას
არ დავტოვებდი წუთით.

მაგრამ ცხოვრების რიჟრაჟს
რა სდევს იმედის გარდა,
მთელი ქვეყანა მაშინ
ჰყვავის იად და ვარდად.

და მხოლოდ მაშინ ვხვდებით,
როს ცხოვრებაში შევალთ,
რა გულუბრყვილოდ ვეკრეტდით
იმ იმედების მწვერვალთ.

მეც მომავლის ფიქრს ვსდევდი,
მეც რწმენა მქონდა ბალღის,
გამქრალ იმედთა წყება
აწ მოგონებად არ ღირს.

რაც ვხეტიალობ ქვეყნად,
დიდი დროც არის ეგებ,
წამების გზაზე მხოლოდ
ეკალი მიჩხვლეტს ფეხებს.

ჩემი კუთხისკენ ახლა
მიმავალ მგზავრებს ვხედავ,
შენს სანუგეშოდ რა ვქნა,
რა დავაბარო, დედავ!

სახლიკაცებო, როცა
მის სახლს გაუვლით ახლო,
გთხოვთ, უსათუოდ ჩემი
მოხუცი დედა ნახოთ.

უთხარით, ჩემზე ნუ სწუხს,
ნუ გაუტყდება ძილი,
ნუ შეშფოთდება, რადგან
ბედნიერი ჰყავს შვილი.

უბედურება ჩემი
არ გაუმხილოთ დედას,
მას რომ სიმართლე უთხრათ,
ვერ გადურჩება ელდას.

ჩემი საფლავი

მე რომ მოვკვდები, ჩემს საფლავს, ალბათ,
ვერც კი შენიშნავს უცხო მნახველი,
ძლივს დაინახავს პატარა დაფას
ზედ წარწერილი ჩემი სახელით.

მაგრამ ეს ჯავრი ცივ ქვად რომ იქცეს,
ჯავრი, რომელიც გულს მიჩხვლეტს ეკლით —
ცად ატყორცნილი გაჰკვეთდა სივრცეს
პირამიდებზე მაღალი ძეგლი.

ღრუბელი და ვარსკვლავი

როცა მოწყენით კაცს ქმნიდა ღმერთი,
მრისხანე იყო, შუბლშეჭმუხვნილი,
ღვთის მოწყენისგან ღრუბელი გაჩნდა,
ღვთის რისხვისაგან — ჭექა-ქუხილი.

ქალს სიხარულის ცრემლებით ქმნიდა
ღმერთი, არ გრძნობდა ქვეყნის სიმძიმეს,
იმ ცრემლებისგან ვარსკვლავი გაჩნდა
და ყოველ ღამე ცაზე ციმციმებს.

შ ე ვ ს ვ ა თ

ვისაც არ ჰყავს გულის ვარდი,
ღვინო შესვას ფერად ლალი,
დაიჯერებს, რომ ნამდვილად
მისთვის კვდება ყველა ქალი.

ღვინო შესვას, ბლომად შესვას,
ვისაც არ აქვს ორი გროში,
მას თავისი ეგონება,
რაც ოქროა მსოფლიოში.

ვისაც დარდი არ ასვენებს,
ღვინო სვას და დათვრეს ხელად,
ღვინო წუხილს დაავიწყებს,
ღვინო შეიქმს უდარდელად.

სატრფო არ მყავს, ფული არ მაქვს,
დარდი მაქვს და რაც ვარ, ეს ვარ,
ამიტომაც სხვაზე მეტი,
სამჯერ მეტი უნდა შევსვა.

ყ ა ნ ჩ ა

სხვადასხვაგვარი არის ფრინველი, სხვადასხვაგვარად
უყვართ ყოველი,
ზოგს ურჩევნია ჩიტი ლამაზი, ზოგს მოყღურტულე,
ზოგს მგალობელი.

ჩემი რჩეული არ სტვენს საამოდ, ჭრელი ბუმბულიც
გარს არ ავლია,
ისიც ჩემსავით არის უბრალო, ალაგ თეთრია,
ალაგ შავია.

მე ყანჩა მიყვარს, თუმცა არ გალობს, არც ფარავს ბეწვის
უცხო ქათიბი,
უნგრეთის ტურფა დაბლობის მკვიდრი, ალფელდის მკვიდრი,
ჩემებრ ღარიბი.

ერთად ვიზარდეთ, მიტომ თუ მიყვარს, ერთად შევედით
სიჭაბუკეში,
მე რომ აკვანში ავტირდებოდი, ის დამძახოდა
ციდან ნუგეშით.

ჩემს ბავშვობაში დინჯი ვიყავი, მიყვარდა მარტო
გავლა ტრამალში,
როცა ტოლები ჯოგს მოდენიდნენ, არ ვერთობოდი
მათთან თამაშით.

ლაქაშის ზვინებს სულგანაბული ვეფარებოდი
და დაჟინებით
ვუცქერდი, როგორ ცდილობდნენ ფრენას ყანჩის ბარტყები
პაწაწინები.

და ერთი ფიქრი, ფიქრი მუდმივი, არ მშორდებოდა
არასდროს არსად:
რატომ ჩვენც ფრთები არ დაგვყოლია, რატომ ვერ ვფრინავთ
ფრინველის მსგავსად.

ფეხით დავივლით მთელს დედამიწას, რაა მიწაზე
მანძილი ჩვენთვის?
მაგრამ რად მინდა გავლა მიწაზე, როდესაც სული
სიმაღლეს ელტვის!

ცისკენ ვილტვოდი, მზის ბედი მშურდა, მე ვოცნებობდი
მზეზე ბალღურად,
დედამიწას რომ დასცქერს მაღლიდან, ოქროს სხივების
ქუდს რომ ახურავს.

დაისზე, როცა მზე წითლდებოდა, მეგონა სისხლის
სდიოდა ღვარი,
მეგონა ყველას ეს ბედი ელის, ვინც სინათლეს ჰფენს,
ვინც მაღლა არი.

ყველა ბავშვისთვის შემოდგომაა დრო საყვარელი
და მიმზიდველი,
მას, როგორც დედას, მოჰქონდა ჩვენთვის ხილით და ყურძნით
სავსე გიდელი.

მე შემოდგომა ჩემს მტრად მიმაჩნდა, ვჯავრობდი მისი
მოსვლის მხილველი,
რადგან მას ჩემგან მიჰყავდა ყანჩა, უსაყვარლესი
ჩემი ფრინველი.

ცაზე გავცქერდი მათ გუნდს მოწყენით, შორს მიფრინავდნენ
მიჰქროდნენ მაღლა,
მე ჩემს გაფრენილ ახალგაზრდობას ასე მოწყენით
გავყურებ ახლა.

და ცარიელი ბუდე ყანჩების მწუხარე იყო,
ვით ნასახლარი,
წინასწარ ვგრძნობდი, რომ ერთ დროს ასე დაობლდებოდა
ჩემი სახლ-კარიც.

როცა ზამთარი გათავდებოდა, თოვლის სამოსელს
იხდიდა ველი,
ბუნება მწვანე კაბას იცვამდა, ზედ ყვავილები
ეხატა ჭრელი.

მაშინ ჩემს სულშიც რაღაც ხდებოდა გაზაფხულივით
გასაკვირველი,
თბილი ქვეყნიდან ჩვენთან მოფრენილს ვეგებებოდი
ყანჩას პირველი.

გვიან, ბავშვი რომ ჭაბუკად ვიქეც და ცეცხლად მექცა
მეც ნაპერწკალი,
ჩემს ქურანს თავზეხელაღებული მოვევლებოდი,
როგორც მერცხალი.

და მივუშვებდი მერანს სადავეს, მივქროდით
ორივ დაურიდალი,
მოგვსდევდა, მაგრამ ვერ გვეწეოდა გაწბილებული
ველის გრიგალი.

თვალუწვდენელი ტრამალი მიყვარს, ოქროს ტრამალი
თვალგასახარი,
აქ ვარ ნამდვილად თავისუფალი, აქ ჩემს ოცნებას
არ აქვს საზღვარი.

აქ კედლებივით შავად ამართულს შიშით არ შევსცქერ
მაღალ მთა-გორებს
და ჩანჩქერების კლდეზე ჩხრიალი, ბორკილის ჩხრიალს
არ მომაგონებს.

და არ არისო ველი ლამაზი, ამას ნუ მეტყვის
ქვეყნად ნურავინ,
იგი ლამაზი ქალწულის მსგავსად, სახეს იფარავს
პირსაბურავით.

იგი მეგობრებს ახარებს მხოლოდ, ულამაზესი
სახის ჩვენებით,
ის მხოლოდ მათ წინ წარსდგება ხოლმე მზეთუნახავის
უცხო მშვენებით.

მიყვარს ტრამალი, ხშირად დავქროდი ველად გაჭრილი
კიდემდე კიდით,
მივარდნილ ველზე ბევრჯერ ვყოფილვარ, კაცთა სიშორით
რომ არის მშვიდი.

ჩამოვხტებოდი ცხენიდან ფიცხლად, ქვეშ გავიგებდი
ბალახის ფარჩას,
ტბას გავხედავდი და იქვე ახლო აღმოვაჩენდი
ჩემს ერთგულ ყანჩას.

ერთად ვიყავით უკაცურ ველზეც, გატაცებული
ორივ ოცნებით.
იგი ლურჯი ტბის სიღრმით სტკბებოდა, მე ჩამავალ მზის
გასხივოსნებით.

ჩემს ბავშვობაშიც, სიჭაბუკეშიც სულ ჩემთან იყო
ჩემი ფრინველი
და მიყვარს იგი, თუმც არ სტვენს ტკბილად, არც გარეგნობა
აქვს მიმზიდველი!

ვით მოგონება ყრმობის ზმანების, მე მიყვარხ ჩემთან
შეზრდილი ყანჩა.

ის ერთადერთი სახსოვარია, რაც იმ ბედნიერ
დღეთაგან დარჩა,

მე ახლაც ველი ყანჩის მოფრენას, შეგვრჩა ის ძველი
ძმობა ურღვევი,
და თბილ ქვეყნისკენ როცა მიფრინავს, ახლაც ვაცილებ
ლოცვა-კურთხევით.

პავლე პატო

ვით ზღაპრული უფლისწული,
მძიმე ძილით, მარტოდ-მარტო
მემამულე ცხოვრობს ჩვენში,
შუბლშეკრული პავლე პატო.
იქნებ ცოლი რომ ჰყოლოდა,
გამოცვლიდა ალვის დარი...
მაგრამ პატო როდი ჩქარობს,
ამბობს: „ხვალაც ამ თვის არი!“

თავზე აწვიმს, ჩამოენგრა,
ჩამოექცა სახლის ჭერი,
და ყავარი ძლივსღა ფარავს
ძველ სახურავს სამი ღერი.
„კაცო, სახლი შეაკეთე,
ოთახებში დაჰქრის ქარი...“
მაგრამ პატო როდი ჩქარობს,
ამბობს: „ხვალაც ამ თვის არი!“

ბაღი უკვე გაპარტახდა,
სავარდეში შამბნარია,
პატომ რა ჰქნას, მოსავლელად
ბაღი მსახურს აბარია.
ბაღს მიხედოს, ერთხელ მაინც
თვით შეაღოს ბაღის კარი,
მაგრამ პატო როდი ჩქარობს,
ამბობს: „ხვალაც ამ თვის არი!“

ტანსაცმელი შემოადნა,
დაეცხრილა ბადესავით,
უცხოს რაკი არვის ელის,

არ რცხვენია ნათესავის.
მასალაც აქვს, მკერავიც ჰყავს,
მაშ რა არის საშიშარი?
მაგრამ პატო როდი ჩქარობს,
ამბობს: „ხვალაც ამ თვის არი!“

მამამ რაც არ დაუტოვა,
არაფერი აბადია,
იქვე ცხოვრობს, სადაც მამის
ძველი გუდა-ნაბადია.
ნუ გაჰკიცხავთ, უნგრელია,
საქმეს მიტომ არ იჩქარის.
უნგრეთში ხომ ყველა მისებრ
ამბობს: „ხვალაც ამ თვის არი!“

სიზმრები

სიზმარზე ტკბილი რა არის ნეტავ,
ჩვენ სიზმრის მეტმა რამ გაგვახაროს?!
ცხადად უხილავ უცხო სამყაროს
ჩვენ საოცნებო სიზმარში ვხედავთ.

ღარიბი ხედავს: გახდა მდიდარი,
ტახტი დაიპყრო, ოქროს დარბაზიც,
სუფრიდან მთვრალი დგება ბარბაციდ
და დარდი არ აქვს არავითარი.

მეფეს ეწვევა მშვიდი ზმანება,
ძილში არ ომობს სამეფოს ბურჯი,
არვინ აშფოთებს და მეფის ურჩი
სახრჩობელაზე არ იგზავნება.

ჭაბუკი სატრფოს ეძებს ცისმარე;
მისკენ ჰქრის მისი ფიქრი, გონება,
მას ყოვლისშემძლე შველის სიზმარი,
ნახავს და გულში ჩაეკონება.
მე კი სიზმარში (ამიხდეს ნეტავ!)
ჩემი სამშობლოს ბორკილებს ვლეწავ.

ბორკილები

დამმონებელთა ზარის დამცემი
ვაჟკაცი გდია ციხის კუთხეში.
გაიღარუნებს ცივი ბორკილი.
ყურში ჩასძახებს რკინა უხეში:
— დაგვკარ, გვაღერე უფრო ძლიერად,
ჟი არ დაგვწყეველო შენი ხუნდები,
დადგება დრო და ტირანის თავზე
შურისძიებით ავგუგუნდებით!

ნუთუ ვეღარ გვცნობ? შენი ელვარე
ხმალი არ გახსოვს მტრების მზარავი?
სანამ შენ გეპყრე, არ დაგვინდვია
თავისუფლების მტერი არავინ.
ახლა სად შეგხვდა ერთგული ხმალი,
ცეცხლივით გვწვავენ შენი კუნთები,
დაგვკარ, გვაღერე, დადგება ჟამი,
ტირანის თავზე ავგუგუნდებით!

რა ხელმა სჭედა ხმალი ბორკილად,
ჩვენს ჯაჭვად გამჭედს ჰქონდა რა გული?
იგი, ვის მტერსაც შუაზე ვკვეთდით,
ახლა თვით ჩვენვე გვყავს გათანგული.
და ჟანგი რომ გვაქვს რისხვის ალია,
სირცხვილის ალი შენი ხუნდების.
დაგვკარ, გვაღერე, დადგება ჟამი,
ტირანის თავზე ავგუგუნდებით!

მე ერთი ფიქრი მაწუხებს...

მე ერთი ფიქრი მაწუხებს მარად,
ვაი თუ მოვკვდე ლოგინში წყნარად!
ვაი თუ მოვკვდე ნელ-ნელა, ნაზად
მჭკნარი, უსულო ყვავილის მსგავსად,
და როგორც ქრება სანთელი მკრთალი,
მეც ისე გავქრე, დავხუჭო თვალი.
არა, ასეთი არ მსურს სიკვდილი,
მე მინდა მოვკვდე ბრძოლით, ჭიდილით.
მსურს მუხა ვიყო შეურიგალი,
მაპობდეს მეხი, მგლეჯდეს გრიგალი,
მთიდან კლდედ მოვწყდე უზარმაზარი,
რომ ცა და მიწა შევძრა ზანზარით.
როცა დაღლილი მძიმე უღელით
ხალხი აღსდგება მკლავმოუღლელი,
დროშებს დააწერს „თავისუფლებას“,
და ცა დროშებით დაიღრუბლება.
როცა მტრის რისხვად, ხალხთ გასახარად,
ყოველი მხრიდან დაჰკრავს ნაღარა,
იქ ჩემი სისხლიც დაიქცეს წმინდა,
მე იმ ბრძოლაში სიკვდილი მინდა.
და რომ მომხვდება ბასრი მახვილი,
უკანასკნელი ჩემი ძახილი
დე, დაიკარგოს ქვემეხთა ხმაში
დე, გაქაფული ცხენებით მაშინ
ჩემს მკვდარ სხეულზე გადითქარუნონ,
ოღონდ ჩამძახონ სასიხარულო
მტრის დამარცხების ხმა დარხეული...
დე, გადიქელოს ჩემი სხეული!
შემდეგ იქნება დაღუპულთ გლოვაც,

შაშინ შეკრებენ ჩემს ძვალთა გროვას,
ზარის გუგუნში დროშებს გაშლიან,
დროშებს ევლება შავი არშია.
და დაგვმარხავენ საფლავში ერთად,
მათ, ვინც გასტეხეს სიმაგრე მტერთა,
ვინც საოცნებო დროშა გაშალა,
თავისუფლებას ვინც ენაცვალა.

ერთი ზამთარი დებრეცენში

ჰეი, ჩვენო
დებრეცენო!
გული ბევრჯერ დამიღონე,
მაინც ცუდად არ გიგონებ,
გახსენება მიხარია,
ის დრო დაუვიწყარია.

მე მორწმუნე არ ვარ, მაგრამ
მიმასუსტა გრძელმა მარხვამ.
მომწონს ღმერთის ბრძნული აზრი,
ძვლის კბილი რომ მოგვცა ბასრი,
ვინც ვერ ვძღებით ვერასოდეს,
ჩვენ რომ რკინის კბილი გვქონდეს
უქმად, ყანგი შეგვიჭამდა,
ვშიმშილობდი მეც იმ ზამთარს.

მე რა მქონდა სასიმღერო,
მთელ ზამთარში ჩალის ღერო
ვანთე, ვანთე, გაქრა ჩალაც,
ზამთრის ყინვამ მაკანკალა.
ჩემს ბინაში არა ვგრძნობდი
სითბოს ნიშანს, არავითარს,
ძონძებიდან თავს გავყოფდი,
როგორც ბოშა კარავიდან
და ვიტყოდი მგლოვიარედ:
„ჰაუ, როგორ ცივა გარეთ!“

სასაცილო იყო ერთი,
იმ ყინვაში ლექსს რომ ვწერდი.

ლექსებს ვწერდი ხელის თრთოლვით,
ლექსებს ვწერდი ყოველ დილით,
არემარე თეთრი თოვლით
იყო ირგვლივ მოფენილი.
იმ წვალებას როგორ მოვთვლი,
ძლივს ვითბობდი თითებს ორთქლით
და ჩიბუხის ცეცხლი ნელი
იყო იმ დროს ჩემი მხსნელი.
მე ნუგეშად იმას ვთვლიდი,
რომ მინახავს უფრო დიდი
გაჭირვება საშინელი...
არ მქონია ზამთრის რიდი,
ყინვა ვძლიე მაშინდელი.

მესიზმრა ომი

მესიზმრა ომი, ხანძრების ალი,
გაწითლებული სისხლით ქვიშანი,
პირსისხლიანი დაჰქროდა ხმალი,
ვით მოწოდების ძველი ნიშანი.

აღსდგა უნგრეთი და მადიარის
მხარდამხარ ჩანდა ქალთა მანდილიც
და სისხლის ჯილდოდ ოქრო კი არა,
თავისუფლება იყო ნამდვილი.

ის დღე, დღე იყო ჩვენი ქორწილის,
სამშობლოსათვის თავშემწირველი
წაველ, დაგტოვე დაუკოცნელი,
დავთმე ქორწილის ღამე პირველი.

ქორწილის ღამეს ომში ვინ მიდის,
სიკვდილი ვის არ დაენანება?!
მაგრამ მე ისევ ვარჩევდი სიკვდილს,
ოღონდ ამიხდეს ღამის ზმანება.

ჩემი სიმღერები

ხშირად ოცნება მიმაფრენს ცაში,
და მე არ ვიცი, რას ვფიქრობ მაშინ.
სამშობლოს თავზე დაფრინავს ფიქრი,
სამყაროს თავზე ჩიტივით მივქრი.
სიმღერა ამ დროს, რომ ვმღერი წყნარად,
ნაზია მთვარის სხივების დარად.

ოცნებას ფუჭს და უსაგნო ფიქრებს,
მომავლისათვის ზრუნვა სჯობს იქნებ,
მაგრამ მომავალს ღმერთს ანდობს ყველა,
მივანდოთ, იყოს სიმღერა შველა,
სიმღერა სავსე იის სურნელით,
ჩიტივით ლაღი და უზრუნველი.

როდესაც ლამაზ გოგონას ვხვდები,
მეცხრე ცაზე ვარ, მესხმება ფრთები,
მის ცისფერ თვალებს ჩავყურებ ხარბად,
ასე ვარსკვლავი ტბას ჩასცქერს, ალბათ,
სიმღერა ამ დროს რომ იბადება,
სულში იშლება ტრფობის ვარდებად.

ვუყვარვარ სატრფოს? მაშ მოდი, ლხინო!
თუ არ ვუყვარვარ, დარდით ვსვათ ღვინო,
როცა ვსვამ ღვინოს, როცა ვარ მთვრალი,
რატომღაც მაშინ ჭრელდება თვალი,
სიმღერაც, როცა, მთვრალი ვიმღერი,
ვით ცისარტყელა არის შვიდფერი.

ხელთა გვაქვს ჭიქა, ღვინით ვხურდებით!
სამშობლოს ხელს კი ადევს ხუნდები,
ბროლის ჭიქების წკრიალს ორწილი
ჩხრიალი ფარავს რკინის ბორკილის.
და ვმღერი ამ დროს სავსე ნაღველით
სამშობლოს სევდის გამომსახველი.

მაგრამ რად ითმენს ბორკილებს ერი.
აღსდგეს, მტარვალებს ადინოს მტვერი,
თუ იმედი აქვს მძინარეს ბანგით,
რომ ბორკილს შესჭამს ოდესმე ჟანგი?!
ამ დროს ვერ ვუცქერ ჩემს ხალხს გულგრილად,
სიმღერას ვაქცევ ჭექა-ქუხილად.

ღრუბლები

ჩიტი რომ ვიყო, ღრუბლის ქარავანს,
არ დავტოვებდი, მას ვსდევდი მარტო,
ვაგლახ, მხატვარი რატომ არა ვარ,
რომ მხოლოდ თეთრი ღრუბლები ვხატო.

სალამით ვხვდები მათს გამოჩენას,
თრთოლვით აღვუვლენ მაღლა ღაღადისს,
მიდიან, წინ აქვთ გზა რამოდენა,
მე გზას ვულოცავ ჩუმად: „ნახვამდის!"

ზოგი ყარიბად მარტოკა მიჰქრის,
ზოგნი ჯგუფ-ჯგუფად, ზანტად მიდიან
და მე არ დამრჩა გრძნობა და ფიქრი,
რომელიც მათთვის არ გამინდვია.

ცის დასავალზე რომ მიყუჟულან,
მძინარნიც ბევრჯერ მინახავს წინათ,
ლოყები უჩანთ მწუხრში ფუნჩულა
და სძინავთ, როგორც ჩვილ ბავშვებს სძინავთ.

მინახავს მათი შავი ჯაგარიც,
წამოქოჩრილი წვიმის წვეთებით,
როგორც მხედარი ყალყზე ამდგარი,
ქარს რომ ხვდებიან გმირულ კვეთებით.

მინახავს, ღამის ბინდს რომ იხსნიან,
ალმოდებულნი მთვარის ამოსვლით,
ვით მომაკვდავ ძმას, მთვარეს სისხლიანს
უთევენ თეთრი ტანისამოსით.

ნაირფერობა მათი მიტაცებს,
ჩემი სარკმლიდან მათ გავეცანი,
მე შემიყვარდა მათი სიმკაცრე,
მათი სინაზე და კაეშანი.

და იქნებ ამ გულს იმიტომ მართებს
ლტოლვა მათდამი, ტრფობა გულწრფელი,
რომ ჩემი გულიც იცვლება მათებრ
და მაინც რჩება მარად უცვლელი.

მიყვარს ღრუბლები!
ჩემს თვალსაც მათებრ
ცრემლების წვიმა ხშირად ასველებს
და თვალი ჩემი, რისხვა რომ ანთებს,
ღრუბლებს ჰგავს ელვით გადანასერებს.

მთის მდინარედ გადვიქცევი

მთის მდინარედ გადვიქცევი,
ვერ შემზღუდავს მთა-გორები,
სალ კლდეებზე გადავივლი
მღვრიე ტალღის აგორებით.
ოღონდ ჩემი კარგი სატრფო
თევზად იქცეს პაწაწინად,
ჩემს ზვირთებში აქანავა,
ჩემს მორევში ჩააწვინა.

ლურჯ მდინარის ნაპირებთან,
სადაც მოჩანს ნარიყალი,
დაბურულ ტყედ გადვიქცევი
ვერ შემარხევს ქარიშხალი.
ოღონდ ჩემი საოცნებო
ჩიტად იქცეს პაწაწინად,
ჩემს ხის ტოტზე ბუდე ჰქონდეს,
ჩემს ხის ტოტზე დააძინა.

ნაციხარად გადვიქცევი,
მთის წვერზე რომ ხედავს ყველა,
დავინგრევი, დავიშლები,
უნაღვლელად, ნელა-ნელა,
ოღონდ ჩემი სანუკვარი
გადაიქცეს მწვანე სუროდ,
ოღონდ შუბლი — ციხის ლოდი
სუროს ხელით დამებუროს.

ხევში ქოხად გადვიქცევი,
გარს მეხვიოს მთების ნისლი,

კარი მქონდეს ფარღალალა,
ვერ იჭერდეს წვიმას ისლი,
ოღონდ სატრფო ცეცხლად იქცეს,
გაანათოს ჩემი კერა,
ღუღუნებდეს, გუზგუზებდეს
ჩემს ბუხარში, ბედნიერად.

გადვიქცევი უფსკრულებთან
შეჩერებულ დაღლილ ღრუბლად,
დაფლეთილად, დაფანტულად,
გაბნეულად, თავისუფლად,
ოღონდ სატრფო მწუხრად იქცეს,
ვიგრძნო მისი ნაზი მზერა
და დაისი მომეხვიოს
გაფითრებულს ალისფერად.

შენ გაზაფხული გიყვარს

შენ გაზაფხული გიყვარს და გშვენის,
ზამთრის სიცივე გეუცხოვება,
გაზაფხულია ცხოვრება შენი,
შემოდგომაა ჩემი ცხოვრება.

ჩემს სახეს ჩრდილი დაჰკრავს უხეში,
შენი ლოყები ვარდივით ღვივის,
ჩემი თვალების დაღლილ გუგებში
ჰკრთის შემოდგომის დაღლილი სხივი.

გულსაც ნაღველი შემოეპარა,
ჩემს გულს, ნაღველს რომ არ იკარებდა,
და უკვე ერთი ნაბიჯი კმარა,
რომ უცებ დავდგე ზამთრის კარებთან.

შენ რომ წინ წადგა ნაბიჯი სწრაფად,
მეც უკან წავდგა ნაბიჯი ერთი,
ერთი ხნისანი, ზაფხულში, ალბათ,
აღმოვჩნდებოდით ერთურთის გვერდით,

უნგრეთის ერი

სხვა ქვეყანა არსად არი
ჩვენი ქვეყნის დასადარი.
და ნუ ჩათვლით ამას კვეხნად:
ჩვენს ხალხს ტოლი არ ჰყავს ქვეყნად!
მაინც წელში ვერ სწორდება,
მძულს და მაინც მეცოდება,
მაინც მიყვარს ჩვენი ერი,
ქვეყნის თვალი მშვენიერი.
მისი ტურფა მთა და ბარი,
კაცის თვალის გასახარი,
მისი ზეცა მოკრიალე,
ჯეჯილების ოკეანე
მზისკენ ზვირთებმიზიდული.
მადნით სავსე მიწის გული.
ვინ დაივლის მის დიდ მინდვრებს,
ვინ აღრიცხავს მის სიმდიდრეს!
მაგრამ ხალხი რატომ არი
შიმშილისგან ჩამომხმარი?
დადის მუდამ ფეხშიშველი,
ძონძი მოსავს ძველისძველი.
ნიჭის დიდი ბრწყინვალება
ხალხში უქმად იმალება.
რომ გამოჩნდეს ნიჭი, თუნდაც,
მას ესვრიან ქვას და გუნდას.
ნიჭიერებს ბედი მწარე
სდევნის თავის ქვეყნის გარეთ.
სამშობლოდან გაქცეული,
სულ სხვა ქვეყნის განძეულის
ბრწყინვალებად გამოჩნდება
და უნგრეთი გაოცდება.

გაიძახის, ამბობს ყველა:
„ჩვენმა შვილმა გვასახელა:
ჩვენი შვილის აღმაფრენამ
სხვა ქვეყანა დაამშვენა!“
სად ვეძებოთ, სადღა ვნახოთ
ჩვენი ძველი სატრაბახო
სიამაყე ეროვნული?
ლამის ჯავრით გასკდეს გული!
რაც გვაქვს ცუდი, რაც გვაქვს ავი,
მხოლოდ იმით მოგვაქვს თავი,
ათასამდე არის წელი,
რაც ეს მიწა ძველისძველი
ჩვენმა ერმა დაასახლა.
მაგრამ ვთქვათ, რომ გაქრა ახლა
უნგრელების ჭაჭანება,
ჩვენს სახსოვრად რა დარჩება?
დიდი ხანი გვიცხოვრია,
მაგრამ ხალხთა ისტორია
არ გვახსენებს არსად ტკბილად,
თუ გვახსენებს — გასაკილად:
„ტისის პირად იყო ერი,
ზარმაცი და თვინიერი“.
ჰე, მამულო, ნეტავ იმ დღეს,
როს შენი მზე ამობრწყინდეს,
როს შეიცნობ ნამდვილ სახეს,
აამაღლებ შენს დიდ სახელს!

მიყვარხარ

მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი.
შენი შავი თმის ბუჩქი,
ეგ თეთრი შუბლის სერი,
თვალები გიშრისფერი,
ლოყები ვარდისფერი.
შენი თითები მიყვარს,
ორი პატარა თათი,
ო, იცი, როგორ მიყვარს
ოდნავ შეხებაც მათი?
ო, იცი, როგორ მიყვარს
გამოუთქმელი ენით? —
შენი გრძნობების სილრმე
სულის სიმაღლე შენი.
მე დარდიც მიყვარს შენი,
შენი ღიმილიც ფართო,
მე ცრემლიც მიყვარს შენი,
შენი კისკისიც მართობს.
მე შუქი მიყვარს შენი,
რა არის მისი ფასი!
მე ჩრდილიც მიყვარს შენი,
მზის დაბნელების მსგავსი.
მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ...
მწვავს შენი ტრფობის ალი,
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
მთელი გრძნობით და ძალით...
მთელი სამყარო ვრცელი,
შენით არსებობს ჩემთვის,

რაზეც კი ვფიქრობ, ყველა
ფიქრს შენზე ფიქრი ერთვის.
ძილში ჩემთან ხარ სიზმრად,
ფიქრში ჩემთან ხარ დღისით.
გულის ძგერის ხმა მესმის —
შენი ხმა არის ისიც.
შენთვის მივწედები მწვერვალს,
დიდების ყველა მნათობს,
დიდებას დავთმობ შენთვის,
შენთვის მწვერვალებს დავთმობ.
შენი ოცნებით ვხარობ,
შენს დარდს ვატარებ დარდად,
მე სხვა სურვილი არ მაქვს,
შენი სურვილის გარდა.
მსხვერპლი ყველაზე დიდი,
მე მეჩვენება მცირედ,
რადგან შენ გსურდა იგი,
რადგან შენ შემოგწირე.
შენს მცირეოდენ წყენას,
სულ უმნიშვნელო წვრილმანს,
სდევს ჩემი სევდა დიდი,
ჩემი ცრემლების წვიმა.
მიყვარხარ ძლიერ... ძლიერ,
მიყვარხარ ცხადად, მალვით,
როგორც აროდეს არვინ
არ ჰყვარებია არვის.
ეს სიკვდილს უდრის თითქმის,
ეს შეუძლოა თითქმის,
შენ ერთს გეკუთვნის ყველა,
რაც სიყვარულად ითქმის:
ძმაც ვარ, სატრფოც ვარ შენი,
მამაც, დაო და დედავ,
მე შეყვარებულს ყველას
შენს სახეებში ვხედავ.
სატრფოვ, შვილო და დედავ,

ჩემო ძვირფასო ცოლო,
ყველას მაგივრად, ერთად,
მე შენ მიყვარხარ მხოლოდ.
რა მაბადია ქვეყნად,
ამ სიყვარულზე კარგი,
ძლიერ მიყვარხარ, ძლიერ,
ვარ შენი ტრფობით შმაგი.
თუ ტრფობისათვის რამე
ჯილდო იქნება ბოლოს,
ის შენ გეკუთვნის მარტო,
ის შენ გეკუთვნის მხოლოდ.
ნაყოფი მისი არი,
ვინც ნორჩი ნერგი დარგო,
ეს სიყვარული დიდი
შენ შემასწავლე, კარგო.

როგორ მიყვარხარ!

როგორ მიყვარხარ! გრძნობას ვერ ვმალავ,
მკლავს უნდობლობა შენი ფარული,
რით დაგარწმუნო, არ მყოფნის ძალა,
რით დაგიმტკიცო ეს სიყვარული.

ჩემი უბრალო სიტყვის არ გჯერა,
რით გაგიფანტო ეჭვი ტიალი,
მიყვარხარ! თუგინდ გითხრა ასჯერაც,
მაინც არ გჯერა ჩემი ტრფიალი.

რატომ ოქროთი მდიდარი არ ვარ,
არ დავზოგავდი შენთვის ათასებს,
შემოგავლებდი ოქროს და ქარვას,
შემოგწირავდი დიდ-დიდ ალმასებს.

მეფე რომ ვიყო, ლალებით სავსე
გვირგვინს დავთმობდი, ოღონდ სუროთა,
ოღონდ ყვავილთა გვირგვინი თავზე
შენი ხელებით მე დამხუროდა.

რომ ცისარტყელა ვიყო შვიდფერი,
ჩუმად, სიტყვასაც კი არ გეტყოდი,
მე დავტოვებდი ლაჟვარდს სიმღერით,
წელზე სარტყელად შემოგერტყმოდი.

მზე რატომ არ ვარ, ღრუბლებში სადმე,
მე დავტოვებდი სამყაროს ფართოს,
თვალს დავხუჭავდი ყველაფრისადმი
რომ შენს თვალებში მეცქირა მარტო.

მე რა გიწოდო

მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა,
როს ვარსკვლავები შენი თვალების
ოცნების მწუხრში მოჯადოებით
მიცქერენ, თითქოს პირველად მნახეს.

ამ ვარსკვლავების სხივი ყოველი,
ვით უწმინდესი
ტრფობის ნაკადი,
შემოდის ჩემი
სულის ვრცელ ზღვაში.
მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა?

მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა,
როს შენი მზერა
მტრედს ჰგავს უმშვიდესს,
რომლის ყოველი
ფრთა ულბილესი
ზეთისხილის რტოს
ჰგავს მშვიდობისას
და მზერა იგი ლბილია, როგორც
ფარჩის ბალიში ბავშვის აკვანში,
მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა?

მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა,
როცა ხმა ისმის შენი ნარნარი,
რომლის მოსმენაც
ზამთარში ხეებს
ნორჩი ფოთლებით აამწვანებდა.
რაკი შენი ხმის

მოსმენას ხენიც
ჩათვლიდნენ მოსვლად გაზაფხულისა,
რადგან ბულბულის
ხმას ჰგავს შენი ხმა,
მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა?

მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა,
როცა ჩემს ტუჩებს,
მწყურვალე ტუჩებს
შენი ტუჩების ლალი ეხება
და ერთდებიან ჩვენი სულებიც,
ვით დღე და ღამე გარიჟრაჟისას.
და მეჩვენება, თითქოს ქვეყანა
ჭრება და ჩვენზე მარადისობა
იბერტყავს კალთას ნეტარებისას.
მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა?

მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა,
სათავეე ჩემი სიხარულისა,
ჩემო ზღაპრულო მზეთუნახავო,
ჩემი ოცნების ფრთების შემსხმელო,
შენ, ერთადერთო განძო სულისა,
ყველა განძთაგან უძვირფასესო,

ულამაზესო,
სულზედ უტკბესო,
ჩემო პაწიავ, სატრფოვ და ცოლო,
მე რა გიწოდო, ან რა დაგარქვა?

შავ-წითელი დროშა

ძირს ჩვენი დროშა სამფეროვანი.
ახლა სხვა დროშას შევფიცოთ, რადგან
დროშა სხვაფერი შეჰფერის უნგრეთს.
დღეს შავ-წითელი დროშის დრო დადგა.
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

ჩვენ ვგავართ კუნძულს ოკეანეში,
დაჰქრის გრიგალი, ქარი უბერავს.
და დასანთქმელად მღვრიე ტალღები
ირგვლივ ერტყმიან მშობლიურ კერას.
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

მტერი კარს გვადგას, ჩვენ რაღას ვუცდით?
მთავრობა რად სდუმს მტრების წინაშე?
რატომ არ დგანან ხალხის გუშაგად,
უშფოთველად რატომ სძინავთ ბინაში?!
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

ხომ ასე მოხდა მოჰაჩის* დროსაც,
მტერი გვერტყმოდა მაშინაც ასე,
ჩვენ კი, სუფრაზე გვეძინა მშვიდად,
წინ გვედგა მთვრალებს ჭიქები სავსე.
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

---

* 1526 წელს დაბა მოჰაჩთან ბრძოლაში თურქთა ლაშქარმა დაამარცხა უნგრეთის არმია.

ჰოი, მოჰაჩი! ჩვენ ვსდევდით პეპლებს,
ზრუნვას ვარჩიეთ ტკბილი ზღაპარი,
თუმცა ჩვენს ზურგთან ჩვენს ჩასანთქმელად
ხახას აღებდა თურქი აფთარი.
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

ახლა სად გველის მოჰაჩი კიდევ,
დაღუპვა გმირის ოცი ათასის?
რომელი ველი უნდა გაწითლდეს
უნგრელთა სისხლით, როგორც ატლასი?
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად.

სად, სად იქნება მოჰაჩი კიდევ,
დღეს მზე სად ჩავა ჩვენი ქვეყნისა?
ჩავა და კიდევ აღარ ამოვა,
ერთხელ ამოსვლა ძლივს რომ გვეღირსა.
იქნება მოთქმა და სისხლის ჩქერა,
შევღებოთ დროშა შავ-წითელ ფერად!

ერისადმი

ჩქარა ზარები, ჩქარა ზარები,
ჩქარა ზარები! ყველას გავსძახი,
ვცახცახებ, მაგრამ შიშით კი არა,
დარდით და ბრაზით გამაქვს ცახცახი.

მაღარდებს ჩემი სამშობლოს ბედი,
ცა ისევ შავი ღრუბლით ივსება,
მაბრაზებს, ერმა ვძიმე ძილისგან,
რომ ველარ შესძლო გამოღვიძება!

გამოეღვიძა მძინარეს წუთით,
არ გააოცა ხმაურმა გარეთ,
რომ უფრო მაგრად ჩასძინებოდა,
კვლავ გადაბრუნდა მეორე მხარეს.

გამოიღვიძე, ღვთისგან დასჯილო,
იქ დადექ, სადაც სხვები ბრწყინავენ,
შენ სიზარმაცემ ჩამოგარჩინა,
გახდი პირველი და მოწინავე!

გამოიღვიძე, აღსდექ, მამულო,
დრო ცოტა დაგრჩა თვალგასახელი,
საფლავის ქვაზე მაინც დასწერე,
სახელოვანი შენი სახელი.

აღსდექ, მომავალს თვალი უსწორე,
ხელში აიღე აწმყო შენივე.
ზედ დააწერე საბრძოლო დროშას:
„ან არაფერი, ან ყოველივე!“

დიდხანს გვეძინა, აწ კმარა ძილი,
გვეყო მოთმენა და დაღონება,
აღვსდგეთ, ქვეყანას გავაგებინოთ,
რომ გაჩენილი არ ვართ მონებად.

თუ გვიწერია სიკვდილი, მოვკვდეთ,
მონურ სიცოცხლეს მოეღოს ბოლო,
მე მეშინია სიკვდილის, მაგრამ
შემარცხვენელი სიკვდილის მხოლოდ.

გავწყდეთ თუ ქვეყნად არ გვეცხოვრება,
გმირულად გავწყდეთ, ბედთან ჭიდილით,
ლამაზი იყოს სიკვდილიც ჩვენი,
მკვლელსაც დანანდეს ჩვენი სიკვდილი.

ვით წინაპრები იყვნენ გმირები,
ყველა ჩვენგანი იყოს ისეთი,
ყველა ჩვენგანმა ისე იბრძოლოს,
მამულს არ ჰყავდეს თითქოს მის მეტი.

მაშინ არ ელის უნგრეთს სიკვდილი,
სახელოვანი ცხოვრება ელის,
თავის მიწაზე თვით იბატონებს,
ახდება ჩვენი ოცნება ძველი.

აღსდექ, მამულო, უნგრეთო აღსდექ,
შენი ძალ-ღონე მტერს არ უხილავს.
აღსდექ, უნგრეთო, მოულოდნელად
მტერს თავს დაატყდი ჭექა-ქუხილად.

იქნებ მტერს ეძებ? — სადაც გახედავ,
მარჯვნივ, თუ მარცხნივ მტერი არ არი?
მაგრამ, რომელიც ყელზე გეხვევა,
სწორედ ის არის მტერი მთავარი.

ძმის მოღალატე ძმა არის მტერი,
ჩვენს ჯანსაღ სხეულს ის ასნეულებს,
ვით შხამის წვეთი მთელ ჭიქა ღვინოს,
ერთი გამცემი ხრწნის ასეულებს.

სიკვდილი გამცემთ, ასჯერ სიკვდილი,
დღეგრძელი იყოს მათი ჯალათი!
ქუჩებშიც, სახლშიც ღვარად დიოდეს
სისხლი გამცემის და მოღალატის.

გარეშეს მოვსპობთ, შინაური მტრის
თუ აღარ დარჩა ჩვენში ნასახი,
გადავდე ქნარი... დავრეკოთ ზარი...
ვრეკავ, მძინარე მამულს გავსძახი.

აი ჩემი მშვილდ-ისარი

აი, ჩემი მშვილდ-ისარი,
შემართული ვისთვის არი?
ჰა, ხავერდი მეფის ტახტის,
ხედავ, როგორ მტვერი ასდის?
ვტყორცნი ისარს.
გაუმარჯოს,
რესპუბლიკას გაუმარჯოს!

ჰა, გვირგვინი თვლებით სავსე,
მას რა უნდა მეფის თავზე?
არ შეჰფერის, მუდამ ვყვირი,
როგორც ძროხას უნაგირი.
ვტყორცნი ისარს.
გაუმარჯოს,
რესპუბლიკას გაუმარჯოს!

მეფის მხრებზე ძოწეული
რატომ არის მოხვეული?
მასაც მტვერი ავადინოთ,
ცხენს თექალთოდ დავაფინოთ.
ვტყორცნი ისარს.
გაუმარჯოს,
რესპუბლიკას გაუმარჯოს!

მას რად უნდა ოქროს სკიპტრა,
უჯობს ხელში ბარი იპყრას,
ნიჩბის ტარზე დაიხაროს,
რომ სამარე გაითხაროს.
ვტყორცნი ისარს.

გაუმარჯოს,
რესპუბლიკას გაუმარჯოს!

ამჯერად კი გეტყვით ყველას,
რაც ჩვენ მეფემ გვასულელა,
აღარ გვეყო, არა კმარა?
ახლა ცხვირში დავკრათ ჩქარა.
ვტყორცნი ისარს.
გაუმარჯოს,
რესპუბლიკას გაუმარჯოს!

საბრძოლო სიმღერა

დაჰკრეს ნაღარა, ისმის დაფდაფი,
ამოღებულ ხმლებს გააქვთ ლაპლაპი.
წინ, მადიარო!
ზუზუნებს ტყვია, ელავს მახვილი,
აჰა, საბრძოლო გვიხმობს ძახილი,
წინ, მადიარო!

მაღლა, სულ მაღლა დროშების რიგი,
რომ ყველა ხალხმა იხილოს იგი.
წინ, მადიარო!
იხილონ დროშა, სისხლის ფერია,
„თავისუფლება“ ზედ აწერია,
წინ, მადიარო!

ვინც უნგრელია, მამაციც არი,
მტერს გახვრეტს მისი თვალთა ისარიც,
წინ, მადიარო!
თუ მართლა გულით ხარ მადიარი,
ღმერთმა, შენი თანაზიარი,
წინ, მადიარო!

ჩემს ფეხქვეშ წითლად დგას სისხლის ტბორი,
დაეცა ჩემი ტოლი და სწორი,
წინ, მადიარო!
ჩვენც მტერს შევაკვდეთ, ჩვენც სული მიგვდის,
რომ გრიგალივით ვეკვეთოთ სიკვდილს,
წინ, მადიარო!
მტერს ზურგი როგორ უნდა ვუჩვენოთ,

ვინ დაამარცხოს იგი უჩვენოდ,
წინ, მადიარო!
რაა სიკვდილი, თუნდ გავწყდეთ ყველა,
ოღონდ სამშობლოს დაადგეს შველა,
წინ, მადიარო!

საშინელი დღეები

საშინელება, საშინელება!
მთელი უნგრეთი თალხით ბნელდება!
იქნება ცაში ღმერთებს ენებათ,
რომ მადიარის გაჰქრეს ხსენება.
სისხლი ღვარად გვდის, განა წვეთ-წვეთად,
ჩვენს თავზე უცხო მახვილი ელავს,
ჩვენი მოსპობა მოსწყურდა ყველას,
მთელი ქვეყანა უნგრეთს ეკვეთა.

პირისპირ გვიტევს პირსისხლიანი
მტერი, თუმც მასზე მეტი ზიანი
შიმშილით მოგვდის, ზურგიდან კიდევ,
გამძვინვებული შიმშილით გვიტევს.
შენი ზურგისთვის, მამულო, მწველი
არ დაინანა ღმერთმა შოლტები,
სიკვდილი დაძრწის გაბოროტებით,
მოსავალს იღებს ორივე ხელით.

დავიღუპებით, საშველი არ ჩანს,
მაგრამ თუ ერთიც ცოცხალი დარჩა,
რომ ეს დღეები აღწეროს შავი,
მას დაეღლება წერისგან მკლავი.
მას არ ეყოფა სიტყვა და ფერი,
რომ შთამომავალს გადაუშალოს,
როგორ საშინლად, როგორ უწყალოდ
ნადგურდებოდა უნგრეთის ერი.

მაგრამ, რომ შესძლოს, თუნდა ასჯერაც
ამ განსაცდელის სუსტად აღწერა,

ეჭვით შეხედავს მკითხველი, ალბათ,
უთუოდ ჩათვლის აღწერას ყალბად,
არ დაიჯერებს ჩვენს დაღონებას,
განსაცდელისგან განადგურებას.
მიიღებს ნამდვილ ამბავს თქმულებად,
ან ჩათვლის გიჟის გამოგონებად.

ავსტრიისადმი

შენც დაემხობი, ავსტრიავ, როგორც
დაემხო ძველი ერუსალიმი.
ვით ისრაელის მოდგმა განიბნა,
ისე ამაყი შვილები შენი
განიბნევიან მთელს ქვეყანაზე!
განდევნა გელით, დამხობა გელით,
სიკვდილი გელით იმპერატორებს.
თავს ღმერთს უტოლებთ, მაგრამ, როდესაც
ტახტს ნამსხვრევებად გიქცევენ, მაშინ,
რომ არ გაგსრისოთ თქვენმავე ტახტმა,
თქვენ გაიქცევით ყველაზე სწრაფად;
მაგრამ, თქვენ ტახტი მთლად როდი გაგსრესთ,
სხვა ხვედრი გელით, სიკვდილზე ძნელი:
გამათხოვრებულ მაწანწალებად
იხეტიალებთ მთელ ქვეყანაზე.
ტყუილად იბანთ ხელს მოსაჩვენრად
თქვენ, პონტოელო პილატეებო!
ხალხს მოატყუებთ, მაგრამ ხომ არის
ძალა, რომელიც ყველაფერს ხედავს!
და არ იქნება თქვენი დანდობა,
არც შეცოდება მცირეოდენი,
არც შებრალება, არავითარი,
გოლგოთა ჩვენი თავისუფლების—
აი რა არის ჩვენთვის ავსტრია!
თქვენ დაივიწყეთ ყველა სურვილი
და ერთადერთი სურვილი შეგრჩათ,
სურვილი სხვაზე გაბატონების.
თქვენ საშინელი ციხე ააგეთ,

რომ იყოლიოთ ბნელში გონება.
რომ არ დაადნოს გონების ცეცხლმა
თქვენი მონების მძიმე ხუნდები.
ხოლო დანერგეთ და გაახარეთ
ბოროტი ნერგი ძალმომრეობის,
ნერგი ღალატის და მტარვალობის.
უაჩაღებს გმოსავთ მეფის პორფირი,
ქურდებს ხელმწიფის გადგათ გვირგვინი.
თქვენ ხალხს წაართვით უფლება ძალით,
თქვენ დაიტაცეთ ხალხის ქონება.
მაგრამ თქვენ ამ განძს თან ვერ წაიღებთ,
მას წაგართმევენ თქვენივე ტახტის
გახელებული ქვეშევრდომები.
წინ გაგიგდებენ ნახევრად შიშველს
და ავსტრიიდან შორს გაგდევნიან,
ვით სამოთხიდან გარისხებულ ღმერთს
განუდევნია ადამ და ევა.
თქვენ იმათხოვრებთ, როგორც თქვენს გამო
ჩვენ ვმათხოვრობდით გაწამებულნი.
მაგრამ ნუ ელით განკითხვას მათგან,
განუკითხავად ვისაც ძარცვავდით.
თქვენს დანახვაზე გააფურთხებენ,
ზურგს შეგაქცევენ ზიზღით ყველანი.
და თუ შიმშილით სიკვდილი გელით,
დასამარხადაც არ მოგხედავენ,
რომ შეხებისგან არ შეიბილწონ.
თქვენი ლეშების გახრწნილ გროვაზე
მხოლოდ ყორნები დაფრინდებიან.
თქვენს შავბნელ გვამებს არვინ შესუდრავს,
სუდარად ხალხის რისხვა გექცევათ,
ბნელ საფლავებად ყორნის მუცელი.

მივდივარ, ჩემთან არა ხარ შენა...

მივდივარ, ჩემთან არა ხარ შენა,
ჩემი სიცოცხლის შუქო და ლხენავ.
მაგრამ იდუმლად ვგრძნობ გულის ცემით,
რომ ანგელოსი თანა მდევს ჩემი.

ოღონდ არ ვიცი, არ ვიცი ახლა,
ამ გზაზე იგი რა სახით მახლავს?
თმებს რომ მიწეწავს ალერსით სიო,
იქნებ ისა ხარ? მასში გეძიო?

იქნებ სახება შენი იქ არი,
ოდნავ რომ ბრწყინავს შუქი ცისკარის?
იქნებ ვერცხლისფერ სხივით მკრთომარი
ის ვარსკვლავი ხარ, მკრთალი რომ არი.

ან ჩიტი თუ ხარ, სულ ერთი ციდა,
რომ ჩამომძახის სიმღერას ციდან?
მინდვრის ყვავილად გადიქეც იქნებ,
თავს რომ გზისპირად ჩურჩულით მიქნევს?

და მეუბნება: „მომწყვიტე, კმარა,
შენს გულთან ახლო დამმალე ჩქარა!“
მითხარ, ვინა ხარ, რა ხარ, რომელი? —
ჩემი სიცოცხლის მახარობელი!

სამშობლოში

აი, ჩემი სამშობლო, ეს ალფელდის ტრამალი,
სადაც ჩემი ოცნება აფრენილა ფრთამალი,
სადაც მიწას აჩნია ჩემი ნატერფალები,
ბავშვობის მოგონებას აქ ვერ დავემალები.
ისევ მღერის, შორს მღერის ჩემი კარგი გადია:
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

მე აქედან წავედი, ბალღი ვიყავ პატარა,
ახლა კაცი ვბრუნდები, ბედმა სად არ მატარა!
ოცი წელი გავიდა სიხარულის, ნაღველის,
ოც წელს არა ვყოფილვარ ამ მიდამოს მნახველი.
ოცი წელი რა არი, ერთი წამის დარია!
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

სად ხართ ჩემი ტოლები, ჩემი სოფლის ბიჭები,
ჩემთან შესაგებებლად, რად არ გამოიკრებით!
აღარ გვითამაშნია, რაც დაგშორდით მას აქით,
მოდით, ისევ ვიცელქოთ, დავივიწყოთ ასაკი.
ოცდახუთი წლისა ვარ, მაგრამ არ მიხარია...
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

როგორც ტოტზე ტოტიდან დაფრინავენ ჩიტები,
ფრენენ ჩემი ფიქრებიც, რომელს გავეკიდები?!
როგორც მინდვრის ყვავილებს თავს ეხვევა ფუტკარი,
მოგონება მეხვევა სხვისი და საკუთარი.
რომელ ერთზე შევჩერდე, თითქმის მთელი ჯარია!
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

აი, პაწაწინა ვარ, მინდორში ვართ ყველანი,
ტირიფის ჯოხს მოვახტი, გავაქროლე მერანი,
მიჰქრის ცხენი, არა აქვს, არც ფაფარი, არც ძუა,

წყლის დალევა მოუნდა გახურებულ აჩუას,
გავაქანე წყაროსკენ, წყალი ბლომად დალია.
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

მწუხრზე ზარის დარეკვა მესმის ძიძის ძახილად,
მომყავს ცხენი დაღლილი, ცხენოსანიც დაღლილა.
ძიძა მუხლზე დამისვამს, ლექსი იცის რამდენი!
ძილისპირულს დამმღერის ჩემი კარგი გამდელი.
ვუსმენ, მაგრამ არც ვუსმენ, ნახევრად სიზმარია:
„ფრინდი, ფრინდი, მარია, ხვალ თუ კარგი დარია“.

ისევ შემოდგომა

ისევ მოვიდა მშვენებით სავსე,
რა ლამაზია ეს ფერთა კრთომა.
მიყვარს, არ ვიცი რად მიყვარს ასე,
რად მიყვარს ასე ეს შემოდგომა!

ვზივარ მაღლობზე და აღტაცებით
გავყურებ სივრცეს მოწყენილ ცისკენ,
და ხმელი ფოთლის დაბლა დაცემის,
ხიდან მოწყვეტის ხმაურსაც ვისმენ.

მზის სხივი კრთება ცაზე, გვიანი,
სათქმელი ჰქონდეს თითქოს ფარული,
მზე დედასა ჰგავს ალერსიანი,
მიწა ბავშვია ძილმოპარული.

არა,
არა ჰგავს მიწა მომაკვდავს,
თუმცა ძლივს ახელს თვალს ფერმიხდილი.
მას დაღლილივით ძალი მოაკლდა,
მას ძილი უნდა, განა სიკვდილი?!

მას გაუხდია სამოსი ჭრელი,
საწოლთან უდევს, იგი მზად არი,
კვლავ ჩასაცმელად დაავლოს ხელი,
როგორც კი გავა ცივი ზამთარი.

იძინე ასე, ბუნებავ, ტკბილად,
მძინარიც მიყვარს მე შენი სახე
და ვიდრე მოვა ზაფხულის დილა,
იძინე, ტკბილი სიზმრები ნახე.

აი, ეს ქნარიც, ეს ჩემი ქნარიც,
შენს ძილისპირულს არ დამღერს განა?
ჩემი მწუხარე სიმღერა წყნარი,
მინდა გაისმას სევდიან ნანად!

დაჯექ ჩემს ახლოს, იყუჩე, კარგო,
ჩემს მკერდს მოეყრდენ თვალმიხუჭული,
მისმინე, ვიდრე არ დაიკარგოს —
ჩემი ხმაც, როგორც სიოს ჩურჩული.

იყუჩე და ტუჩს შეახებ, როცა,
უხმოდ შეეხე ჩემს მწყურვალ ტუჩებს
მაკოცე ჩუმად, რომ ჩვენმა კოცნამ
არ გააღვიძოს ბუნება უცებ.

სახრჩობელაზე ხელმწიფეები

ლამბერგი* მოჰკლეს და ლატური** უნგრეთის მტერი
თოკით დაახრჩეს, სხვისიც ბევრის დადგება ჯერი.
ძლიერ კარგია! ხალხი აღსდგა, ხალხი მკვნესარი,
გულს რომ მიხარებს, ფრთებს რომ მასხამს, სწორედ ეს არი.
მაგრამ არ კმარა მცირე მსხვერპლი. დიდს რომ შეები,
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!
დღეს რომ მოთიბავ მაღალ ბალახს პირბასრი ცელით,
ხვალ ისევ მწვანედ იბიბინებს მინდორი ვრცელი.
ხეს მოსჭრი რტოებს, გადაბელავ... მაგრამ დროებით,
ხე ისევ მალე იშრიალებს ახალ რტოებით.
ძირფესვიანად ამოთხარე ძველი ხეები,
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!
ნუთუ, ქვეყანავ, ხელმწიფეთა დანთქმას ვერ ბედავ,
ან სიძულვილი საკმარისი არ გაქვს მეფეთა?
სისხლს ავუვსებდი მეფის ზიზღით ადამის მოდგმას,
მე რომ შემეძლოს ჩავუწვეთო მათდამი ბოღმა.
ბოღმა რომელმაც აღაშფოთა ჩემი დღეები!
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!

ღვარძლიანია მათი გულის ყველა კუნჭული.
შხამს და საწამლავს აწოვებდათ დედა ჩურჩულით.
მათი სიხარბე, მათი მტრობა ავსებს საფლავებს,
მათი შეხედვა ხესაც ახმობს, ჰაერს აშავებს.
და მიწას ხრწნიან უკვე მკვდარნი, ბნელის ტყვეები.
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!

---

* გრაფი ლამბერგი—ავსტრიის მეფის ნაცვალი უნგრეთში. მოჰკლეს პეშტში 1848 წ.

** ლატური — ავსტრიის სამხედრო მინისტრი, რეაქციონერი. ჩამოახრჩეს ვენაში 1848 წ.

სიკვდილი დადის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში,
ყველაფერს ანგრევს ომის ცეცხლი, ცეცხლი უხეში,
იწვის ქალაქი, გახვეულა კვამლში სოფელი,
ცას სწვდება კვნესა, რადგან მეფე დაუნდობელი
ვერ გაძღა სისხლით, ვერც ხმლით მოგვსპო, ვერც ციხეებით,
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!

მაგრამ გმირთა სისხლს ბინდი დაჰკრავს დავიწყებისა,
დალეწილ გვირგვინს თუ არ მიჰყვა თავიც მეფისა.
დღეს თავდახრილი, მოსაჩვენრად თვალმიხუჭული,
თავს ისევ ასწევს ქედმაღლურად შავი ურჩხული
და სულ ამაო. აღმოჩნდება მსხვერპლი ვეება, —
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!

ყველას დანდობა, გული ძმობით იყოს მდიდარი,
მხოლოდ მეფეებს შებრალება არავითარი.
მათი დანდობა არის მთელი ერის ღალატი,
თუ სხვა არავინ, მე ვიქნები მეფის ჯალათი,
კალამს გადვისვრი,
წინ დავდგები ხელში ღვედებით.
სახრჩობელაზე ხელმწიფეები!

ისევ ტოროლა დამმღერის თავზე

ისევ ტოროლა დამმღერის თავზე,
მისი სიმღერა ისევ მეღირსა,
უმღერე, ჩიტო, ხალისით სავსევ,
უსაზღვროებას დიდი ქვეყნისას.

მსურს ბრძოლის შემდეგ ავხედო ზეცას,
ნაომარ ხელებს ცისკენ ვიწვდიდე,
შენი სიმღერა სისხლს ჩამომრეცხავს
და სულსაც განბანს შენი სიწმინდე.

თქვი ეგ სიმღერა ათას მოტივად,
სიმღერით ადი მაღლა, მზესავით,
მე ჯარისკაცი მხოლოდ როდი ვარ,
ხელობით შენი ვარ ნათესავი.

გულს სწვდება შენი წკრიალი შორი,
გასწი, გასცურე ცაში მხარულით,
ადიდე ჩემებრ ღვთაება ორი —
ღვთაება მუზის და სიყვარულის.

შენს სიმღერაში ჩემი ოცნებაც
ჰყავის მაისის ვარდის ბუჩქებად.
სულიც ლაჟვარდში შეიტყორცნება,
მაღლდება სული და იფურჩქნება.

ოცნებით შენებრ ღრუბლებში ავალ,
ბედნიერება ოცნებით ვპოეთ,
ნეტავი ფრენა შეეძლოთ მრავალთ
და არა მარტო ფრთოსნებს და პოეტს.

რადგან თვით ღმერთმა იცოდა, როცა
ოცნებით გვხდიდა თავის ზიარად,
რომ კაცთ ოცნებით მიწაზეც მოგვცა
სამოთხე. მარტო ცაში კი არა.

იმღერე, შენი სიმღერა თქმული
ჩემებრ ჩაესმას ჩუმს არემარეს,
აყვავდეს ვარდი, აყვავდეს სული,
გამოიღვიძოს სულმა მთვლემარემ.

მშობლების სიკვდილზე

როგორც იქნა მოველ თქვენთან.
მოლოდინით ათასგვარით,
მაგრამ მხოლოდ დარდი დამხვდა,
არაფერი გასახარი.

მამის ნაცვლად მხოლოდ მისი
კუბოს კუთხე ვნახე ერთი,
როცა დედა ჩავასვენეთ
შავ მიწაში მამის გვერდით.

აღარც დედა, აღარც მამა,
ვაი, რაღა მოსახლე ვარ,
აღარავინ, აღარც ერთი
აღარ დამრჩა მოსახვევად.

მათ ნატერფალს დავკოცნიდი,
სისხლი მზრდიდა მათი გულის.
მიწას ათბობს მზის სხივები,
მე — მშობლების სიყვარული.

ჩემო დედავ, ჩემო მამავ,
რად ჩახვედით ცივ სამარეს,
ალბათ, მაშინ დაისვენეთ,
გულს რომ მიწა მიგაყარეს.

მაგრამ თქვენი დასვენება
ჩემთვის იქცა სატანჯველად,
სხვებს რას მოვთხოვ, როცა თქვენც კი
გამიმეტეთ დასასჯელად.

მიმატოვეთ, დარდი მაკლდა?
კიდევ დარდი მომემატოს?
აჰა, ცრემლის დასაფრქვევად
თქვენს საფლავზე მოველ მარტო.

ჩასწვდი, ცხელი ცრემლის ღვარო,
მათ ცივ სხეულს გასათბობად.
უთხარ, როგორ სტკივა გული
მათ რომ შვილი დარჩათ ობლად.

მაგრამ არა, გავეცლები
მათ საფლავებს განწირულებს,
რომ არ ჩასწვდეს ჩემი ცრემლი:
ცხელი ცრემლი, მათ ცივ გულებს.

ჩემი ტანჯვა რომ გაიგონ.
ჩემი ლანდის მოჩვენება,
სამარეშიც დაუკარგავს
საუკუნო მოსვენებას.

განისვენეთ, გაგშორდებით,
თან წამყვება თქვენი ჯავრი,
მსურს წასვლის წინ, კვლავ დავკოცნო
თქვენს საფლავზე მდგარი ჯვარი.

ხედავთ, ჯვარიც მოსახვევად
ჩემსკენ იწევს ხელგაშლილი,
ო, ეს ჯვარი, ალბათ, თქვენ ხართ,
ჩაიკონეთ თქვენი შვილი.

პატრიოტული სიმღერა

ჩემო ქვეყანავ, შენი ვარ,
ჩემო უქრობო ცისკარო.
შენს გარდა ვინ მყვარებია,
შენს გარდა ვინ შევიყვარო!

ჩემი ხატება შენა ხარ,
ეს გული — შენი ტაძარი,
შენთვის ეს გულიც დაიწვას,
ტაძრისგან დარჩეს ნაცარი.

მხოლოდ გულს კვნესა აღმოხდეს,
ადრე დანგრეულს, უდღეურს,
სამშობლო იყოს დღეგრძელი, —
სამშობლო იყოს კურთხეულ!

ჩემს საიდუმლოს არ გავცემ,
არ გავხდი სხვათა ზიარად,
რომ ქვეყნად შენზე ძვირფასი
მე არა მაბადია რა.

მგზავრს ჩრდილი დასდევს მზიანში,
მე კი არ გტოვებ წამითაც.
დარშიც, ავდარშიც შენთან ვარ,
შენთან ვარ დღითაც, ღამითაც.

მწუხრისას ჩრდილი იზრდება,
იზრდება ჩემი ნაღველიც,
ნაღველი — ჩემი მამულის
წუხილის გამომსახველი.

შენს ერთგულებთან მივდივარ,
დაძმურ სუფრაზე როცა ვარ,
მე ღვინით სავსე ჭიქას ვსწევ
სამშობლოს დასალოცავად.

და თუმცა ღვინოს ამწარებს,
რაც შენთვის ცრემლი მდენია,
მწარე სასმისსაც ტკბილად ვცლი —
ეს სადღეგრძელო შენია!

იანოშ რაინდი

I

ცხელა გასაოცრად,
იწვის მთა და ბარი,
სულის მოსათქმელიც
ირგვლივ არსად არი.
მწყემსი გაუთანგავს
ტრფობას უმწეოდ და
ცეცხლი უკიდია
საწყალს უმზეოდაც.
სოფლის ბოლოზე რომ
მწვანე კორდებია,
ცხვარი ბალახსა ძოვს,
მინდორს მოსდებია.
ფარა სანამ ახლო
ძოვს და ხმაურშია,
მწყემსიც ბალახზე წევს,
ქურქი გაუშლია.
ირგვლივ გვირილები
ხრიან ნაზ კუკურებს,
მაგრამ მწყემსი ყვავილს
ზედაც არ უყურებს.
იქვე მოშორებით
მოხტის ნაკადული,
თვალს მას არ აშორებს
მწყემსი განაბული.
წყალს კი არ გაჰყურებს —
მაღალ ყელს ირმისას, —
წყალზე გოგონა დგას
ქერა, თეთრ-ყირმიზა,

დგას დალალდაწნული,
მკერდსავსე, მაღალი,
და გააქვთ ქერა თმებს,
ქერა თმებს ღაღანი.
ქალს კაბა მუხლამდე
აქვს ამოკვალთული,
ცივ წყალში სარეცხს რეცხს
შრომაში გართული.
და შიშველ მუხლებთან
წყალიც კრთის სხვაგვარად,
ფუჩეჩა იანჩის
გულის გასახარად.
წამომცდა, თუმც უკვე
მინდოდა გამხელა,
ფუჩეჩა იანჩი
მწყემსს ჰქვიან სახელად.
ის გოგო, მწყემსის გულს
შუქი რომ მოჰფინა,
იანჩის ოცნება,
ილუშკა ყოფილა.
„სულის დგმავ!“ ბაგეებს
აღმოხდა მღიმართა,
ფუჩეჩა იანჩიმ
ილუშკას მიმართა:
„მომხედე, უშენოდ
სიცოცხლე შემჯავრდა,
ძვირფასო, ამ ქვეყნად
სხვა ვინ მყავს შენს გარდა.
გამოდი, მოშორდი
ანკარა ნაკადულს,
რომ ზეცას ჩავხედო
შენს თვალში ჩახატულს,
ამოდი, თუნდ ერთ წამს,
ამოდი, ნაპირზე.

შენს ახლოს, შენს გვერდით
დაჯდომა მაღირსე“.
„ჩემთვის შენთან ყოფნა
არის ნეტარება,
მაგრამ სარეცხს ვრეცხ და
ძლიერ მეჩქარება.
მე დედა აღარ მყავს
და დედინაცვალი
არ მინდა, რომ დამხვდეს
შინ ისევ გამწყრალი.
არ მინდა, კვლავ გაძღეს
ჩემი თმის გლეჯითა“.
ეს სთქვა და კვლავ რეცხვა
განაგრძო ბეჯითად.
არაფრად ჩააგდო
ვაჟმა გაცბუნება,
წამოდგა, ალერსით
დაუწყო ცდუნება:
„ამო, ჩემო გვრიტო,
ამო, ჩემო მტრედო,
ერთი სიტყვა გითხრა,
ერთხელ შემოგხედო.
შენს ავ დედინაცვალს
აქ არა უნდა რა“.
მოალბო გოგონა
ვაჟკაცის მუდარამ.
სიტყვით მოიტყუა,
ვით თევზი ანკესით,
და ისხდნენ წყლის პირას,
გართულნი ალერსით.

II

დრო სწრაფად გარბოდა,
დროს როდი ეცალა,

ლერსში შუადღე
საღამომ შეცვალა.
და რომ შეიღება
ზეცა ვარდისფერად,
ავი დედაბერი
ბრაზით გაიბერა.
გახდა დასაბმელი,
მხეცის დასადარი —
შარას გაჰყურებს და
გერი არსად არი.
ჯერ გულში სწყევლიდა
ილუშკას ჩუმადა,
რომ აღარ გამოჩნდა,
ქოქოლას უმატა.
შერე ქოხის კარი
ქაქანით ჩარაზა
და გერის საძებრად
გავიდა შარაზე.
საბრალო ილუშკავ,
გაზრდილო წვალებით,
სასტიკ დედინაცვალს,
სად დაემალები.
იგი დგას შენს უკან,
ვაი შენს მოსწრებას!
სიზმარს არ დაგაცლის,
სატრფოსთან ოცნებას:
ახ შე უნამუსოვ, —
მოგდევს და მოგძახის —
შე-თავის მომჭრელო
საქვეყნოდ ოჯახის.
ეს არის ღელეზე
დარეცხვა ზეწრების?!
ნეტავ შენს დამარხვას
როდის მოვესწრები!“

„ახლა კი გეყოფა
ლანძღვა და მუქარა,
მაგ ობოლს საწყენი
კვლავ არა უთხრა რა,
რომ კიდევ ოდესმე
ილუშკას უკივლო,
ამ მუშტებს ხომ ხედავ,
დამრჩები უკბილო“.
მწყემსმა ავ დედაბერს
მრისხანედ დასძახა
და იხსნა ცემისგან
გოგონა ცახცახა,
მერე გულმოსული
აშარის სიანჩხლით,
ასე დაემუქრა
დედაბერს იანჩი:
„გერი არ დაჩაგრო,
აღარ ავაგლახო,
თუ არ გსურს შენს სახლზე
ცეცხლი ვაბალახო.
შრომობს დღედაღამ და
რად ხარ უმადური,
შენს ხელში ნატვრად აქვს
საწყალს ლუკმა პური.
გირჩევ, ჩამოეხსნა
სხვის ნამუსს დღეიდან,
არც შენ ხარ წმინდანად
გაზრდილი დეიდა!
შინ წადი ილუშკავ,
არ გავნებს არასდროს,
მე მითხარ თუ რამე
უღირსი გაკადროს“.
ქურქს ხელი დაავლო,
მუქარა იკმარა

და მწყემსი გაუდგა
გაფანტულ ცხვრის ფარას.

III

ცხვრები ველზე ჯგუფად
აღარ დადიოდნენ,
აქა-იქლა ჩანდა
კრავი ათიოდე.
საღამოს ბინდ-ბუნდმა
ცა შავად შეღება,
ძლივს შესძლო ცხვრის ფარის
ნახევრის შეკრება.
ხოლო ნახევრიდან,
თუმც ბევრი ეძია,
აღარც ჭედილაა,
აღარც ვაც-ვერძია.
ქურდმა მოსტაცა თუ
მგელმა ღორმუცელამ,
დარდი რას უშველის,
ძებნამ ვერ უშველა.
მოხდეს, რაც მოხდება
ბედის განაჩენით,
მწყემსმა შინ წარეკა
ცხვარი დანარჩენი.
მიდის და თან ფიქრობს
გაჩენის მგმობელი:
„იანჩი, დღეს დიდი
სეირი მოგელის.
დღეს ნახე ჯილდო და
მადლობა მეცხვარის,
ეს გაკლდა... ისედაც
მზესავით შეგხარის!“
წუხდა, თუმცა გული
შიშს არ იკარებდა,

ამ ფიქრში შეჩერდა
ფარეხის კარებთან...
ჭიშკართან პატრონი
დაუხვდა ცხვრის ფარის
და როგორც წესად აქვს
ცხვრის დათვლას იჩქარის,
„ნუ თვლიო, — მეცხვარეს
მწყემსი ეუბნება —
ფარის ნახევარიც
აღარ მეგულება.
თუნდ დამწვი, დამახრჩე,
მკარი სატევარი,
არ ვიცი, რით გიზღო
ფარის ნახევარი“.
მეცხვარემ შეჰბღვირა
ულვაშის სწორებით:
„თავს იგდებ! სახუმროდ
მონახე ტოლები.
თუ არ გექავება
ეგ ზურგი ძალიან,
გიჯობს გამეცალო,
შენთვის არ მცალიან!“
მაგრამ რომ დარწმუნდა
ნათქვამში მკვეხარა,
გაცოფდა, გავიქდა,
წარბები შეჰყარა.
აყვირდა: „ფიწალი,
ფიწალი ახლავე,
გავფატრავ, მაგის ძვლებს
ძაღლები დახრავენ...
ოი გაიძვერავ,
აი შე თაღლითო,
ყორნებმა შეგჭამონ
სვავებმა დაგფლითონ.

ალალ პურს ამისთვის
გაჭმევდი ცოდვიანს?
ამაგის გადახდა
რა კარგად გცოდნია!
დამღუპე, გამხადე
შენსავით ტიალი...
გამშორდი!..“ ისმოდა
მეცხვარის ღრიალი.
კეტს ხელი დაავლო,
სულმთლად გადირია,
და მწყემსს დაედევნა,
თითქო ნადირია.
სირბილით ჰკეცავდა,
იანჩი დიდ შარას,
თუმც შიში არ ჰქონდა,
არ იყო მშიშარა.
თუმცა ჯერ ცხრამეტი
წლის იყო მარტოდენ,
მწყემსები მის მკლავს და
მაგარ მუხლს ნატრობდნენ.
და დღეს თუ გარბოდა
მეცხვარის ეზოდან,
იცოდა სტყუოდა,
გამზრდელთან შესცოდა.
მოხუცის მორევა
თუმც იყო ადვილი,
მას როგორ შებმოდა
მისივე გაზრდილი.
გარბოდა, სანამ შორს
არ მისწყდა ძახილი,
სანამ არ მოეშვა
მოხუცი დაღლილი.
და როცა დამშვიდდა,
უშიშრად, აშკარად,

ნელ-ნელა გაუდგა
იანჩი გზა-შარას.
საით წასულიყო?
როგორც მთვარეული
უგზოდ მიდიოდა,
თავგზააბნეული.

IV

სოფლის ნაკადული,
როცა პაწაწინა,
ციდან ვარსკვლავების
შუქმა გააბრწყინა,
იგი უცებ გაჩნდა
თავის სატრფოს ქოხთან,
თუმცა არც იცოდა,
რატომ, როგორ მოხდა.
შედგა ნაღვლიანი
და ხმით საამურით
ტკბილად ააკვნესა
მწყემსმა სალამური.
ვაჟის თანამგრძნობლად,
უთვალავი ნამი
ბალახებზე დასხდა
როგორც ცრემლი ღამის.
გულის ძილში იყო
ილუშკა წასული,
იწვა ხმელ თივაზე
ლამაზი ასული.
ტკბილი ხმა ჩაესმა,
გაუწყდა სიზმარი,
სტუმარს გაეგება
გოგონა მღიმარი.
დადუმდა საკრავი —
მკვნესარე ბულბული,

ქალს შეხვდა ვაჟკაცი
სახემოღრუბლული.
„კაცის ფერი არ გდევს,
თქვი, რა მოგივიდა,
რატომ წამომდგარხარ
ამ დროს ლოგინიდან?“
„როგორ არ დამადნობს
ილუშკავ ნაღველი!
ვარ უკანასკნელად
დღეს შენი მნახველი“.
„რას ხუმრობ იანჩი,
რა ამბებს იგონებ?
ასე რად მაშინებ,
გულს რატომ მიღონებ?“
„არ ვსტყუი, ეს ღამე
ჩვენი გამყრელია,
კვნესაც სალამურის
უკანასკნელია.
უკანასკნელია კოცნაც,
ეს გახსოვდეს,
გტოვებ, ვეღარ მნახავ,
ალბათ, ვერასოდეს“.
თქვა და დაწვრილებით
უამბო ყოველი,
ბრიალა თვალები
ცრემლების მთოველი,
რომ არ შეენიშნა
სატრფოს მთვარიანში,
თავი ქალის მკერდში
ჩამალა იანჩიმ.
„გტოვებ, რას არ უძლებს
თურმე კაცის გული,
ზოგჯერ მომიგონე
სატრფო განწირული.

ტოტი ქარისგან, რომ,
ნახო მომტვრეული,
ცრემლით მომიგონე
სატრფო შორეული“.
„წადი, რაკი ბედმა
ასე მოიტანა,
შენზე მე ვილოცებ,
მუდამ, შორიდანაც.
თუ გზად მოწყვეტილ ვარდს
ფეხი წამოჰკარი,
სატრფო გაიხსენე,
შენთვის ჩამომდნარი“.
იყო მათი გაყრა
გულის დამკოდავი,
ასე, ხეს ფოთოლი
სწყდება საცოდავი.
ისე გაიყარნენ
ვაუმა არ იცოდა,
რა გზას გაჰყვებოდა,
საით წავიდოდა.
ველზე ცხვრის ფრუტუნი,
წყნარი ხმა ეკვანის,
თითქოს არც ესმოდა
მოცულს კაეშანით.
შედგა ერთი წუთით
სოფლის მოშორებით,
უკვე აღარ ჩანდა
ალი კოცონების.
მხოლოდ უზარმაზარ
სოფლის სამრეკლოდან,
ზოგჯერ შავი ლანდი
მინდორს გადეკროდა.
მწყემსმა ოხვრით მისცა
წუხილს გასაქანი,

ალბათ, რომ მდგარიყო
ახლო კაცთაგანი,
რაგინდ ყოფილიყო
გულქვა, უდარდელი,
მაინც დაუვლიდა
ტანში ჟრუანტელი.
მაგრამ არვინ ჩანდა,
მხოლოდ წეროები
ცაზე გაკრულიყვნენ,
როგორც ჩეროები.
ასე მიდიოდა...
იდგა მთვარის შუქი,
მხარ-ბეჭს უმძიმებდა
თბილი, ზამთრის ქურქი.
მაგრამ სხვა სიმძიმე
რაა, როცა 'გული
ჰქონდა სიმძიმილით
ვაჟკაცს მოწამლული?!

V

მზემ ციდან მთვარე გააქრო,
სხივნი დაგზავნა ფრთამალი.
გათენდა, უზარმაზარი
გადაიჭიმა ტრამალი.
სანამ კი თვალი წვდებოდა
აღმოსავლით და დასავლით,
მხოლოდ მინდორი მოჩანდა,
დიდი მინდორი ზღვასავით.
ხე არსად იდგა, არც ბუჩქი,
რიჟრაჟი იყო, სისხამი,
ბალახზე მარგალიტებად
ისხდა ურიცხვი ცის ნამი.
ველზე, ველივით უძრავი
ერთი ტბა იყო პაწია,

მზის სხივმა ცის კიდურივით,
ისიც ვარდისფრად აქცია.
ტბასთან ცალ ფეხზე შემდგარი,
ადრე ამდგარი ამ დილით,
ყანჩა ეძებდა საუზმეს,
ლელებში კისერგაწვდილი.
იქ, სადაც ტბის ზედაპირის
თვალისმომჭრელი ბროლია.
თოვლისფერ ფრთებით დაფრენდა
აურაცხელი თოლია.
წინ მიდიოდა იანჩი,
გზა დიდი ჩანდა სავლელი,
თან თავის ლანდი მისდევდა,
ისიც მწუხარე, შავბნელი.
მზემ ყველგან შუქი მოჰფინა,
მის გულს კი მზეც ვერ შველოდა,
კვლავ ღამე იყო მის გულში,
კვლავინდებურად ბნელოდა.
შუადღე დადგა. ჩამოცხა,
ვარვარი იწყო ზეცამა,
შედგა იანჩი დაღლილი,
დრო იყო, პური ეჭამა.
დიდი გზა გამოუვლია,
წინ კიდევ გზა რამდენია,
გუშინ დილიდან ჯერ ყელში
ლუკმა არ გადასცდენია.
დაჯდა, წინ გუდა დაიდო,
გახსნა, დალოცა გამჩენი,
პურის ნატეხი იპოვნა,
შაშხის პატარა ნარჩენი.
შეექცა, კარგად დანაყრდა,
ლორით და პურით ცივითა,
ფეხზე წამოდგა, ლურჯ ტბასთან,
პატარა ტბასთან მივიდა.

დაქანცულს, სიცხით პირგამშრალს
წყალი სწყურიოდა ძალიან,
ქუდი აავსო სუფთა წყლით,
დაეყრდნო ზედ და დალია.
ტბა იყო წმინდა, კამკამა,
მწყემსის დარდივით უძირო,
ტბის ახლო გაწვა მინდორზე,
ძილი მოუნდა უძილოს.
თვალი იმ წამსვე მილულა
და თავი ვეღარ აწია.
ქვეშ ლებად ეგო ბალახი,
ბალიშად — ბორცვი პაწია.
როგორც კი თვალი მოხუჭა,
მაშინვე ნახა სიზმარი:
მკერდს ჰყავდა სატრფო ჩაკრული —
ილუშკა დაუვიწყარი.
თვალებში კოცნა მოუნდა
ძეკლუცად, რომ გაუღიმა,
მაგრამ იმ წამსვე გაუფრთხო
ძილი ძლიერმა ქუხილმა.
გახედა, ვერ გაარკვია,
კიდევ დღე იყო თუ ბნელი,
ოთხიმხრივ აქოჩრილიყო
საავდრო შავი ღრუბელი.
ვით გუშინ უბედურება
დაატყდა უცებ იანჩის.
ასევე უცებ, საავდრო
ღრუბელი გაჩნდა მზიანში.
ქვეყანამ შავი ჩაიცვა,
თითქო ჩამოდგა უკუნი,
ცას სჭრიდა ელვის ლახვარი,
მიწას არყევდა გრუხუნი.
ბოლოს ცამ პირი გაიხსნა
და უთვალავი წვეთებით,

ტბაზეც, ტრამალზეც, ჩამოდგა
ურიცხვი წვიმის სვეტები.
კომბალს დაეყრდნო იანჩი,
შუბლს ქუდი ჩამოეფხატა,
ქურქწამოსხმული ვაჟკაცი
დელგმას წინ უდგა ვეფხვადა.
იდგა უშიშრად, გასცქერდა
გამძვინვარებულ ავ ტაროსს,
თითქო დაქცევას ლამობდა
მის თვალწინ მთელი სამყარო.
მაგრამ სულ ჩქარა გათავდა
ცის ამოდენა ქადილი,
უეცრად ჩადგა გრიგალი,
უეცრად ამოვარდნილი.
მსუბუქმა ქარმა გაჰფანტა
ციდან ღრუბელთა გროვანი,
და ცისარტყელა გამოჩნდა
ბრწყინვალე, შვიდფეროვანი.
ჩამოიბერტყა იანჩიმ
ქურქიდან წვიმის ღვარები,
გზა გააგრძელა ხელახლა,
წყალს წაელეკა შარები.
საღამო იყო, დაისმა
ცა წითლად ააელვარა,
წინ მიდიოდა იანჩი,
ერთ წუთსაც არსად შემდგარა.
უკვე ტრამალი გალია,
უკვე გათავდა გზა-შარა,
უსიერ ტყეში შესული
ხეების ჩრდილმა დაჰფარა.
სადღაც მძორს გლეჯდნენ სვავები
მწვანის და ჩრდილის ალყაში,
ტყეში შემოსულს პირველად
ყორანი შეხვდა ყაშყაშით.

მწყემსს არ ზარავდა ბნელი ტყე,
არც ყვავ-ყორნების ყრანტალი,
წინ მიდიოდა ვაჟკაცი
ძლიერი, ალალმართალი.
ტყეში არ იყო ბილიკიც
კაცის ფეხისგან ნათელი.
მგზავრს უნათებდა უღრანში
ფერმკრთალი მთვარის ნათელი.

VI

შუალამისას, მიმავალს,
მოულოდნელად, ანაზდად,
სანთლის ციალმა შორიდან
თვალებში შემოანათა.
გახარებულმა იანჩიმ
იქით გასწია უცებ და
მიხვდა: სარკმლიდან ყოფილა
შუქი უღრანს რომ უწევდა.
იფიქრა: ფუნდუკი არის,
მიტომ უნთიათ ლამპარი,
ნაღდად ტყეშივე ვიშოვე
დაღლილმა თავშესაფარი.
სწორედ კარგ ფეხზე მოვედი,
ამინდმაც გამოიდარა,
შევალ და ღამეს გავათევ,
სხვა მეტი არა მინდა რა!
მაგრამ მოტყუვდა, დახვედრა,
თურმე ელოდა სხვაგვარი,
სახლი აღმოჩნდა ყაჩაღთა
ფარული თავშესაყარი.
იმ წამში ჰქონდათ ყაჩაღებს
შეკრება (ესეც ბედია!)
ქოხში თორმეტი ყაჩაღი
იყო და ძლივსღა ეტია,

ღამე... თორმეტი ყაჩაღი,
დამბაჩები და დანები...
მათკენ რა ფეხი წაგიყვანს,
კარს როგორ წაეტანები!
მაგრამ ფუჩეჩა იანჩი,
როდის ყოფილა მშიშარა,
კარი შეაღო თამამად,
გულს შიში არ გაიტარა.
ზღურბლზე შედგა გაუღიმა,
არ მოხრილა წელში სამად,
„კაიკაცებს სალამიო!“ —
არხეინად მიესალმა.
უცხო კაცის დანახვაზე
ხელი სტაცეს ხანჯლებს ხელად,
მეთაურმა ანიშნათ და
გააჩერა წამსვე ყველა.
ყაჩაღების მეთაურმა
მწყემსს შეხედა ალმაცერად:
„უბედურო, აქ რა გინდა?
მოგიყვანა, ალბათ, წერამ,
ან ცოლ-შვილმა, ან დედ-მამამ
თავი რად ვერ შეგაცოდეს?
აქ მოსული, დღეის შემდეგ
მათ ვერ ნახავ ვერასოდეს!“
ვაჟკაცს სულ არ ჩაუგდია
მეთაურის ეს მუქარა,
განსაცდელის მოლოდინმა
მას წარბიც ვერ შეუხარა,
ვითომ ლხინში შემოსულა,
წინ ნაბიჯი წადგა დინჯად,
ჩაახველა და მტკიცე ხმით
უპასუხა ყაჩაღს ყინჩად:
„ის, ვინც ხედავს სიცოცხლეში
ხიტკბოს რასმეს სანეტაროს“.

კარგად იზამს თქვენს ნაკვალევს
ახლოს სულ არ გაეკაროს.
მე სიცოცხლე ჩალად მიღირს,
მისი ფასი კარგად ვიცი,
ვისთან მოველ, არ დაგიდევთ,
შიში არ მაქვს არავისი.
თუ სიცოცხლე გინდათ ჩემთვის,
საქმე ჰქენით საპატიო,
ნება დამრთეთ თქვენს ბინაში
თქვენთან ღამე გავათიო.
თუ სიკვდილი გადასწყვიტეთ,
მე მზადა ვარ, არსად წავალ,
აასრულეთ, არ გავანძრევ
თითსაც თავის დასაცავად“.
ესა თქვა და არხეინად
ჩაიქნია ვაჟმა ხელი,
გაოცებით შეჰყურებდა
თორმეტივე კაცის მკვლელი.
ყაჩაღების მეთაურმა
მწყემსს შესძახა აღტაცებით:
„ყაჩაღობა საქმე არის
შენისთანა ვაჟკაცების.
მამაცი ხარ, თქმა არ უნდა,
მკერდში არ გაქვს ქალის გული,
დაბადებით, თვითონ ღვთისგან
ხარ ყაჩაღად დანიშნული.
შენ სიკვდილი არ გაშინებს,
არც სიცოცხლე გიღირს დიდად,
მოგვეც ხელი, შენისთანა
ყაჩაღს ვეძებთ დიდი ხნიდან!
ჩვენ კაცის კვლას თამაშად ვთვლით,
ძარცვა-გლეჯის არ გვაქვს შიში,
საშოვარს და მდიდარ დავლას
არ აქვს თვლა და ანგარიში.
ამ გოდორში ვერცხლი არი,
იმ გოდორში ოქრო წმინდა,

გსურს თუ არა ჩვენი ძმობა,
გადაწყვიტე როგორ გინდა!"
მწყემსის თავში დატრიალდა
უცებ აზრი ათასგვარი,
გაიღიმა, თითქო მართლა
უთხრეს რამე გასახარი:
„რაკი ჩემი ძმობა გინდათ,
ჩემი ნატვრაც ხომ ეს არი,
ჩემს უნათლო ცხოვრებაში
ძლივს ნათელ დღეს მოვესწარი!"
„ჰოდა ამ დღის სამახსოვროდ —
მეთაურმა დაჰკრა ტაში —
ერთი ისე მაგრად დავთვრეთ
აგვივარდეს ცეცხლი თავში,
ამ უბედურ სახლის პატრონს
ქვევრში დარჩა ბლომად ღვინო,
მისი სული მოვიხსენოთ,
დავჯდეთ, რჯულზე მოვილხინოთ",
დასხდნენ, სვეს და მოილხინეს,
გამოცალეს სავსე კასრი,
ღვინო ისე მოერიათ,
აღარ შერჩა არცერთს აზრი.
მხოლოდ მწყემსი არა სვამდა,
შეჰყურებდა უჩვევ სურათს,
სავსე სასმისს განზე დგამდა,
იპარავდა ოსტატურად.
ბოლოს ძილი მოერია,
ყაჩაღების ველურ ხროვას,
იანჩისაც ეს უნდოდა,
ადგა, როდი ეუცხოვა.
„ძილი ნების თქვენი ძილი
ახლა ისე ძლიერია,
რომ ხელახლა გაღვიძება
საიქიოს გიწერიათ.
თქვენ ბევრის დღე დააბნელეთ,

თან მიგყვებათ ბრალი დიდი,
დღეს მე უნდა გადაგხუროთ
საუკუნო ლამის ბინდი.
ამ ოქროსაც ვუპატრონებ,
თან წავიღებ სავსე ქისას,
ავუსრულებ ჩემს ილუშკას
ფიქრს და ნატვრას დიდი ხნისას.
დედინაცვალს მოვაცილებ,
გულს მოვულბობ ფულით კაპასს,
მერე სატრფოს შევუკერავ
საქორწინო ლამაზ კაბას.
ჯვარს დავიწერ ილუშკაზე,
კოხტა ოდას ავაშენებ,
და ლამაზი ცოლის ეშხით
კარ-მიდამოს დავამშვენებ.
მთელ სოფელთან ვიმეზობლებთ,
არ ვიქნებით მარტოები,
ტკბილ ცხოვრებას გავატარებთ
მშვიდობით და სათნოებით.
მაგრამ ღმერთი! რასა ვბოდავ,
ჭკუიდან თუ გადავსულვარ?!
ნაყაჩაღარ ოქროს ახლავს
პატრონების წყევლა-კრულვა.
ამ ოქროებს, ალბათ, აზით
ზედ პატრონის სისხლი დაღად,
და მე მათი დამხარჯველი
ქვეყნად როგორ ვივლი ლაღად.
მე რომ სინდისს ვუღალატო,
დამეყაროს შავი მიწა,
არად მინდა, ნაცოდვარი
ფულით ხელს არ წავიბილწავ!
მაპატიე, სატრფოვ, თუმცა,
ვიცი შენთვის არის ძნელი,
ისევ ისე უნდა ზიდო
ობლის ტვირთი საშინელი“.

ესა თქვა და წამსვე ოქროს
ზიზღით თვალი მოაცილა,
ანთებული სანთლით ხელში
გამოაღო კარი ფრთხილად,
და ხის სახლის სახურავი
ცეცხლს ოთხკუთხივ სწრაფად მისცა,
ალმა უცებ ავარდნილმა
გაანათა ცა და მიწა.
გამძვინვებულ ხანძრის შუქზე
გაფერმკრთალდა მთვარე ბადრი,
ყველაფერზე შავი კვამლი
გაწვა, როგორც შავი ჩადრი.
ირგვლივ ყველა გაანათა
ცეცხლმა დიდით პაწიამდე,
ხიდან ჭოტი წამოფრინდა,
ღამურები აწრიალდნენ.
საიდანაც შუქი მოხვდათ,
მიაშურეს იმავ მხარეს
და ღამეში ფრთების ცემით
შუქზე დიდხანს იფართხალეს,
დილით, ადრე, მზე რომ ცაზე
დაჯდა, როგორც პატარძალი,
გაანათა ნანგრევები,
წუხანდელი ნახანძრალი.
სახლს ფუძემდე მოსდებოდა
ცეცხლი ქარის ნაჩაღები.
ჩონჩხებიღა ჩანდა მხოლოდ
ცოცხლად დამწვარ ყაჩაღების.

VII

მიდის იანჩი, წინ მიდის,
კვლავ ცხრა მთა გადაიარა,
არც სახლი ახსოვს ყაჩაღთა,
აღარც ხანძარი ბრიალა.

უეცრად თვალისმომჭრელად,
რაღაც გაბრწყინდა ტრამალში,
თოფ-იარაღი ყოფილა,
ლულებზე შუქის თამაში.
ჯარისკაცები ცხენებით
მოდიან მხარბეჭიანნი,
მათ ფარ-ხმალსა და საჭურველს,
მათ დეზებს გააქვს ბრჭყვიალი.
მხედრებიც, მათი ცხენებიც,
სულ რჩეულია სუყველა,
მოთამაშობენ რაშები,
ძუა-ფაფარი უღელავთ.
ნეტავ მათ, ნეტავ. იმ ადგილს,
სადაც მათ დაისადგურეს,
მათ დანახვაზე იანჩის
გული არ შერჩა საგულეს.
ფიქრობდა: „ნეტავ მათ რაზმში
მეც ჩამრიცხავდნენ ჰუსარად,
წელზე ხმალს შემომარტყამდნენ,
თავს დამხურავდნენ მუზარადს“.
ამ ფიქრში იყო იანჩი,
რომ გაუსწორდნენ მხედრები,
რაზმის უფროსმა შესძახა:
„რა ღობე-ყორეს ედები?
რა დარდი გაწევს ძმობილო,
ფარსაგად არ მეჩვენები,
აგრე რა ფიქრმა წაგიღო,
არ გაგვისრისო ცხენები!“
იანჩიმ უფროსს მიუგო:
„თქვენი გზა იყოს კეთილი,
მე ტლუ ბიჭი ვარ, უბრალო,
ბედისგან კარდაკეტილი.
მაგრამ თქვენ რაზმში, რომ ვიყო,
თქვენ მოგყვებოდეთ ქარავნად,

ცას ქუდად არ მივიჩნევდი
და დედამწიას ქალამნად!“
უფროსმა უთხრა: „დაფიქრდი,
კაცი არ გვინდა ურგები,
ჩვენ ლხინში როდი ვიჩქარით,
ხმლით უნდა ვხოცოთ თურქები.
ურჯულო თურქთა ლაშქარი
საფრანგეთს შემოესია,
ფრანგთა საშველად მივდივართ,
როგორც რაინდთა წესია“,
„თუ ასე არი, მით უფრო, —
მწყემსმა მიუგო მეთაურს, —
მინდა მეც ომში გამოგყვეთ,
ზურგზე მოვახტე ბედაურს.
სჯობია მოვკლა ურჯულო,
ვიდრე თვით მომკლავს ნაღველი,
თქვენს რაზმში ბრძოლა, თქვენს გვერდით,
ჩემთვის იქნება სახელი.
მართალია, დღემდე მერნად
მყავდა მხოლოდ სახედარი,
რადგან ცხვარში გავატარე
სიჭაბუკის ნახევარი.
მაგრამ ჩემებრ უნგრელისთვის
უნაგირი ტახტი არი,
ცხენზე ჯდება, ოდიდანვე,
ცხენზე კვდება მადიარი“.
მწყემსი ასე საუბრობდა
ცხენოსნობის ეშხით მთვრალი,
მაგრამ უკეთ მეტყველებდა
აღგზნებული მწყემსის თვალი.
ამიტომაც ბედმა ერთხელ
გაუღიმა საწყალ მწყემსსა,
მოეწონა რაზმის უფროსს,
თავის რაზმში გაამწესა.
იმ სიხარულს ვერ გადმოგცემთ,
რაც იანჩიმ განიცადა,

როცა იგი ჯარისკაცის
ტანისამოსს ტანთ იცვამდა.
საწყალს სახე გაუბრწყინდა,
მწვანე ტანისამოსითა
მუნდირი რომ დაიმშვენა,
ოდნავ ხმალი ამოზიდა.
ცხენს მოახტა, ურა კვიცი
ძლივს დადრიკა სადავითა,
ყალყზე შედგა ფეთიანი,
სამ კამარას გადავიდა.
მაგრამ მხედარს მკლავში ჰქონდა
ძალა მართლა ჯადოსნური,
ისე იჯდა, თითქო იყო
უნაგირზე ამოსული.
შეჰყურებდნენ ჰუსარები,
ცხენოსნობის ნიჭი უქეს,
აოცებდათ მხედრის ძალა,
სიმკვირცხლე და სიმსუბუქე.
ყველგან სადაც ბინა ჰქონდათ,
გახდა ღირსი მოწონების,
წასულს ცრემლით აცილებდნენ
სულ რჩეული გოგონები.
ქვეყნად ტურფას რა გამოლევს,
ყველგან მათი სავარდეა,
მაგრამ გულში ჩვენს ცხენოსანს
ერთიც კი არ ჩავარდნია.
ნახა ყველა ლამაზები,
თითქმის რაც რომ ქვეყნად არი,
მაგრამ არვინ შეხვედრია,
თავის სატრფოს შესადარი.

VIII

მიდიოდა რაზმი სულ წინ,
ველზე ღამენათევარი,

უბრძოლველად გაიარეს
სათათრეთის ნახევარი.
მაგრამ ქვეყნის შუაგულში
ხალხი ნახეს გასაკვირი,
ყველას ჰქონდა ძაღლისთავი,
დაღრენილი ძაღლთაპირი,
მათ დიდ ლაშქარს უცებ შეხვდნენ,
მაღლობი რომ გადიარეს.
ძაღლთაპირმა თათრის მეფემ
ასე უთხრა მადიარებს:
„თუ აქ სამტროდ მოსვლას ბედავთ,
თვალებს არც ჩვენ დაგიკოცნით,
ჩვენ ხალხს ვეძებთ შესაჭმელად,
ვიკვებებით კაცის ხორცით“.
შეეშინდათ მადიარებს,
მცირე იყო რაზმი მათი,
თათართ მეფეს ჯარი ახლდა,
რაზმეული ასჯერ ათი.
მაგრამ იღბლად იმ მხარეში
მეგობარი მათი ერის,
სტუმრად იყო ზანგთა მეფე
უნგრელების მადლიერი.
მან მაშინვე გამოიდო
თავი რაზმის დასახსნელად,
სიკეთით და ვაჟკაცობით
თავის ტომი ასახელა.
თურმე ერთხელ უნგრეთს იყო,
მოეწონა მათი ერი,
უნგრელ ხალხის სიკეთისთვის
რაზმს მიუზღო მაგიერი.
მადიართა რაზმის ბედი
წავიდოდა მართლა შავად,
ოგი რომ არ გაჩენოდათ
თათართაგან დასაცავად.

რადგან იგი თათრის ხანის
მეგობარი იყო დიდი.
ხანს თამამად მოახსენა,
ან რა ჰქონდა მოსარიდი:
„მეგობარო, მენდე, მაგ ხალხს
კარგად ვიცნობ თუ ვინ არი,
ქვეყნად ერი სხვა არ არის
უნგრელ ერზე უწყინარი.
გთხოვ, უვნებლად გაატარო,
მათ არ მართებთ სისხლი თათრის,
არაფერი დაუშავო,
თუ გაქვს ოდნავ ჩემი ხათრი“.
„შენი ხათრით რას არ ვიზამ —
მხარზე დაჰკრა ხანმა ხელი, —
თან მეგზურსაც გავაყოლებ,
ძნელი გზა აქვს გასავლელი“.
ესა თქვა და მართლა მოლბა
თათრის ხანი საკვირველი,
რაზმს ბრძანება დაუწერა,
რომ არ ეხლო არვის ხელი.
გაემართნენ, თუმცა მეტი
არ უნახავთ ფათერაკი,
მაინც დიდად გაიხარეს,
თათრის საზღვარს გასცდნენ რაკი.
რადგან მხარე უნაყოფო,
მწირ უდაბნოს უფრო ჰგავდა,
გზად არაფერს სთავაზობდნენ
გარეული ხილის გარდა.

IX

სათათრეთის მთა და ველი
უკან, ცხრა მთას იქით დარჩათ,
რაზმს ნელ-ნელა შემოერტყა
ირგვლივ მწვანე ტყეთა ფარჩა,

ცხენოსნები ამით მიხვდნენ,
იწყებოდა იტალია
ეს ქვეყანა უცხო ტყით და
ხეთა ჩრდილით მდიდარია.
აქ არავინ შეხვედრია
ჩვენს რაზმს სამტროდ, ბრძოლის ხანძრით,
მხოლოდ ყინვამ საშინელმა
გაუმართათ ომი მკაცრი.
ასე იცის იტალიამ,
იქ ზაფხულშიც ზამთარია,
მაგრამ უნგრელს ყინვა გასტეხს?!
— ის ყველაფრის ამტანია.
თუმც სასტიკი თოში ზრავდათ,
თოვლი იყო მუხლზე მაღლა,
მაინც გზას წინ მიიკვლევდნენ,
არ იმჩნევდნენ მაინც დაღლას.
და როდესაც ყინვა სარკედ
ჰაერს ჰკრავდა ცის კიდემდე,
ცხენებიდან ძირს ხტებოდნენ,
ცხენებს ზურგზე იკიდებდნენ.

X

გადაურჩნენ მკაცრ ყინვას და
იტალიის სასტიკ ქარებს,
როგორც იყო მიაღწიეს
პოლონეთის ნაცნობ მხარეს.
სწრაფად განვლეს პოლონეთი,
მისი სწორი გზები აქეს,
საზღვარს გასცდნენ, ვეღარ შეხვდნენ
ინდოეთის მთებში ვაკეს.
თუმც საფრანგეთს ემიჯნება
ინდოეთის შარა გრძელი,
საფრანგეთის საზღვრიდანვე
გზა იწყება მეტად ძნელი.

ინდოეთის მთელ მხარეში
სადმე ტრამალს ნახავ განა?
ჯერ პატარა მთა-გორები
შეუმჩნეველ რკალად დგანან,
მაგრამ შემდეგ ეს გორები
მაღლდებიან ცისკენ უცებ,
და სიმაღლით ზოგიერთი
თვით უმჩატეს ღრუბელს უსწრებს.
აქ, იცოცხლე, ჩვენს ცხენოსნებს
დღე დაადგათ მართლა ცხარე,
დასცხათ, მკერდი გაიღეღეს
და გზადაგზა ოფლი ღვარეს.
და არც იყო გასაკვირი,
რომ სცხელოდა მხედრებს, რადგან,
მზე სულ რაღაც ასიოდე
ადლით იყო მაღლა მათგან.
რა ხანია აღარ იყვნენ
ლუკმაპურის მნახველები,
დამშეულნი, გასქელებულ
ლაჟვარდს კბეჩდნენ გახელებით.
მწყურვალები ხელს უჭერდნენ
ღრუბელს, როგორც ძროხის ჯიქანს,
და ნაწურით პირს ივსებდნენ,
ვით თბილი რძით ბროლის ჭიქას,
როგორც იყო მიაღწიეს
მწვერვალს სვენებ-სვენებითა,
დასცხათ, ცხენზე ვეღარ გაძლეს,
ძირს ჩამოხტნენ ცხენებიდან.
თვით ცხენებსაც გაუპირდათ
სწრაფად გავლა მწვერვალების,
ვარსკვლავს ფეხს რომ წამოჰკრავდნენ,
ბრმავდებოდნენ ელვარებით.
სანამ გზა ჰქონდათ მნათობთა
დამაბრმავებელ ბრჭყვიალში,

ვარსკვლავებს შორის, თავისთვის,
ასე ფიქრობდა იანჩი:
„ამბობენ, ციდან რამდენი
ვარსკვლავი წყდება ღამ-ღამით,
სიკვდილისაგან იმდენ კაცს
დაეხურება წამწამი.
შენს ბედად დედინაცვალო
არა ვარ ვარსკვლავთ მცნობელი,
არ ვიცი ამდენ ვარსკვლავში
შენი სად არი, რომელი,
თორემ ახლავე მოვწყვეტდი,
რომ დავინახო სად არი,
ილუშკას ტანჯვა-ვაებას
დაედებოდა საზღვარი,
მთები თანდათან დადაბლდნენ,
ბარისკენ იწყეს დაშვება,
მზე მგზავრებს აღარ აყრიდა
მცხუნვარე სხივებს დაშნებად,
სიცხემ იკლო და აგრილდა,
როგორც დაადგნენ დიდ შარას,
უნგრელთა თვალწინ ფრანგების
ქვეყანა გადაიშალა.

XI

რა შეედრება საფრანგეთს,
მხარეა მართლაც ზღაპრული,
ამ ქვეყნიური სამოთხე,
მშვენიერებით განთქმული,
მიტომ დაადგეს თურქებმა
ბოროტი თვალი ამ მხარეს,
შემოესივნენ, დალეწეს,
ხალხი აიკლეს, აჰყარეს.
როცა ფრანგების საშველად
უნგრელთა რაზმი მოვიდა,

ქვეყანა იყო მოცული
ტირილითა და გლოვითა.
ვერ გამძლარიყვნენ სისხლის სმით,
ძარცვით, ნგრევით და ტაცებით,
ხატებზე ოქროს აგლეჯდნენ,
მთლად წაებილწათ ტაძრები.
დაუნგრეველს და დაუწვავს
ქვას არ ტოვებდნენ ადგილზე,
ფრანგს სადაც წააწყდებოდნენ,
ცოცხლად აგებდნენ მარგილზე.
უღონო, მტრისგან დევნილი
მეფე ტყვედ იყო გასული,
ტახტი წაართვეს, მოსტაცეს
ულამაზესი ასული.
მტრისაგან გადარჩენილი
შემთხვევით, რაღაც განგებით,
ამ დღეში ნახა უნგრელთა
რაზმმა ხელმწიფე ფრანგების.
თულივით იმალებოდა,
თავს ინახავდა წვალებით,
მის დანახვაზე ცხენოსნებს
ცრემლით აევსოთ თვალები.
დევნილმა მეფემ უნგრელებს
მიმართა ოხვრით, გოდებით:
„ხომ ხედავთ, რას მოვესწარი
ჩემს დანახვაზე ღონდებით.
მთელს ქვეყანაზე სიმდიდრით
ტოლი არ მყავდა არავინ,
ახლა მათხოვრად ვიქეცი,
მინდორში მიდგას კარავი“.
უნგრელთა რაზმის უფროსმა
ხელმწიფეს უთხრა ნუგეში:
„შენს შეწუხებას ინანებს
ბოროტი მტერი, უხეში.

ამისთვისა ვართ მოსულნი,
თვით დარწმუნდებით ამაში,
სულ მალე უნდა გაჩვენოთ
თურქების ცეკვა-თამაში.
დღეს წავიძინებთ, ხვალამდის
დრო საკმაოზე მეტია,
გრძელ გზაზე ბევრჯერ მოგვიხდა,
უძილოდ ღამე გვეთია.
ხვალ კი მტერს ზურგზე ბოლს ვადენთ,
ამაზე ნუ გეფიქრებათ,
დილითვე შენი ქვეყანა
ხელახლა შენს ხელთ იქნება".
„რა ოჯრად მინდა ქვეყანა,
ტიალად დამრჩეს ქონება,
თუ ერთადერთი ასული
ჩემს ახლოს არ მეყოლება.
თურქების ფაშამ მომტაცა,
ძნელია მისი მიგნება,
ვინც გამოიხსნის ჩემს ასულს,
ის ჩემი სიძე იქნება".
ამ აღთქმამ აღფრთოვანება
გამოიწვია საერთო,
ყველა უნგრელი მეომრის
გულში იმედი აენთო.
ყველა მათგანი ფიქრობდა:
„სიძე მე გავხდე ეგების,
ან მეფის ასულს დავიხსნი,
ან მტრის ხმალს წამოვეგები".
მათგან მარტოდენ იანჩი
შორს იდგა, განაპირებით,
კარგად არც გაუგონია
ხელმწიფის დანაპირები.
შორს ჰქროდა მისი გონება,
არც იყო გასაკვირველი,

მას თვალწინ უდგა ილუშკა,
ლამაზებს შორის პირველი.

XII

რომ გათენდა, ჩვეულებრივ
მზემ ასწია მაღლა თავი,
გაუკვირდა, დაინახა
უჩვეულო სანახავი.
განგაშებდნენ, გაემართათ
საომარი სამზადისი,
მზე შეკრთა და დაბარბაცდა,
გადასწყვიტა ჩასვლა დღისით.
ბუკსა ჰკრეს და ნაღარასა,
ბილა იყო ადგილიანი,
წამსვე ყველა, ოლეორც ეროი,
ფეხზე დადგა მადიარი.
ჯერ ხმლებს პირი გაულესეს,
ბეწვს ილებდა თუმცა პირი,
იარაღი აიკაზმეს,
ცხენს დაადგეს უნაგირი.
ფრანგთა მეფეს გულში სურდა,
გადეხადა ცხარე ომი,
მტერს პირისპირ შესვედროდა,
უნგრელების მხარში მდგომი.
ფიქრი ჰქონდა ძნელი ომის,
მტრის ძალების მოძალების,
უნგრელების მეთაურმა
მეფეს ჰკადრა მოკრძალებით:
„მეფევ, გვიჯობს აქვე დარჩე,
ძვირად გვიღირს შენი თავი,
მხცოვანი ხარ დიდ ბრძოლებში
დამაშვრალა შენი მკლავი.
ვაჰ, თუ ღონემ გიღალატოს,
გარს მოგერტყმის მტერი ოდეს,

თუმცა გული კიდევ გერჩის,
მაგრამ მკლავი ალარ მოგდევს.
ჩვენს ძალას და მკლავს მიენდე,
ნურვინ გინდა სხვა თავდებად,
დაემხობა შენი მტერი,
საღამომდის გათავდება.
შენი ქვეყნის საზღვრებიდან
ჩვენც გავრეკავთ თურქებს მარტო,
თქვენ კვლავ ტახტზე დაბრძანდებით,
რომ ქვეყანა თქვენი მართოთ“.
ესა თქვა და ცხენი დაძრა,
ჰკრეს მხედრებმა ცხენებს დეზი,
თურქ ყაჩალთა ბანაკისკენ
დაიჭირა რაზმმა
ბევრი ძებნა არ დასჭირდათ,
მრავრს ბანაკ ჰკონდა ივვე,
შეეთვალეს: „ობს გიცალდებთ,
[illegible] თქვენი პირქვე“.
დაიწყო ომი ფიცხელი,
[illegible]
ნაღლა ცა შეძრა ბმა-ურმა,
ძირს მიწამ [illegible]
საბრძოლოდ აღტყინებულნი
ჰყიოდნენ მადიარები.
ფოლადს გაჰკონდა ძგრიალი,
ელავონენ მახვილები.
[illegible] რომ მოსწვდათ, [illegible]
[illegible]
ქვებზე კვესავდნენ ნალები,
სცვიოდათ [illegible] ენები.
ლაშქარს კი არა, თვით მიწას
გულს თუ ეაჭონდა გუგუნი,
ისეთი იყო ყიეინა,
ისეთი დადგა უკუნი.
თურქების ფაშა ბრძოლაში
არ იყო გამოუცდელი,

ტანსქელი იყო, დაბალი,
რუმბს მიუგავდა მუცელი,
დღედაღამ მსმელი ღვინისა,
არასდროს იყო ფხიზელი.
ჰქონდა ბებერი კიტრივით
ვეება ცხვირი წითელი.
ფაშამ შემკრთალი თურქები,
შიშისგან გაბნეულები,
ერთად შეჰკრიბა ხელახლა,
დააწყო რაზმეულები.
მაგრამ ვერ დაძრა, კვლავ შედრკნენ,
ახლოვდებოდა მტრის რკალი,
უნგრელთა რაზმი ცხენდაცხენ
მიჰქროდა როგორც გრიგალი.
პირდაპირ ეცნენ ერთმანეთს,
შეტევა იყო გმირული,
ბრძოლა შეიქნა სასტიკი,
კვეთება თავგანწირული.
სისხლში სცურავდნენ თურქები,
ვეღარ ასწრებდნენ გაცლასა,
სისხლის ზღვამ მწვანე მინდორი
აქცია წითელ ატლასად.
ელავდა ხმალი უნგრული,
ცხენს და კაცს ჰკვეთდა ორადა,
თურქთა გვამების სიმრავლე
ამაღლდა, დადგა გორადა.
მხოლოდ ფაშაღა იბრძოდა,
ჯერ კიდევ ნირშეუცვლელი,
იანჩიმ შორით შენიშნა
მისი ვეება მუცელი.
წამოეწია, შესძახა:
„შენი მუცელი ბიძია,
ორ კაცზე უნდა გაიყოს,
ერთისთვის დიდი ტვირთია“.
ეს თქვა და საქმეც ზედ მოჰყვა,
ფაშისთვის აღარ უცლია,

თავში რომ დაჰკრა ცხენზე მჯდომს,
ხმალმა უნაგირს უწია.
სწორად გაჭრილი ვაშლივით,
მომწყდარი თავისთავადა,
ორად გაჭრილი სხეული
აქეთ და იქით დავარდა.
„ფაშა მოჰკლესო“ დაირხა
ხმა და მშიშარა თურქები,
მაშინვე დაფრთხნენ თხებივით,
მომხდურთ უჩვენეს ზურგები.
იქნება დღემდის ერბინათ
ოთხახმით, სულმოუთქმელად,
რომ სათითაოდ უნგრელნი
არ დასწეოდნენ სუყველას.
ხმალს სცემდნენ, თურქთა თავები
სცვიოდა ცოდვის მტვირთველი,
თითქო ღეროებს სწყდებოდა
ყაყაჩოები წითელი.
მხოლოდ ერთიღა მიჰქროდა,
როცა აჰკაფეს ყველანი,
მას გამოუდგა იანჩი,
მიწას გააკრა მერანი.
ის იყო შვილი ფაშისა,
იანჩის ხელით მოკლულის —
მას დაედევნა იანჩი.
გახელებული ლომგული.
ფაშის შვილს გულშემოყრილი
მუხლებზე ჰყავდა დასმული
უძვირფასესი ნადავლი,
ფრანგების მეფის ასული.
დრო აღარ რჩება ფაშის შვილს,
ლოცვა რომ წაიჩურჩულოს,
წამოეწია იანჩი,
შესძახა: „შესდექ, ურჯულოვ!
სად წახვალ, სადღა გარბიხარ,
შეჩერდი, თორემ ახლავე,

შენს სულს ჯოჯოხეთს გავაფრენ,
შენს ძვლებს ძაღლები დახრავენ“.
ამაყი შვილი ფაშისა
არ შედგებოდა მორჩილად,
მაგრამ იმისმა მერანმა
უეცრად წაიფორხილა.
ვერ შეიმაგრა მხედარმა
გაქანებული ძალიან,
მიწას დაასკდა მერანი,
მაშინვე სული დალია.
და ფაშის შვილმა იანჩის
ასე დაუწყო ვედრება:
„ახალგაზრდა ვარ, ჯერ დიდხანს
სიცოცხლე არ მომბეზრდება.
რაც მაბადია წაიღე,
ოქროც, ქონებაც მრავალი,
ოღონდ სიცოცხლე მაჩუქე,
წინ დიდი გზა მაქვს სავალი!“
„შენ გქონდეს შენი ნაძარცვი,
შენი ოქრო და ქონება,
შენ მოსაკლავად არც ღირხარ,
ჩემი ხმლის გამოქროლებად.
გამშორდი, წადი თურქეთში
ცოცხალი, ამბის მთხრობელი,
უამბე, როგორ დაემხეთ
ხალხების დამამხობელი!“
ეს თქვა და დაიქვეითა,
მისთვის მეტის თქმაც არ სურდა,
თაყვანისცემით მივიდა
ფრანგების მეფის ასულთან.
გონს მოსულიყო ლამაზი,
თვალთაგან შუქთა მთოველი,
თავის გამომხსნელ იანჩის
მიმართა სამადლობელით:
„ჩემო მხსნელო და მშველელო,
არ გკითხავ ვინ ხარ, რა გვარის,

„შენი ამაგის სანაცვლოდ !!!
სიტყვით მადლობა რა არის!
მე შევასრულებ უსიტყვოდ,
რაგინდ სურვილი გამინდო,
თუნდ შენი ცოლი გავხდები,
თუ შენ ისურვებ რაინდო“.
ქვის როდი იყო ვაქკაცი,
ვერ დარჩებოდა გულგრილი,
იგრძნო ალმურის მოდება,
ძარღვებში სისხლის დუღილი.
მაგრამ მაშინვე დასძლია
ცდუნება ახალგაზრდული,
თვალწინ დაუდგა ილუშკა,
ულამაზესი ასული.
კრძალვით მიუგო: „ასეთ დროს
სიდინჯე უკეთესია,
მამაშენს, მეფეს ვეახლოთ,
როგორც რიგი და წესია.
მან გადასწყვიტოს, როგორც სჯობს,
ჩვენ ნურას ვიზამთ სხვაგვარად“.
ეს თქვა და დასძრა მერანი,
მეფეს ასული წაჰგვარა.

XIII

მზე ჩადიოდა, მინდვრებმა
ჩრდილები გადაილანდეს,
როცა იანჩი მიადგა
ტრამალს—ბრძოლის ველს დილანდელს.
თითქო ბრძოლის ველს დასცქერდა
მწუხარე, ნამტირალევი,
წითელი იყო ჩასვლის წინ
მზის ანთებული თვალები.
მინდორს ეფინა ცხედრები,
როგორც ლანდები შავები,

იყო ყორნების ყაშყაში,
გვამებზე ისხდნენ სვავები.
არ მოეწონა სურათი
დაისის წითელ ფარჩიანს,
თვალი დახუჭა მნათობმა
და ზღვაში ჩასვლა არჩია.
დილით ტბა ეკრა ბრძოლის ველს
ისე ლურჯი და ანკარა,
გეგონებოდა მშვიდ ტბაში
თვითონ ლაჟვარდი ჩამდგარა.
ამ ტბის წყლით ჩამოერეცხათ
უნგრელებს სისხლი თურქების,
ახლა ტბა იყო წითელი,
სარკედ და მინად ურგები.
როცა ყველა ცხენოსანმა
მოიბანა სისხლის დაღი,
დაეწყვნენ და სასახლისკენ
წაიყვანეს მეფე ლაღი.
ფრანგთა მეფე ზურგში იდგა,
შორით ჭვრეტდა ბრძოლის სურათს,
ბრძოლის შემდეგ სასახლეში
სწრაფად მისვლა მოისურვა.
სწორედ იმ წუთს, როცა მეფემ
ფეხი შედგა სასახლეში,
გმირ იანჩის შავი რაში
სასახლის წინ დადგა ხვნეშით.
მას, ვინც თურქთა ფაშის მოკვლით
ომში თავი ისახელა,
მეფის ქალი ამშვენებდა,
როგორც ზეცას ცისარტყელა.
ფრანგთა მეფემ თავის ასულს,
როგორც ცოცხალს თვალი მოჰკრა,
მოეხვია, დიდხანს კოცნა,
გულს მიიკრა ვარდის კოკრად.
კოცნა თავის ქალიშვილი,
მოხვეული ყელზე ხუნდად,

და რომ გაძღა მისი ხვევნით
ყარისკაცებს მიუბრუნდა.
„მსურს დღეს ყველა ზეიმობდეს,
შინაურიც, გარეულიც,
ყველამ ჩემებრ გაიხაროს,
მიხმეთ ჩემი მზარეული.
რომ ვახშამი მოამზადოს,
დატრიალდეს, სწრაფად, ვინძლო,
ჩემი ქვეყნის მხსნელ რაინდებს
სანაქებოდ ვუმასპინძლო.
მეფის ირგვლივ უამრავი
ხალხი იყო არეული,
ყარისკაცთა შორის იდგა
თურმე მისი მზარეულიც.
„მე აქა ვარ“ — დაიძახა
და მეფის წინ წარსდგა იგი —
„სუფრა უკვე გაშლილია,
ადრე მქონდა თადარიგი.
სიტყვას ასე გასახარელს
იმ წუთს ვერვინ ენამჭევრი
ვერ იტყოდა და სტუმრებსაც
არ დასჭირდათ ხვეწნა ბევრი.
სუფრად დასხდნენ
მსურველები ღვინით ყელის გასველების,
სავსე იყო მეფის სუფრა
უცხო საჭმელ-სასმელებით.
როგორც თურქებს შეუტიეს
ბრძოლის ველზე გახელებით,
ისე სუფრაც არ დაინდეს,
გააოცეს მნახველები.
და არც იყო გასაკვირი,
თუ ეკვეთნენ ხორაგს სწრაფად,
რადგან შეხვდათ მადიარებს
სისხლისღვრა და დიდი ჯაფა.
ჩამორიგდა სასმისები
გრძელ სუფრაზე ასჯერ ასი,

ფეხზე ადგა ფრანგთა მეფე,
ხელში ეპყრა სავსე თასი.
და მიმართა სტუმრებს ასე:
„წოდებულნო რაინდებად,
მნიშვნელოვან სათქმელს გეტყვით,
სმენას გთხოვთ და გარინდებას“.
სმენად იქცნენ ჰუსარები,
სასმელ-საჭმელს უშვეს ხელი
და მხცოვანი მეფისაკენ
მოიღერა ყველამ ყელი.
მეფემ სავსე სასმისიდან
ღვინო მოსვა, ჩაახველა,
და საერთო სიჩუმეში
წამოიწყო წყნარად, ნელა.
„სწორუპოვარო ვაქკაცო,
მოსულო მტერთა მსახვრელად,
ჩემი ასულის დამხსნელო,
მითხარ, რა გქვიან სახელად!“
„მდაბიური მაქვს სახელი,
მეფევ, ამ ქვეყნის უფალო,
ერთი სოფლელი კაცი ვარ,
იანჩი მქვიან, უბრალოდ“. —
დარცხვენით უთხრა იანჩიმ,
მორჩილად თავი დახარა,
კვლავ მას მიმართა ღიმილით
ფრანგთა ხელმწიფემ ჭაღარამ:
„მე ვხდები შენი ნათლია,
შენივე თანამზრახველი,
დღეიდან გარქმევ იანოშს,
ეს იყოს შენი სახელი.
გმირო, იანოშ, რადგანაც
შენ იხსენ ჩემი ასული,
მინდა ახლავე ასრულდეს
პირობა ჩემგან აღთქმული:
მეუღლედ გაძლევ ჩემს ასულს,
ჩემი დიდებაც ყოველი

მინდა შენ გადმოგილოცო,
გაგხადო სკიპტრის მპყრობელი.
დიდი ხანია მეფე ვარ,
საქვეყნო ზრუნვამ დამღალა,
ტახტზე ჭაბუკი ავედი,
ტახტზევე გავხდი ჭაღარა.
მოვხუცდი, ძალა აღარ მაქვს,
რა არის მოსატყუარი,
მეფის ტვირთს ვეღარ ვიტვირთავ,
ტახტზე უნდა ვთქვა უარი.
მეფედ შენ დაგსვამ, ქვეყანა
შენ უნდა გააქლიერო.
შენგან არაფერს მოვითხოვ
დიდების სამაგიეროდ.
მხოლოდ თქვენს ახლო ყოფნა მსურს,
სასახლეს დავთმობ, ითლად არა,
სიკვდილის დღემდის ამ ჭერქვეშ
მსურს კუთხე მქონდეს პატარა“.
მოხუცმა მეფემ ეს სიტყვა
მტკიცედ თქვა, დადასტურებით,
სმენად ქცეულნი შესცქერდნენ
გაოცებული სტუმრები.
მაშინ იანოშ რაინდი,
ამდენხანს უხმოდ მდუმარი
კრძალვით წამოდგა თავდახრით
მორიდებული სტუმარი:
„მადლობა, დიდო ხელმწიფევ,
უნდა ვთქვა დაუფარავად,
მე ამოდენა პატივის,
დიდების ღირსი არა ვარ.
მთვრალს ვგავარ თავბრუდასხმული,
ვფიქრობ, სიზმარი თუ არი,
თქვენს წყალობაზე ხელმწიფევ,
ვაგლახ, უნდა ვთქვა უარი.
და რომ გაიგოთ სიმართლე,

თუ რად უარვყოფ დიდებას,
უნდა ზოგი რამ მოგითხროთ,
ამას დიდი დრო სჭირდება,
ვშიშობ, რომ მოვყვე მოიწყენს
ხელმწიფის დიდებულება
არ მინდა ჩემი ამბებით
სხვებს გავუფუჭო გუნება“.
„მოჰყევი შვილო, /მოგვითხრე
ნურაფრის ნუ გეფიქრება,
კარგი ხარ, შენი ამბავიც
უთუოდ კარგი იქნება!“
რაკი ამბავის მოყოლას
თვით მეფე სთხოვდა ჭალარა,
იანჩიმ თავის ამბავი
იქ მყოფთ მოუთხრო ამგვარად.

XIV

„როგორ დავიწყო ამბავი,
ვარ ბევრი ჭირის მნახველი.
პირველად გეტყვით „ფუჩეჩა“
რატომ დამერქვა სახელად.
ქალმა, ვინც ჩემი აკვანი
დედის მაგივრად არწია,
თურმე სიმინდის ფუჩეჩში
მიპოვა ბალღი პაწია.
ის ქალი, ვისაც ვუწოდებ
აღმზრდელად, ჩემს დედობილად,
ერთი უბრალო გლეხკაცის
მეცხვარის ცოლი ყოფილა.
ერთხელ ყანაში შესულა
მხარზე თოხგადადებული,
მე ვუნახავარ პატარა,
ჩალა-ფუჩეჩზე გდებული,

შევცოდებივარ, რომ ნახა
ჩემი ‹კნუტივით კნავილი,
დახრილა, მკერდს მივუკრავარ
ვით უცხო მინდვრის ›ყვავილი.
თავად უშვილო ყოფილა,
დღემუდამ შვილის მნატვრელი,
შვილად დამსახა ›მაშინვე,
დღე გაუთენდა ნათელი.
შინ ‹წამიყვანა, ›კეთილ ›ქალს
ქმარი ჰყოლია, ›რა ქმარი!
სასტიკი, ›გაუცინარი,
ერთი ძუნწი და ანგარი.
›მნახა, ‹გაცოფდა, აანთო
მეუღლის გულმოდგინებამ,
გაანჩხლებული მივარდა,
კეთილ ცოლს ›უწყო გინება.
›ცოლი არ აჰყვა მის ყვირილს,
ქმრის დამშვიდება ირჩია:
„ყანაში როგორ დამეგდო,
ხედავ, რა ›კარგი ბიჭია!
არ ამეყვანა, პასუხი
ღვთისათვის როგორ გამეცა,
უნდა სინდისს და სინანულს
ვეტანჯე დღეც და ღამეცა.
ესეც არ იყოს, შრომაში,
როდემდის ვიყოთ მარტონი,
ვერ აუდიხარ შენ საქმეს
ცხვრისა და ›ჯოგის პატრონი.
წამოიზრდება ეს ბალღი
შენ› მხარში ამოგიდგება,
ნახირს მომწყემსავს, სხვა მწყემსის
აყვანა არ მოგინდება.“
თანდათან მოლბა, ბუზღუნი
თუმცა განაგრძო ჩურჩულით,
შემდეგშიც ასე მიბღვერდა,
ყოველთვის შუბლმოღუშული.

და როგორც რამე საქმეში
წუნს მიპოვიდა წყეული
სულ წკნელით აჭრელდებოდა
მაშინვე ჩემი სხეული.
გარჯაში ცემა-ტყეპაში,
არავინ მყავდა იმედად,
ჩემთვის რაიმე სიამე
ბედმა არ გამოიმეტა.
ჩაგრულ გულს შავბნელ დღეებში,
იმ აუტანელ უღელში,
ლამაზი, ქეთათმიანი,
გოგონა ჰყავდა ნუგეში.
დედა ბეჭედა, ცხოვრობდა
მამის შენყუერე საწყალი,
მალე გასწირა მამამაც,
მოჰგვარა დედინაცვალი.
უბედურება ამდენი
შავბედმა როდი აკმარა,
მამაც მოუკვდა, აღმოჩნდა,
დედინაცვალის ამარა.
სულს ის გოგონა მიდგამდა,
არავინ მყავდა მის გარდა,
მაისის ვარდად ვსახავდი,
ჩემს თავზე მეტად მიყვარდა.
როგორ მიყვარდა ვერ ვიტყვი
ენით, ვერც დასწერს მელანი,
ერთად გვხედავდნენ, „ორ ობოლს“
გვეძახდნენ სოფლად ყველანი.
ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი,
მწარე ცხოვრებას მიჩვეულს
მისი დანახვა მერჩია
ქადას, ნუზლსა და ტკბილეულს.
კვირა მიყვარდა, ტოლბიჭებს
ხელს ჩავკიდებდი ქამარში,
მინდორზე მას შევხვდებოდი,
შემეძლო მასთან თამაში.

მაგრამ გათავდა ბავშვობა
წმინდა, უმანკო, ანკარა,
სისხლი ძარღვებში ადუღდა,
გული აძგერდა სხვაგვარად.
სულ ერთი კოცნა, ან თუნდაც
მისი უბრალო შეხება,
მე მთელი ქვეყნის ოქროზეც
არ გამეცვალა ეგება.
მას ჰყავდა დედინაცვალი,
როკაპი, კაპასთაგანი,
სოფლის ბოლომდი ისმოდა
მისი წყევლა და კაკანი.
სხვა თუ ავია, ის იყო
ავი და გულქვა ორნაგად,
გერს ალბათ ცემით ნოჰკლავდა,
რომ არ ვყოლოდი ქომაგად.
ჩემი ცხოვრებაც ტანჯული,
ბედუკუღმართი თავიდან,
თანდათან უფრო გაწყარდა,
უფრო ძალუბრად წავიდა.
ბედს როდის გაუღიმია,
როდის მგონია ოცნალი,
ვინც შვილად მსარდა, მივლიდა,
უეცრად მოკვდა ის ქალი.
წვალების მეტი რა ვიცი
გაჩენის დღიდან აქამდის,
არსად, არავის უნახავს
ჩემს თვალზე ცრემლის ნაკადი.
მაგრამ, როდესაც დედობილს,
მკვდარს დავცქეროდი ჭალარას,
გულამოსკვნილი ვსტიროდი,
ცრემლი მდიოდა ღვარ-ღვარად.
ისე მოსთქვამდა ილუშკაც.
გაოცდებოდა მნახველი,
ჩემს ქერათმიან სატრფოსაც,
ჩემებრ ახრჩობდა ნაღველი.

როგორ არ უნდა ეტირა,
როგორ არ უნდა ედარდა,
მასაც ყოველთვის ალერსით
ხვდებოდა ჩემთან ერთადა.
ხელს უმართავდა ყოველთვის,
ერთხელ აღუთქვა: „ბეჩავო,
ნუ გედარდება ნურაფრის,
იანჩის ცოლად შეგრთავო.
კარგი ცოლ-ქმარი იქნებით,
შესაფერნი ხართ ნამდვილად.
ოღონდ ცოტა დრო გავიდეს,
რომ საქმე მოხდეს ადვილად“.
ავი ქმრის პატრონს, დედობილს
სხვა რა გზა ჰქონდა, რა ძალა,
აღთქმა რომ საქმედ ექცია
სიკვდილმა აღარ აცალა.
რაკი თქვა, აასრულებდა,
არ იყო ცრუ და მკვეხარა,
შემრთავდა ცოლს, რომ დაცლოდა,
მიწა რომ არ წაგვეყარა.
ის რომ მომიკვდა, იმ დღიდან,
თუ კიღა მქონდა მცირედი,
გამოვიტირე, დავკარგე
ილუშკას შერთვის იმედი.
მაგრამ არ გატყდა ეს გული .
უიმედობით ტიალი,
ჩვენ კიდევ უფრო მოგვედო
ერთიმეორის ტრფიალი.
ბედი კი, ბედი მდევარი,
უპირო, უკუღმართული,
ჩემთვის კვლავ მახის დაგებით
იყო ქურდულად გართული.
ერთხელ ცხვრის ფარა გამებნა,
ამაოდ შევეძარ მთა-ბარი,
მეცხვარე გაწყრა, გამაგდო
უსახლო, მიუსაფარი.

გამოვეთხოვე ილუშკას,
წამოველ ოხერ-ტიალი,
შარას დავადექ, მინდოდა
მომეკლა დრო ხეტიალით.
უბრალოდ მეცვა მწყემსურად,
არ ვატარებდი მუზარადს,
ქვეყნად ბევრი რამ გადამხდა,
ბოლოს ჩამრიცხეს ჰუსარად.
უკანასკნელად ილუშკას
ისე დავშორდი ბედკრული,
არ ჩამოვართვი პირობა,
რომ დარჩეს ჩემი ერთგული.
ფიცი არც სატრფომ მომთხოვა,
უსიტყვოდ ვგრძნობდით ისედაც,
რომ ერთმანეთის სიყვარულს
ჩვენ შევინახავთ მტკიცედა.
კვლავ მიყვარს, ვერ ვუღალატებ
ილუშკას მეფის ასულო,
სხვას არ შევირთავ, სიცოცხლე
სულ მარტოც რომ დავასრულო.
სად უნდა ვიყო, სად არა,
ვინ უნდა ვნახო ისეთი,
რომ ქალად დაბადებული
ცოლად ვინდომო მის მეტი".

XV

დაასრულა იანოშმა,
თვალებს ცრემლი ეძალება,
იქ მყოფების გულში აღძრა
წუხილი და შებრალება.
მეფის ასულს ცრემლი მოსწყდა
წამწამებში მიმალული,
თავის ბედი ატირებდა,
თუ რაინდის სიბრალული?

მეფემ უთხრა: „იანოში,
ეგრე იყოს შენი ნება,
სიძეობა, ცოლის შერთვა
ძალით როდი შეიძლება.
ჩემს ქალიშვილს, რაკი არ გსურს,
არ გაძალებ, ერთს გთხოვ მარტო,
ნუ დამიშლი რომ მადლობა
სხვა საჩუქრით გამოვხატო.“
ესა თქვა და ფრანგთა მეფემ
გახსნა თავის საგანძური,
სავსე იყო საჭურჭლენი
ოქრო-ვერცხლით დაძანძული.
მხლებელს უთხრა: მოიტანე
ტომარაო, დიდზე დიდი,
რაც ჩავიდეს ჩაყარეო
სულ ოქრო და მარგალიტი.
მოუბრუნდა, რაინდს უთხრა:
„შენი იყოს ეს ტომარა,
ჩემს ქალიშვილს კიდევ ცოცხალს
ვერ ვნახავდი, შენ რომ არა,
ჯილდოდ გიძღვნი ამ ქონებას,
გაახარე სატრფო შენი
შეირთე და ბედნიერმა
აიმაღლე სახლის ბჭენი.
თუ აქ კიდევ დარჩებოდი
ვიქნებოდი მოხარული,
მაგრამ ტურფა მტრედისაკენ
მიისწრაფის შენი გული,
წადი, თუმც ვერ მოილხენენ
გვერდს რომ აღარ ეყოლები,
იქეიფონ, მაინც დარჩნენ
შენი თანამებრძოლები.“
მეფემ თითქო იანოშის
გულში წამით ჩაიხედა,
მიჯნურს მართლა მორეოდა
სატრფოსაკენ წასვლის სევდა,

„მშვიდობითო“ მეფის ასულს
გაუწოდა ვაჟმა ხელი,
სინანულით, თვალზე ცრემლით
გააცილა ქალმა მხსნელი.
თავად მეფემ ნავსადგურთან
მიაცილა, ზღვამდე მიჰყვა,
იყო ხვევნა, გზის დალოცვა,
უთვალავი ტკბილი სიტყვა.
გემში ჩაჯდა იანოში,
ზღვის ნაპირას დიდხანს მდგარი
ხელის ქნევით, ცრემლის ფრქვევით
აცილებდა მეფის კარი.

XVI

მიდიოდა ზღვაზე გემი,
გაეშალა თეთრი აფრა,
გემზე იჯდა იანოში,
უბერავდა ქარი მძაფრად.
მიდიოდა გემი სწრაფად,
ვერ აკრთობდა ღელვა ვერსად,
მაგრამ ფიქრი იანოშის
ჰქროდა გემზე უსწრაფესად.
სატრფოსთან იყო ვაჟკაცის
გული, ფიქრი და გონება,
გულში ამბობდა: „ილუშკას
მივუტან ამდენ ქონებას,
მან არც კი იცის საბრალომ
გემით რომ მისკენ ვიჩქარი,
გამომეგებოს საქმაროს,
ფართოდ გამიღოს ჭიშკარი,
შინ მივალ გამდიდრებული,
მის გასახარად ვბრუნდები,
დაილეწება წვალების
და სიღარიბის ხუნდები.

ურთმანეთს აღარ შევხვდებით
ქურდულად, როგორც მპარავი,
ჩვენი ცოლქმრობის დამშლელი
აღარ იქნება არავინ.
თუმცა მტანჯავდა ვამზრდელი
მეცხვარე ავი ბებერი,
სამაგიეროს მიგება
არა მსურს, აღარ შემფერის,
და ზოგი ჭირი კაცს თუ რგებს;
დღეს თუ გამეხსნა ცისკარი,
ამ ჩემი ბედნიერების
მიზეზი სწორედ ის არი.
ჯილდოს ღირსია თუმც მცემდა
ჯოხს სულის ამოხდომამდის,"
ასე ფიქრობდა იანოშ,
წყალს მიაპობდა ხომალდი.
მიჰქროდა, არ. ილეოდა –
მანძილი გასაოცარი,
რადგანაც ფრანგთა ქვეყნიდან
უნგრეთი ძლიერ შორს არი.
ერთხელ მწუხრისას ჩამოცხა,
არსით იძვროდა სიო და
მკერდგაღეღილი იანოშ
გემბანზე მიმოდიოდა.
იქ მყოფებს უთხრა მესაჭემ
შეწუხებულის იერით:
„ცა წითელია, ხვალ ალბათ,
ქარი იქნება ძლიერი."
ქარიშხლის ფიქრი იანოშს
სხვებსავით არა სტანჯავდა,
მის თავზე გამწკრივებული
გუნდი მიჰფრენდა ყანჩათა.
დღეებდათვლილი ზაფხული
თავს შემოდგომას უხრიდა,

ალბათ, ყანჩები მოჰფრენდნენ
იანჩის მშობელ კუთხიდან.
აღტაცებული გასცქერდა
მხარი მხარს როგორ მოაბეს,
გაფრენილ ყანჩების გუნდი
ჩასთვალა კარგის მოამბედ.
თითქო მათ ამბავს ამბობდნენ,
ვინც მას მიაჩნდა თავისად:
სატრფოსას, სამშობლოისას
დიდი ხნის უნახავისას.
დღე რომ გათენდა მეორე,
ასრულდა ავდრის ნიშანი,
გრიგალი გაჩნდა ძლიერი,
შუქი დაბნელდა ცისანი.
როგორც ქარისგან დაძრული
თვალუწვდენელი ჯეჯილი,
ისე დაიძრა ზღვის ტალღა
მრისხანე, თმა გაწეწილი.
ერთიმეორეს ზვირთები
გემს ნაფოტივით ესროდნენ,
გემზე მყოფები შეშინდნენ,
გამოცდილები ესოდენ.
ხედავდნენ განწირულები,
არსაით იყო საშველი
ღონე და ძალა არ იყო
ზღვისათვის ღელვის დამშლელი.
ცა იყო გასაოცარი,
სულ შუქჩამქრალი, სულ ბნელი'
თითქო უეცრად დაღამდა,
ჩამოწვა შავი ღრუბელი.
უცებ იქუხა. ზედიზედ
ელვამ გასერა უკუნი,
მეხი გემს მოხვდა, გაისმა
ქვეყნის დამქცევი გრუხუნი,

ნაფოტ-ნაფოტად მიჰქონდა
ხომალდი წყალს დამსხვრეული,
ხანდახან ჩანდა ტალღებში
დაღუპულ მგზავრთა სხეული.
რა დაემართა იანოშს,
როცა ზღვამ დანთქა სუყველა?
ისიც ზვირთებმა დაფარეს,
თუ თავს რითიმე უშველა?
თითქმის გაჰყროდა სიცოცხლე,
სიკვდილს ჩაევლო მარჯვენა,
რომ უცებ გადაეფარა
ცის კალთა გადასარჩენად.
დაიხრჩობოდა, მხსნელად რომ
არ მოვლენოდა მას ზეცა,
ბეწვზე გადარჩა ვაჟკაცი,
ზღვის ფსკერი კუბოდ არ ექცა.
სულ მაღლა სწევდნენ ცისაკენ
იანოშს მღვრიე ზვირთები,
შავად მოგრაგნილ ბნელ ღრუბელს
თითქოს სწვდებოდა თითებით.
წამით რომ ტალღა ამაღლდა,
წამომართული ქორივით,
იმ ღრუბელს ეცა იანჩი,
ხელი ჩაავლო ორივე.
ჩასჭიდა აღარ გაუშვა,
თუმც ქარმა დიდხანს არწია,
სანამ იმ შავმა ღრუბელმა
ზღვის ნაპირს არ მიაღწია.
აქ ძირს დაეშვა იანჩი,
სადაც კლდე იყო მაღალი,
მიწაზე დადგა დაღლილი,
ზვირთისგან ზვირთზე ნახალი.
უკვირდა: როგორ გადარჩა,
ღელვამ არ იცის დანდობა,

ხელი აღაპყრო ცისაკენ,
ზეცას შესწირა მადლობა.
რაც ოქრო ჰქონდა დაჰკარგა,
ზღვას დარჩა ღელვის ალაფად,
რაკი ცოცხალი გადარჩა,
დანაკარგს თვლიდა არაფრად,
მარტოკა იდგა სალ კლდეზე,
თვალი მოავლო ერთხელაც:
ფასკუნჯის ბუდე შენიშნა
კლდის წვერზე ვეებერთელა.
მართვებს აჭმევდა ფასკუნჯი,
უშიშრად იყვნენ ყველანი,
გულში იფიქრა ვაჟკაცმა:
„ვიშოვე კარგი მერანი“.
ფეხაკრეფით მიეპარა,
ისკუპა და ბარაქალა!
წამსვე ზურგზე შემოახტა,
გონზე მოსვლა არ აცალა.
დეზი ჰკრა და უცხო ფრინველს
შეუძახა ვაჟკაცურად,
ფრთა გაშალა ფასკუნჯმა და
ცისკიდური გადასცურა.
გაუხედნელ კვიცსა ჰგავდა
იანოშის უცხო რაში,
სხვა მხედარი შეხვედროდა,
გადისროდა ციდან ზღვაში.
მაგრამ იგრძნო გამოცდილი
მხედრის ხელში დატყვევება,
ხელით, ფეხით, მთელი ტანით
შემორტყმოდა სალტეებად.
მიფრინავდნენ, გადიქროლეს
უთვალავი მთა და ველი,
მხოლოდ ერთხელ დაინახეს
მზის ამოსვლა სანატრელი.

მზემ სოფელი გაანათა,
სხივთა ჯარი შეესია,
ძირს გამოჩნდა სამრეკლო და
სოფლის მცირე ეკლესია.
იანოშმა წამსვე იცნო
თავის სოფლის არემარე,
ფრთა შეასხა სიხარულმა,
თვალზე მოსწყდა ცრემლი ცხარე.
ფასკუნჯს დაღლა დატყობოდა,
თვალებს ირგვლივ აცეცებდა,
ეშვებოდა, დასაფრენად
დაბლა ადგილს დაეძებდა.
და დაეშვა ძირს ფრინველი
სოფლის ახლოს, მცირე ბორცვთან,
ფიქრს წაეღო იანოში,
დაბლა ნელა გადმოცოცდა.
უკან აღარც მოიხედა,
წინ გასწია აჩქარებით.
სოფლისაკენ გაემართა
კარგად ნაცნობ გზა-შარებით.
„ოქრო-ვერცხლი აღარ მომაქვს,
დავკარგე და დავინავსე,
მაგრამ გული სიყვარულით
ძველებურად არი სავსე.
ეს კი ყველა სიმდიდრეზე
დიდია და პირველია,
რადგან სატრფოვ ჩემთან შეყრა
შენც ყველაფერს გირჩევნია“.
ამ ფიქრებში იანოშმა
სოფლის ნაპირს მიაღწია,
ყველგან იყო ერიამული,
წიწილების წია-წია.
გარახუნდა ღვინის კასრი,
ურმის ჭრიალს მოჰკრა ყური

მიხვდა სოფლად რთველი იყო,
ლეღვზე იჯდა მოლაღური.
იჩქაროდნენ ვენახისკენ,
მოუხმობდა მკრეფლებს ზვარი,
მან ვერ იცნო სოფლელები,
ვერც მათ იცნეს უცხო მგზავრი.
მიდიოდა, ორღობეში
შედგა მგზავრი წამით ერთგან,
მერე იქით გაემართა,
სადაც სატრფოს სახლი ედგა.
ჭიშკარში გაჰყო მარჯვენა,
რომ გაეწია ურდული,
ჭიშკარს აღებდა ცახცახით,
ღელვისგან-ყელგაგუდული.
გააღო. გაოცებისგან
გაუფართოვდა თვალები:
ილუშკას ნაცვლად ეზოში
ნახა უცნობი ქალები.
„სხვა ეზოში ვარ ნამდვილად“
თავისთვისა თქვა ჩურჩულით,
ისევ ჭიშკრისკენ შებრუნდა,
ისევ გასწია ურდული.
მაგრამ რათ შედგა ნეტავი,
ვის უნდა გაეხმიანოს?
„აქ ვის ეძებთო“ იქ მყოფმა
გოგონამ ჰკითხა იანოშს.
მან უთხრა ვისაც ეძებდა,
აუხსნა მოსვლის მიზანი,
გოგონამ ერთი შეჰკივლა:
„ღმერთო როგორ ვერ გიცანი!
თუმცა კი როგორ გიცნობდი,
თვალს ეჩვენები ხნიერი,
მზეც ისე მოგკიდებია,
შეგცვლია სახის იერი.

შინ შემობრძანდით ბატონო,
თქვენი შეკითხვის პასუხად,
ყველაფერს გეტყვით, რაც მოხდა,
მას შემდეგ, რაც თქვენ წასულხართ.“
სახლში შევიდნენ, გოგონამ
რბილ სელზე დასვა სტუმარი,
თვითონაც დაჯდა და მოჰყვა
ამ ამბავს წამით მდუმარი.
„არ ვიცი, მიცნობ თუ არა, —
გოგონამ თავი ასწია —
ხშირად დავსდევდი ილუშკას,
ბალღი რომ ვიყავ პაწია.
თქვენც ილუშკასთან გხედავდით,
დარი იყო თუ ავდარი...“
„გრძლად ჰყვები, მითხარ ისა სჯობს,
თვითონ ილუშკა სად არის?“
„თვითონ ილუშკა სად არის?“ —
სიტყვა გაუწყდა გოგონას,
თავსა ხრის შეწუხებული,
თვალთაგან ცრემლი მოგორავს.
„ნუთუ არ იცი იანჩი,
შენი ილუშკა სად არის?
მოკვდა და ახლა საბრალოს
შავი მიწა სჭამს სამარის“.
თითქო უეცრად იანჩის
მეხი დასცესო ზემოდან,
კარგი რომ იჯდა რბილ სელზე,
თორემ ძირს დაეცემოდა.
თითქო გულის დარდს იგლეჯსო,
გულზე იტაცა მარჯვენა,
გაშტერდა, თავბრუ დაესხა,
ცოცხლად არ სურდა დარჩენა.
კარგა ხანს იჯდა მდუმარი,
უენო, კრიჭაშეკრული,

მერე კვლავ ალაპარაკდა,
როგორც სიზმარში ბედკრული,
„სიმართლე მითხარ, ნუ მალავ,
თუ ვინმე სხვისი ცოლია,
ოღონდ ნუ მეტყვი მოკვდაო,
დე მითხარ, სხვას გაჰყოლია.
ცოცხალი იყოს, სხვას ჰყავდეს,
დე, დარდი მკლავდეს უძირო,
მე ჯილდოდ ისიც მეყოფა
შორიდან მაინც ვუცქირო“.
გოგონა სდუმდა, ვაჟკაცმა
თვალებში ძრწოლით ჩახედა,
პასუხი ამოიკითხა,
სასოწარკვეთით გახევდა.

XVII

თავით დაემხო მაგიდას
გაქვავებული უბარი,
ნიაღვრად წასკდა ცრემლები
თვალებში დანაგუბარი.
დიდი ტკივილით ნატკენი
უთრთოდა მთელი სხეული,
ხმა გაბზაროდა, ხშირ-ხშირად
ოხრავდა როგორც სნეული:
„რატომ ბრძოლაში არ მოვკვდი,
რად არ დავეცი უსულოდ,
რად გადაგირჩი ზღვის ღელვავ,
რატომ არ დანმთქი უფსკრულო.
რად გავჩნდი, დედის მუცელში
უმალვე წყლად არ ვიქეცი,
თუ ბოლოს ეს განსაცდელი
მელოდა უსასტიკესი“.
თითქო უსაზღვრო ტკივილი
გაძღა ვაჟკაცის წვალებით,

თავი აიღო იანჩიმ,
მთხრობელს მიაპყრო თვალები:
„მითხარ რით მოკვდა ილუშკა,
გთხოვ არაფერი დამალო“.
„ღარდმა და ცუდმა ცხოვრებამ
გადაიტანა საბრალო.
თქვენს არ ყოფნაში კაპასმა,
ბოროტმა დედინაცვალმა
მოიდნო, ლანდად აქცია,
იმდენი ტანჯა, აწამა.
მაგრამ თავადაც მიეზღო,
ბოროტის ბოლო ეს არი,
კარდაკარ დადის, მათხოვრობს
ხელებგაწვდილი მკვნესარი.
სულ თვალწინ ჰყავდით, ენაზე
ეკერა თქვენი სახელი.
სიკვდილის წამსაც გლოცავდა
თვალებში ედგა ნაღველი.
ამბობდა: „ჩემო იანჩი,
შენს შეყრას კიდევ მოველი —
იმ ქვეყნად მაინც შეგხვდები,
ამ ქვეყნად შენზე მლოცველი“.
თვით ვნახე, სული ბედშავმა
შენს ხსენებაში დალია,
დავმარხეთ, მისი საფლავი
აქ ახლო არი ძალიან.
დამარხვას ვინც კი დაესწრო —
დაესწრო მთელი სოფელი,
ყველა სტიროდა, თვალები
ცრემლებით ჰქონდათ სოველი“.
„სად, რა ადგილას დამარხეთ
ჩემი სიცოცხლის მშვენება!“
„წავიდეთ, — უთხრა გოგონამ, —
მე შემიძლია ჩვენება“.

მივიდნენ ობოლ საფლავთან,
გოგონამ მარტო დატოვა,
საფლავს დაემხო ვაჟკაცი,
თავი რომ დაიმარტოვა.
გოდებდა, თვალწინ ეხატა
ილუშკას სახე ნათელი,
ახალგაზრდული გზნების და
სიცოცხლის გამომხატველი.
მის ცხელ გულს ახლა მიწა სჭამს
ცივი და მიუსაფარი,
ცეცხლოვან თვალებს, დიდ თვალებს
შუქს უქრობს ბნელი სამარის.
მზემ გააბრწყინა დაისი,
ჩაქრა, ჩაკიდა ცეცხლთვალა,
თვალის მომჭრელი მზის შუქი
მთვარის ნათელმა შესცვალა.
მთვარე გამოჩნდა ღრუბლებში,
ისიც ფერმკრთალი, მწუხარე,
საფლავს მოსცილდა იანჩი,
ცრემლი სდიოდა მდუღარე.
ერთ წამს უკანვე შებრუნდა,
საფლავთან თავი დახარა:
საფლავზე ვარდი შენიშნა
ბუჩქი დაერგოთ პატარა.
დასწვდა, მოსწყვიტა კოკორი,
მორიდებულად, ქურდულად,
მკერდზე გაირჭო საკინძში,
თან ასე წაიდუდუნა:
„სატრფოს საფლავზე ნაზარდო,
მისი სისხლხორცის ზიარო,
მუდამ თან უნდა გატარო,
სულ ჩემთან უნდა იარო.
შენცა ხარ მისებრ ობოლი,
სუსტი ხარ და ფერმიხდილი,

ვიაროთ ქვეყნის ბოლომდის,
სანამ არ მომკლავს სიკვდილი.

XVIII

მიდიოდა, გზად იანოშს
ორი ჰყავდა თანამგზავრი:
ერთი იყო სატრფოს ჯავრი —
დღე და ღამე ჰკლავდა ჯავრი,
ერთიც ბასრი ხმალი იყო,
უხმარი და მეტი ბარგი,
ვით იანოშს დარდი ჰკლავდა,
ისე მის ხმალს სჭამდა ჟანგი.
ათასგვარი გზაა ქვეყნად,
მხარეც ნაირ-ნაირია,
ხეტიალში მთვარე ბევრჯერ
გაივსო და გაილია.
ზამთარს სცვლიდა გაზაფხული
უგზო-უკვლოდ სიარულში,
ერთხელ თავის გულის წუხილს
ასე ეტყვის იანოში:
„დარდო, ნუთუ არ მოგწყინდა
დღე და ღამე ჩემი ჯიჯგნა,
ხომ დარწმუნდი, რომ ვერ დამძლევ,
ბავშვი არ ვარ ერთი ციცქნა.
მაშ გამცილდი, შენი ღონე
მასზე სცადე, ვინც სუსტია,
ვისაც შენი საშინელი
დარტყმა ჯერ არ განუცდია.
ხომ დარწმუნდი, შენგან ტანჯვით
არა კვდება კაცი თურმე,
შენ ის არ ხარ, მე ვინც მომკლავს,
სჯობს ხმა დროზე ჩაიჩუმე.
მე თუ მომკლავს შავბედობა,
ან რაიმე განსაცდელი,

მათ მივმართავ: მომხედონ და
სასიკვდილოდ დამკრან ცელი*,
ესა თქვა და ზურგი კიდეც
შეუბრუნა ჯავრს და სევდას,
დარდი ზოგჯერ მონახავდა,
განუყრელად თან არ სდევდა,
და მაშინაც არ უშვებდა
გულში წუხილს უშიშარი,
რადგან ჰქონდა დაკეტილი
სევდისათვის გულის კარი,
ცრემლგამშრალი, ქვადქცეული
მიდიოდა დიდხანს კიდევ,
თან სიცოცხლეს გაძაღლებულს
მიათრევდა კიდით კიდე.

* *

ერთხელ ტყის პირას მიმავალს
თავს დაჰყიოდა ყორანი,
შეჩერდა, ლაფში ჩაფლული
ნახა ცხენი და ფორანი.
მექოთნის იყო ფორანი,
ტალახი ადგა ღერძამდე,
წვალობდნენ, ცხენიც, პატრონიც,
ფორანს წინ მაინც ვერ ძრავდწეწ,
თიხნარი იყო მთლიანად
ის დათარსული ალაგი,
მექოთნე სცემდა უწყალოდ,
ფორანს ვერ ძრავდა ჯაგლაგი.
მიუახლოვდა იანჩი,
მექოთნეს უთხრა სალამი,
მექოთნემ სახე იბრუნა,
მრისხანე, ოფლით ნანამი,
მფრთხალ ვინმეს შეაშინებდა,
თვალები ჰქონდა იმხელა,

გაბრაზებულმა მიუგო:
„სალამისათვის ვის სცხელა?!“
„უგუნებოდ ხარ, რომ პასუხს
ვერ ამბობ აწონ-დაწონილს?“
„რა გუნებაზე ვიქნები
ამ ჩემი ცხენის პატრონი!
დილიდან ვურტყამ, ვის ესმის
ჩემი ტანჯვა და ვაება,
ვერ მოვაცილე ამ ტალახს,
თითქოს ზედ ჯაჭვით დაებათ“,
„გულს ნუ გაიტეხ ოსტატო,
მაგ საქმეს ერთად ვუშველით,
ისე გავსწიო ფორანი,
ერთიც არ გატყდეს ჭურჭელი!
ოღონდ ეს შარა სად მიდის?“ —
მაღლა ასწია მარჯვენა,
ტყეს რომ მხარმარჯვნივ უვლიდა,
ხელით ის შარა აჩვენა.
„მაგ გზას ნუ მკითხავ, —
მექოთნემ ხელი გაუშვა ავშარას, —
თავის დაღუპვა თუ არ გსურს,
ნუ დაადგები მაგ შარას.
მაგ მხარეს ბუმბერაზები
ცხოვრობენ კაცთა მზარავნი,
წასული ბევრი გვინახავს,
დაბრუნებული არავინ“,
„ეგ ჩემზე იყოს, მსურს ვნახო,
ეგ კაცნი გაუგონარნი,
ჯერ ოღონდ ამ ტალახიდან
ამოვათრიოთ ფორანი“.
ერთ წამში იყო ამის თქმა
და მხრით ზედადგრის მიწოლა.
ღრმა ტალახიდან ფორანი
ბურთივით ამოისროლა.

ისე ასწია ეს ტვირთი,
თმაც თავზე არ შეირხია,
გაკვირვებისგან მექოთნე
გაშტერდა, დარჩა პირღია.
თქმაც ვერ მოასწრო მადლობის,
სულს ძლივს ითქვამდა ჩქარ-ჩქარა,
გაშორდა უცხო რაინდი,
დაადგა ნაცნობ გზა-შარას.
იარა, დიდხანს იარა,
ხან ის გადახდა, ხან ესა,
ბოლოს მიადგა რაინდი
გოლიათების მხარესაც.
საზღვართან წყალი დიოდა,
აქ ღელე ერქვა სახელად.
სხვა ქვეყანაში მდინარეც
არ იქნებოდა ამხელა.
წყლის პირას იდგა მესაზღვრე
გოლიათების ქვეყნისა,
მიხვდა იანჩი, იმ ნაზრახ
მხარეში მოსვლა ეღირსა.
ბუზად არ ჩანდა მის გვერდით,
რა ტანი ჰქონდა გოლიათს,
უყურებს მის ტანს იანჩი
და ციხე-კოშკი ჰგონია.
გოლიათების მესაზღვრემ
უცხო კაცს დაბლა დახედა,
წარბები რისხვით აზიდა,
ერთი დაჰყვირა თავხედად:
„კაცთაგანია ნამდვილად
ფეხთან, რომ გამიცაცუნა,
ტერფები მექავებოდა,
ამიხდა, გავსრეს კაცუნას“.
ნათქვამის ასასრულებლად
მესაზღვრემ ფეხი ასწია,

დიდ ფეხს იანჩის პირბასრი,
ხმალი დაუხვდა პაწია.
და გოლიათმა მცირე ხმალს
ფეხი დაადგა თუ არა
დაეცა, თავზე ქუხილით
იანოშს გადაუარა.
„იღბლად იმგვარად დაეცა,
რომ ხიდად გამომადგება,
მაგის ვეება სხეულზე
გავირბენ სანამ ადგება“.
ეს გაიფიქრა და მყისვე
სირბილით ზედ გაიარა,
თითქო დიდ ხიდზე გარბოდა,
მესაზღვრის ზურგზე კი არა.
ისე გავიდა წყალგაღმა,
არ შერხეულა ერთხელაც,
წყალში გართხმული მესაზღვრის
სხეული ვეებერთელა,
ხელი ამართა, ბუმბერაზს
უცებ სხვა ვერა უყო რა,
ხმალივე დაჰკრა ღონივრად,
ზედ კისრის ძარღვთან უსწორა.
ვეღარ წამოდგა მესაზღვრე,
ადგომა აღარ ეწერა,
აღარ შეეძლო საზღვრისთვის
თვალის მოვლება ერთჯერაც.
შუქი ჩაუქრა მის თვალებს,
დღე დაუბნელდა იმგვარად,
რომ აღარ იქნა, ცამ მისთვის
კვლავ აღარ გამოიდარა.
სისხლი სდიოდა ბუმბერაზს
უზომო გასაკვირველი,
სისხლის ღვარისგან მდინარე
შედედდა, გახდა წითელი.

რა დაემართა ჩვენს რაინდს,
            რა მოუვიდა იანოშს?
ახლავ გიამბობთ, ვისწრაფი,
            ლექსმა არ დაიგვიანოს.

XIX

შედიოდა ღრმად, თანდათან,
            იანოში უღრან ტყეში,
რაც იქ ნახა, მსგავსი რამე
            არ ენახა თავის დღეში.
გაოცებით შეჰყურებდა,
            საზღვრის ღელეს გამომცდარი,
ირგვლივ იყო ყველაფერი
            ზღაპრული და საოცარი.
შეჰყურებდა ძირს დაფენილ
            უცხო ხეთა გრძელ ჩეროებს.
თვით ხეებიც. დიდი იყვნენ,
            ცას უწვდენდნენ კენწეროებს.
ხის ფოთლები უცნაური
            ჩანდა შორი მანძილიდან,
თითო შვიდ კაცს დაფარავდა,
            წვიმა ისე გადივლიდა.
უცნაურმა კოლოს ჯარმა
            იქით-აქეთ გაიქროლა,
რქები ჰქონდათ დაგრეხილი,
            თითო იყო ხარის ტოლა.
დაესივნენ იანოშს და
            გაუჩინეს საქმე მის ხმალს,
გმირმა იწყო მათი ჟლეტა,
            ქვებზე მათი ტვინის მისხმა.
ყვავთა გუნდი დაფრინავდა,
            იყო მართლა სანახავი,
მაღლა ცაში აფრენილი
            ცხრა მთას იქით ჩანდა ყვავი.

ხის ხმელ ტოტზე ჩამომჯდარი,
შავი, როგორც ხანძრის ბოლი,
შორს ყვანჩალაც დიდი ჩანდა,
უშველებელ ღრუბლის ტოლი.
მიდიოდა იანოში.
უცებ როგორც შავი ფარდა,
მის წინ ბნელი ჩამოეშვა,
რაღაც ლანდი აღიმართა.
ირგვლივ მზის შუქს აბნელებდა
კოშკ-გოდლების ქარავანი,
თურმე იყო გოლიათთა
მეფის ციხე-გალავანი.
ხელმწიფესთან ხალხის ნაცვლად,
ზღვის თუ იყო მიმოდენა,
გოლიათთა ციხის კარი
დიდი იყო იმოდენა!
და თუ კოშკი დიდი იყო,
გასაკვირი აქ რა არი,
მცირე როგორ იქნებოდა
ბუმბერაზთა მეფის კარი.
დგას და ფიქრობს იანოში:
„გარეგნულად ლამაზია,
მაგრამ შიგაც უნდა ვნახო,
თუ რა ციხე-დარბაზია“.
არხეინად წინ წავიდა,
არ აფრთხობდა შიშის ზარი,
ფეხი ჰკრა და ფართოდ გახსნა
უმძიმესი ციხის კარი.
რაკი ის კარი შეაღო,
დარბაზში მოხვდა ადვილად,
ნახა, ბუმბერაზთ ხელმწიფე
შვილებთან იჯდა სადილად.
მაგრამ არ იტყვით, რას სჭამდნენ?
რა იყო მათი სადილი?

წინ ეწყოთ დიდი კლდეები,
სალი კლდეები ნამდვილი,
რომ დაინახა იანჩიმ
მეფე კლდეების მკბეჩავი,
არ მოეწონა, უკანვე
წასვლას ფიქრობდა ბეჩავი.
მაგრამ შეხედა უცხო კაცს
ხელმწიფემ მჯდარმა სვიანად,
სუფრაზე მიიპატიჟა
ამ სიტყვით თავაზიანად:
„პატივისცემა სტუმრისა
არის მასპინძლის ბეგარა,
რაკი მოსულხარ, აქ დაჯექ,
სალი კლდე ყლაპე ჩვენგვარად.
მაგრამ თუ სუფრას გვიწუნებ,
თუ თავხედი ხარ ესოდენ,
უნდა ერთ ლუკმად ჩაგყლაპოთ
შენ თვითონ, როგორც შემცოდე“.
იანოშ მიხვდა, ხელმწიფის
სიტყვა არ ჰგავდა ხუმრობას,
დათანხმდა, თუმცა არ სურდა
გოლიათების სტუმრობა.
თავაზიანად მიუგო:
„ქვის ყლაპვას არ ვარ ჩვეული,
ვერ შეეწყობა ადვილად
ასეთ კერძს ჩემი სხეული.
მაგრამ თქვენ რაკი ისურვებთ,
რომ ვიყო თქვენი სტუმარი,
სიამოვნებით დავჯდები,
არ გავექცევი პურ-მარილს.
მხოლოდ გთხოვთ, რადგან არა მაქვს
პირი დიდ კლდეთა ჩამტეევი,
ნატეხ-ნატეხად მომეცით
ლუკმა კლდის ჩამონამტვრევი“.
მეფემ მაგარ კლდეს მოსტეხა

ნატეხი უზარმაზარი,
უთხრა: „ეს ჩვენი პურია,
გასინჯე, ნახე რაც არი!“
მერე მეორე ნატეხი
მისცა და უთხრა: „მწვადია,
პურთან მიირთვი სტუმარო,
თუ პირის გემო გწადია“.
„ბელტიყლაპია არა ვარ,
კლდეების ყლაპვით გავწვალდე,
გიჯობს შენ თვითონ ჩაყლაპო
ეგ ჩვილი ბატკნის სამწვადე!“
რისხვით შესძახა სტუმარმა,
ჭერმა გაიღო ზანზარი,
შიგ თავში ხეთქა ბუმბერაზს
სალი კლდე უზარმაზარი.
მოხვდა თუ არა გოლიათს,
სისხლმა იფეთქა თავიდან,
მაღლა ჭერს ტვინმა მიასხა,
ძირს სისხლის ღვარი წავიდა.
დაცინვით უთხრა: „დაგადგა
ყელზე ეგ შენი პურ-ღვინო,
ვეღარ გაბედავ წყეულო,
სტუმრებს რომ კვლავაც უღრინო“.
ბუმბერაზთა მეფე მოკვდა,
ღონით, სიმხნით ლომის დარი,
გოლიათთა ციხე-ქალაქს
თავს დაატყდა გლოვის ზარი.
მოთქმით, გულში მჯიღის ცემით,
გროვდებოდნენ დას-დასებად,
თითოს ცრემლი იკმარებდა
თითო ქვევრის ასავსებად.
როცა მათში უხუცესმა
დაასრულა ოხვრა, მოთქმა,
ვმირ იანოშს შეევედრა:
„შეიწყალე ჩვენი მოდგმა.

ოღონდ ყველას ნუ შეგვმუსრავ,
თუ გსურს, ჩვენი მეფე გახდი,
თვითონ იპყარ გვირგვინი და
გოლიათთა მეფის ტახტი.“
ყველამ ერთხმად დაიძახა:
„ასეთია ჩვენი წესი,
ჩვენს სათქმელს და გულის ნადებს
ამბობს ჩვენი უხუცესი.
ოღონდ ყველას ნუ დაგვხოცავ, —
ყველა ერთხმად გეუბნება, —
გმირო, ჩვენი მეფე გახდი,
გვიმსახურე ერთგულ ყმებად“.
უპასუხა. იანოშმა:
„აგისრულებთ თხოვნას, მხოლოდ
თქვენთან დიდხანს ვერ დავრჩები,
მიგატოვებთ მაინც ბოლოს.
მალე წავალ, ჩალად მიღირს
გვირგვინი და ფარჩეული,
გყავდეთ ჩემი მოადგილეც
დღეიდანვე არჩეული.
მოადგილედ ვინც გინდოდეთ,
ის ირჩიეთ, ის დალოცეთ,
მე ერთი მაქვს სათხოვარი,
უნდა მტკიცე სიტყვა მომცეთ:
როგორც სადმე განსაცდელში
დამჭირდება თქვენი შველა.
წამსვე, თქვენს ერთს ხსენებაზე
უნდა გაჩნდეთ ჩემთან ყველა“,
უხუცესმა ჰკადრა ისევ:
„მეფევ, იყოს ნება თქვენი,
სადაც წახვალთ, განუყრელად
თან ატარეთ ეს სასტვენი.
როგორც დასტვენთ, როგორც გვიხმობთ,
იქ გავჩნდებით ყველა ერთად,

რომ უეცრად ზარი დავსცეთ,
თავს დავატყდეთ შენთა მტერთა!“
ჩამოართვა იანოშმა,
ვით ძვირფასი რამე ჯადო,
და ჩანთაში მედიდურად
ის სასტვენი ფრთხილად ჩადო.
მერე ისევ გზას გაუდგა.
მიაცილეს ციხის კართან,
მის წინ მუხლი მოიყარეს,
დაუსველეს ცრემლით კალთა.

XX

იარა, დიდხანს იარა,
ბევრი მთა გადაიარა,
გზა სულ ახალი ჩნდებოდა,
გზის დასასრული კი არა.
რაც უფრო შორს მიდიოდა,
ნელ-ნელა მთად თუ ბარადა,
თანდათან შუქი ქრებოდა,
თანდათან ბინდი ფარავდა.
ბრმად მიიკვლევდა, არ ჩანდა
გზაში არც ხალხის ნათელი,
ან ღამე დადგა — უკვირდა —
ან მე ჩამიქრა ნათელი!
მაგრამ არც დაბრმავებულა,
არც დღისით ღამე დამდგარა,
ბინდის მხარეში მოვიდა,
მიტომ ბნელოდა ამგვარად,
მზე არსად ჩანდა, არც მთვარე,
მიხვდა სიბნელით მოცული:
მუდმივი ბინდის მხარეში,
ბნელეთში იყო მოსული.
ხმა ჩაესმოდა თავს სწევდა,
ბნელში ვერაფრის მხილველი,

შხუილით გადაუვლიდა
            თავს უცნაური ფრინველი.
ფრინველები როდი იყვნენ,
            წივილით და ერთი ზარით,
ცოცხზე მჯდარი მოფრინავდა
            კუდიანთა მთელი ჯარი.
ვით ზღაპარში გაგონილი
            გმირ იანოშს ჰქონდა წინათ,
აქ, ბნელეთში ეშმაკებს და
            კუდიანებს ჰქონდათ ბინა.
და ყოველღამ ამ ადგილას
            თავს იყრიდნენ წყეულები,
სიხარულით მოფრინავდნენ,
            როგორც ლხინში წვეულები.
აქ, ბნელეთის შუაგულში
            დღეს შეკრება ჰქონდათ, ალბათ,
გრძელ ცოცხებზე შემსხდარები
            მოფრინავდნენ აქეთ სწრაფად.
კლდის ქვეშ ხვრელში შეყრილიყვნენ,
            ცას სწვდებოდა ცეცხლის ალი,
ხვრელის კარის ჭუჭრუტანას
            დააშტერა გმირმა თვალი;
ალზე თითქო ირხეოდა
            ჭერი აბლაბუდიანი,
რაც კი ქვეყნად ჯოჯო იყო,
            ან თარსი და კუდიანი,
სულ იქ იყვნენ, ცეცხლის ირგვლივ,
            ჩანდა ყველა ჩამომსხდარი,
იანოშმა დაინახა
            სანახავი საოცარი:
ზოგი ხტოდა, ზოგი კიდევ
            ცეცხლს უვლიდა მალაყებით,
ცეცხლზე დიდი ქვაბი იდგა,
            სავსე იყო ბაყაყებით,
სავსე იყო ვირთხებითა

და ხვლიკების მთელი გუნდით,
ეშაფოტის ხავსითა და
დაგრეხილი კატის კუდით.
სისხლიანი ბალახები
ზედ მიჰკროდა კაცის ტუჩებს,
ერთმა აზრმა გაიელვა
იანოშის თავში უცებ:
„რაც ბნელეთში ეშმაკია,
ან რაც მათი ამქარია,
ყველა ერთად შეკრებილა,
თავმოყრილნი აქ არიან!“
აქ იქნება მათი მეფეც,
მათი ერთად თავმომყრელი!
რომ სასტვენი ამოეღო
ჩანთისაკენ გაჰყო ხელი.
მაგრამ უცებ ხელში რაღაც
სველი მოჰყვა დაძონძილი,
შეხტა, თითქო უცაბედად
დაურღვიეს მყუდრო ძილი.
დააცქერდა, როცა იცნო,
აღარ გაუოცებია,
ხედავს: ცაში გასაფრენი
კუდიანთა ცოცხებია.
იანოშმა ეშმაკები
გადაჰკიდა ხათაბალას,
ცოცხებს თავი მოუყარა
და შორს სადღაც გადამალა.
შემდეგ სასტვენს სტაცა ხელი,
განა დიდხანს უბერავდა,
წამსვე მასთან დაიბადა
მთელი ჯარი ბუმბერაზთა.
„ჰკა მაგასო!“ შეუძახა
და ხვრელს ეცა მთელი ჯარი,
იმწუთსავე ნაფოტებად
იქცა დიდი ხვრელის კარი.

შენს მტერს იქ რომ ზარი დადგა,
ვინ იცოდა, ვინ ვის უსწრებს,
გულგამსკდარი ეშმაკები
გამოცვივდნენ გარეთ უცებ.
რადგან ჰქონდათ დაწყობილი
ცოცხთა წყება კარის ძირში,
იქ მიაწყდნენ, რომ არ დახვდათ,
მაშინ შეჰქნეს ვაი-ვიში.
ბუმბერაზნი უყვიროდნენ,
„სადღა წახვალთ, სადითაო“,
იჭერდნენ და წიწილივით
თავებს სწყვეტდნენ სათითაოდ.
ზოგს მიწაზე ანარცხებდნენ,
ცას სწვდებოდა მათი კვნესა,
ზოგს ვეება ფეხს ადგამდნენ
მკბენარივით გასასრესად.
ცაზე, როგორც კუდიანი
სულს დალევდა რომელიმე,
წამსვე შუქი იმატებდა,
ნათდებოდა ბნელი მღვიმე.
ბნელეთს ბინდი აკლდებოდა,
ნათდებოდა ზეცა მუქი,
ბოლოს მხარე მთლად განათდა,
გააბრწყინა მზემაც შუქი.
თითქმის გაწყდნენ ეშმაკები,
ბოლოს ერთი დარჩა ობლად,
ერთადერთი კუდიანი
ფარფატებდა საბრალობლად.
მას დააკვირდა იანჩი,
მარტო რომ რბოდა ცანცალით,
მაშინვე იცნო — ილუშკას
კაპასი დედინაცვალი.
„ამას კი არვის დაგითმობთ,
მეც მოვერევი მგონია!“
დედაბრის გამოსაგლეჯად

ხელებში ეცა გოლიათს.
ეს თქვა და იქვე მოჰკლავდა,
დაგლეჯდა თავ-კისრიანა,
მაგრამ ეშმაკმა მის ხელში
თევზივით გაისრიალა.
გაუსხლტა, უცებ გაიქცა,
ყველა ეშმაკი სწრაფია,
„მოჰკალ! — დასჭყივლა გოლიათს, —
რას დგახარ ბელტიყლაპიავ“..
ესღა უნდოდა გოლიათს?
გაქცევა აღარ აცალა,
ეცა და... სული გააფრთხო
ილუშკას დედინაცვალმა.
როგორც კი სული დალია,
როგორც კი მოკვდა წყეული,
წამსვე ილუშკას სოფელში
დაეშვა მისი სხეული.
მკვდარი იპოვეს, ახსოვდათ,
გერი როგორაც აწამა,
არ მიეკარა სოფელი,
ლეში ყორანმაც არ სჭამა.
ყველა გასწყვიტეს, ბნელეთში
შუქი გაბრწყინდა მზეგრძელი,
მზე ოქროს ტახტზე დაბრძანდა
მუდმივი ბინდის შემცვლელი:
იანჩიმ ერთად შეკრიბა
კუდიანების „ცხენები“.
ცოცხთა კოცონი დაანთო,
ცას მისწვდა ცეცხლის ენები..
გამოსათხოვრად შეკრიბა
ბუმბერაზების ლაშქარი,
კვლავ ერთგულება მოსთხოვა,
კვლავ სამსახური ამგვარი.
მათაც ხელახლა შეჰფიცეს,
დიდებას ჰქუხდნენ რაზმები...

ერთ გზას რაინდი გაუდგა,
მეორეს—ბუმბერაზები.

XXI

მიდიოდა იანოში,
ცხრა მინდორი გადიარა,
არ ტანჯავდა ადრინდელი
მწუხარება, არც იარა.
თან, საფლავზე მოწყვეტილი,
მუდამ ჰქონდა ტურფა ვარდი,
დახედავდა ვარდს თუ არა,
შორდებოდა გულზე დარდი.
მუდამ იყო გუნებაზე,
თუ ცოცხალი თავი სძულდა,
ტურფა ვარდი განუყრელად
გარეგობილი ჰქონდა გულთან.
როცა ამ ვარდს დაჰყურებდა,
თვალში ედგა შუქნათელი,
რაღაც გრძნობა ამშვიდებდა.
რაღაც ტკბილი ჟრუანტელი.
მიჰყვებოდა გრძელ გზას ასე,
დაეღალი თუმცა მუხლი,
ერთ საღამოს, როცა გრძელ დღეს
მიეპარა ნელა მწუხრი,
მზე ჩავიდა სისხლიანი,
ვით ნადირი გარეული,
ცაზე მთვარე ამოვიდა
ფერმკრთალი და გალეული.
მთვარის შუქმა გაანათა
გზა გრძელი და ღამით ძნელი,
შედგა მგზავრი, იგრძნო წამით
დაღლილობა საშინელი.
სადაც შედგა, იქვე დაწვა
ცივ მიწაზე დადო თავი,

წამსვე ძილმა მოიტაცა,
დაქანცული, საცოდავი.
არ იცოდა, სად იძინებს,
ისე დაწვა ძირს დაღლილი,
ძველისძველი სასაფლაო
იყო თურმე ის ადგილი.
მივიწყებულ სასაფლაოს
აკლდა მზრუნველ კაცის ხელი,
ირგვლივ ყველგან შამბი იდგა
და სიჩუმე საკვირველი.
როგორც დადგა შუაღამე,
ჟამი დიდი მყუდროების,
სამარხებმა კარი გახსნეს
თავახდილი კუბოებით.
წამოდგნენ მკვდართა ლანდები
ღამეში თვალთა ცეცებით,
ზოგს ტანთ ეხვია სუდარა
ზოგსაც ქათქათა ზეწრები.
მიწაზე დადგნენ თუ არა
თამამად იწყეს ფარფაში,
დაბანგულს გააღვიძებდა
მათი ცეკვა და თამაში.
ისეთი ჰქონდათ ხმაური,
გეგონებოდა ომია,
მაგრამ იანოშს ღრმა ძილი
წამითაც არ გაფრთხობია.
ერთმა აჩრდილმა მძინარეს
დახედა, ხელი ასწია,
შესძახა: „მოდით, მოგროვდით
აგერ ცოცხალი კაცია!“
„როგორ გაბედა, გავბაწროთ, —
სუყველამ დასცა ყიჟინა, —
ასეთ დროს ჩვენს სამეფოში
სულიერთაგან ვის სძინავს?“
წრედ შემოერტყნენ ლანდები,

რომ გაეთანგათ მძინარი,
რას დამართებდნენ იანოშს
ამისი მთქმელი ვინ არი.
მაგრამ უეცრად სოფლიდან
გაისმა მამლის ყიყლიყო.
და წამსვე გაჰქრნენ ლანდები,
მათი დამჭერი ვინ იყო.
მამლის ყივილზე იანოშს
გამოეღვიძა კანკალით,
გათოშილიყო, მინდორზე
ქარი დაჰქროდა ანგალი.
მიმოიხედა, გაოცდა,
საფლავზე ჰქონდა ლოგინი,
ადგა და ნამძინარევი
კვლავ გზას გაუდგა ზოზინით.

XXII

[მთის წვერზე შედგა რაინდი,
თვალი მოავლო მწვერვალებს,
სახეზე უცებ რიჟრაჟის
შუქი მოადგა ელვარე,
ლამაზი იყო ქვეყანა,
ნისლში რომ ჩანდა ბინდ-ბუნდად,
თვალს იტაცებდა ყოველი,
რომელ მხარესაც მიბრუნდა.
ცა ირხეოდა ცახცახით,
მზისაგან ისარნაკრავი,
შორს როგორც ციცინათელა,
სულს ლევდა ცისკრის ვარსკვლავი
და როცა ერთად გასტყორცნა
მზემ უთვალავი მაშხალა,
ცაზე ვით ღამის ბინდ-ბუნდი,
ცისკრის ვარსკვლავიც წაშალა.
მზე ოქროს ტახტზე დაბრძანდა,

ცეცხლივით ამობრიალდა,
დაბლა უძრავად გაწოლილ
ზღვას დააცქერდა ზვიადად,
ზღვა მშვიდად იყო გართხმული,
არ შერხეულა დილიდან,
ჯერ ზვირთებს კიდევ ეძინათ
დაუსრულებელ ძილითა.
ზღვის ვრცელ ზედაპირს აქა-იქ
ზოგჯერ გაჰქონდა კანკალი,
თევზი რომ ამოხტებოდა
ელვარე, როგორც ხანჯალი,
ზეამხტარ თევზთა ქეცედი,
დიდთა და პაწაწინათა
მზის სხივზე თვალის მომჭრელად
ალმასის მსგავსად ბრწყინავდა.
ზღვის პირად ჩანდა მეთევზის
ქოხი, ბადე და ფაცერი,
იდგა მოხუცი მეთევზე,
თეთრად ეფინა თმა-წვერი.
ის იყო ბადე გამართა,
სასროლად წამოიწია,
იანჩი მიუახლოვდა,
უთხრა: „სალამი ბიძია!
ზღვის გაღმა გადამიყვანე,
ფეხი რომ არ დავასველო,
ფული რომ მქონდეს, იცოცხლე,
მოგცემდი დარბაისელო.
მაგრამ თუ ჩამსვამ უფულოდ
ნავში გაცნობილს შემთხვევით,
მადლობას გეტყვი უზომოს,
თეთრ წვერ-ულვაშზე გემთხვევი“.
„ფული გინდ გქონდეს, გინდ არა,
ეგ არ მაფიქრებს სრულებით,
უბრალო მებადური ვარ,
რად მინდა შენი ფულები!

სანამ ამ წყალში თევზია,
თავს მუდამ ჩავთვლი მდიდარად,
საყოფ თევზს ვიჭერ ამ ბადით,
მე მეტი არა მინდა რა.
მაგრამ შენ იცი სადა ხარ?
თუ გაგებასაც არ ცდილობ?
ოკეანესთან მოსულხარ,
გზა დაკარგულო უმაწვილო.
აქ ფული უსარგებლოა,
სხვაგან ოცნების საგანი,
გაღმა ვერ გახვალ, არა აქვს
ამ წყალს არც სიგრძე, არც განი“,
„ოკეანეო? ეგ რა სთქვი?
ჰოი სურვილო მაცდურო!
რაც უფრო გასვლა ძნელია,
მით უფრო მინდა გავცურო.
წყალგაღმა გავალ უთუოდ,
რაგინდ ვიწვალო, რამდენიც,
გმირ გოლიათებს მოვიხმობ.
თანა მაქვს ჩემი სასტვენი“.
როგორც კი სასტვენს ჩაბერა,
საიდან გაჩნდა იმ წამსვე,
გოლიათთაგან ერთ-ერთი
მის წინ განერთხო მიწაზე.
„შეგწევს თუ არა ძალ-ღონე —
გოლიათს ჰკითხავს იანოშ —
წყალგაღმა ისე გავიდეთ. —
წყალმა არ დაგვაზიანოს?!“
„ამ გუბეს ამბობ? გაგიყვან
ფეხების დაუსველებლივ,
შენ ოღონდ მხარზე შემაჯექ,
თმებში ჩამჭიდე ხელები“.
მხარზე შეისვა იანჩი
როგორც პატარა თოჯინა,
წყალში შევიდა მაშინვე,

ნაპირზე არ ალოდინა.
მიდიოდა ბუმბერაზი,
მუხლის ძალას მინდობილი,
გოლიათის თითო ბიჯი
სიგრძით იყო თითო მილი.
მიდიოდა ბუმბერაზი,
ფართო მხრებზე ეჯდა გმირი,
სამმა კვირამ გაიარა,
არა ჩანდა ჯერ ნაპირი.
ერთხელ ნისლში იანოშმა
შორით მიწა დაინახა,
აღტაცებით ტაში დაჰკრა,
„ნაპირიო“ დაიძახა.
მოუბრუნდა გოლიათი
წყლის შხეფებით გაწუწული,
ეგ ნაპირი როდი არი,
პაწაწინა ჩანს კუნძული.
„ვისი არი ეგ კუნძული,
ან აქედან ახლოს არი?“
„ფერიების სამეფოა,
ეგ კუნძული საოცარი.
მაგ კუნძულის იქით უკვე
აღარ არი ზღვა და მყარი,
არც სიცოცხლე, არც სიკვდილი,
არაფერი აღარ არი“.
„ჩქარა იქით წამიყვანე,
ერთგულო და ახლობელო,
უნდა ვნახო ის კუნძული,
ფერიების სამფლობელო“.
„მე წაგიყვან, არ მსურს გმირო,
შენ კამათი გაგიმართო,
მაგრამ გეტყვი, იმ კუნძულზე
მისვლა არი სახიფათო.
რადგან წყლიდან მისასვლელ გზას
იცავს მხეცთა მთელი გროვა,

გიჯობს ადრე დაფიქრება
სინანულს და გვიან გლოვას“,
„ამის შენ ნუ გეფიქრება,
ბალღი არ ვარ საცოდავი,
რომ მარყუჟში დასახრჩობად
მე თვითონვე გავყო თავი“,
რას ეტყოდა გოლიათი,
იანოშის ჰქონდა რიდი,
კუნძულისკენ წაიყვანა,
არ დასჭირდა მოვლა დიდი.
ნაპირთან რომ მიიყვანა,
ძირს ჩამოსვა გმირი მარდად,
დაეთხოვა და უკანვე
აჩქარებით გაემართა.

XXIII

ფერიების სამფლობელოს
შესასვლელში, პირველ კართან,
არვინ ჩანდა, სამი დიდი
საშინელი დათვის გარდა.
მათ მიუხტა იანოში,
მათ აძგერა ხმალი მკაცრად,
როგორც იყო სამივ მოჰკლა,
ხელიც არსად გაიკაწრა.
სამი დათვის ერთად მოკვლა,
განა გარჯა არი ცოტა?!
შორს ლოგინი არ ეძია,
იქვე ახლო გაიშოტა.
იქვე გაწვა, კარის ახლოს
გადებული ნახა ძელი,
თქვა: „დღეს სხეულს დავასვენებ,
გზა მომელის, ალბათ, ძნელი“.
მეორე დღეს გზა განაგრძო,
წინ დაუხვდა სხვა კარები,

ამ მეორე კარისაკენ
გაემართა აჩქარებით.
აქ ელოდა მეტი გარჯა,
სასტიკი და მკაცრი ომი,
რადგან ამ კარს დარაჯობდა
საშინელი სამი ლომი.
კვლავ ხმალს ამასწვდა, გმირმა გულში
არ გაივლო მცირე შიში,
და ერთბაშად სამივეზე
მიიტანა იერიში.
ეცნენ მხეცსაც, ისგეასი ბრძოლა
არ წახულა თავის დღეში,
მაგრამ ბოლოს სამივ ლომი
ძირს დაეცა სამი ლეში.
ფრთა შეასხა გამარჯვებამ,
ამაყობდა კიდეც გულში,
ამიტომაც დასვენება
არ ინდომა, როგორც ეუშინ.
სახელოში მოიწმინდა
შუბლზე ოფლის ნაკადები,
და მესამე კარისაკენ
გაემართა დაჭიდნებით.
მაგრამ ასლო რომ მიეიდა,
შენს მტერს, მაშინ რაც მან ხახა,
კარს იცავდა გველეშაპი,
დაღებული ჰქონდა ხახა.
კარის ზღურბლზე აზმორებდა,
ცეცხლის ფრქვევით დაუღლელი,
ძლივს ერთ ლუკმად ეყოფოდა
ხარკამეჩი ცხრაუღელი.
თუმცა ჩვენი იანოში
გამბედავი იყო ლიდად,
მაგრამ იქ აზრს მოიხმარდა,
სადაც ხმალი არა სჭრიდა.
მიხვდა რომ მისი ფარ-ხმალი

ვეშაპთან იყო უძლური,
უნდა სხვა რამე ეღონა
გზა რომ გახსნოდა კუნძულის.
პირი დააღო ვეშაპმა,
ზმორეებით, უზარმაზარი,
იქ რომ სხვა ვინმე მდგარიყო
ლოკავდა თავზარი.
ჩასაყლაპავად ვეშაპი
მზადდ იწვიდა ფაშფაშით,
გამოექანა იანჩი,
[illegible] შეეკარდა ხახაში.
შეჭრა ვეშაპის შიგნში,
[illegible] ეგონა [illegible] არა,
[illegible] ხმალმა პირობასრმა
[illegible] შიგ ეაუარა.
წითელი სისხლი ავარდა,
იტყოდი ცეცხლის ალია,
ერთი შეპბღავლა ვეშაპმ
და წამსვე სული დალია.
მოჰკლა ვეშაპი ვაჟკაცმა,
მით აისრულა ქადილი,
მაგრამ გულიდან გამოსვლა,
რიდი შეიენა ადვილი.
სანამ არ გასჭრა მუცელი,
ფატრავდა ხმალ[illegible]ბლეჯული,
ძლივს გამოვიდა, იხილა
გაბრწყინებული კუნძული.
ფერიათა სამეფოში
სულ მზეა და კარგი დარი,
იქ ზამთრის და შემოდგომის
ერთხელ ამოსწრეც არვინ არი.
მზე არ ჩადის, არც ამოდის,
არა ფარავს ცას წყვდიადი,
იქ უცვლელად, გამუდმებით,
დგას მზიური განთიადი.

იქ სიკვდილი არ არსებობს,
სენი არვის ეტანება,
ახალგაზრდა ქალ-ვაჟისთვის
დგას მუდმივი ნეტარება.
მათ საჭმელი არ სჭირდებათ,
არც სასმელი ერთი წვეთი,
სიყვარული არის წმინდა
მათი საზრდო ერთადერთი.
არ იციან მწარე ცრემლი,
როგორ სწყდება განაწამებს,
მხოლოდ ცრემლი სიხარულის
სწყდება ხოლმე მათ წამწამებს,
და იმ ცრემლთა, ბედნიერთა,
თვალებიდან წყნარი დენა,
მიწის გულში ძვირფას მადანს,
ალმასს აჩენს ფენა-ფენა.
ფერიების თმის ხვეული
შეეხება მიწას ოდეს,
ოქროს მადნად გადიქცევა,
ემატება ოქროს ზოდებს.
და ის ოქრო მიწაში თვლემს,
გაბნეული მთად და ბარად,
მის ძებნაზე გადაგებულ
კაცთა გულის გასახარად.
იქ, ბალღები თამაშის დროს
საამურად იმღერიან,
ფერიების თვალთა შუქის
გვირგვინს წნავენ შვიდფერიანს.
როცა დაწვნას მორჩებიან,
სიხარულით ბრწყინავს ყველა,
ციდან ცამდე გაჰკიდებენ
კოხტად დაწნულ ცისარტყელას.
ია-ვარდის ლოგინი აქვთ,
სურნელებით გაჟღენთილი,
ამ ლოგინზე მწოლარესთვის

ტკბილად მოჰყავთ ვარდებს ძილი,
დამათრობელ სიოს ფრთებით,
ფრენით მიჰყავს ძილს ფერია,
მათ სიზმარში ყველაფერი
ლამაზი და ცისფერია.
სძინავთ, უვსებთ გულს ზმანება,
უფრო დიდი ნეტარებით,
აჩრდილია მათი ცხადი,
მათ სიზმრებთან შედარებით.
მათ ტკბილ სიზმრებს ოდნავ მოგავს,
ის პირველი გრძნობა კაცთა,
გულს რომ გაჰკრავს სიყვარული,
სულ პირველი ტრფობის განცდა.
გონს ვერ მოეგო კუნძულზე
ვაჟკაცი თავდაპირველად,
მას ყველაფერი ეჩვენა
ტურფად და გასაკვირველად.
დამაბრმავებლად გაჰქონდა
ვარდისფერ ნათელს კაშკაში.
თამამად ვერც კი ახელდა,
შეუჩვეველ თვალს ვაჟკაცი.
რიდი არ ჰქონდათ ფერიებს,
შემოხვეოდნენ იანოშს,
თითქო პატარა ბალღები
ახლობლის ირგვლივ ხტიანო.
ტკბილი გაუბეს ბაასი,
გალობდნენ, როგორც ჩიტები,
კუნძულის შუაგულისკენ
სტუმარს გაუძღვენ დიდებით.
რომ დაიარა კუნძული,
თითქო სიზმარში ყოფილა,
აზრმა მის მძინარ გონებას
თანდათან შუქი მოჰფინა.
და გაახსენდა ილუშკა,
სიტურფით სწორუპოვარი,

ვერ შეიმაგრა მწუხარემ
თვალებზე ცრემლი მომდგარი.
„აქ, სიყვარულის კუნძულზე
ტრფობით სულდგმულობს ყოველი,
მხოლოდ მე დავალ მარტოკა,
ჩემივე ბედის მგმობელი.
ბუჩქიც კი ბუჩქს ეფერება,
ფერიას კიდევ — ფერია,
აქ მხოლოდ მე ვარ ბედშავი,
სხვა ყველა ბედნიერია“.
კუნძულზე იყო დიდი ტბა,
უბრალო გუბე კი არა,
ტბას ჩააცქერდა იანჩი:
სარკეს მოჰგავდა, კრიალა.
მწუხარეს თავის დახრჩობა
უნდოდა ტბაში აშკარად,
ვარდი მოიძრო მკერდიდან,
დახედა: უკვე დამჭკნარა!
სატრფოს საფლავზე გაფურჩქვნილ
ვარდს ვაჟის ცრემლი ესხურა,
უთხრა: „სატრფოს გზა არ ვიცი,
შენ უნდა მყავდე მეგზურად!“
ეს თქვა და ვარდი უსულო
ტბაში მოწყვეტით ისროლა,
ის იყო სურდა თავადაც
ტალღებში ვარდის მიყოლა,
მაგრამ რა ნახა! როგორც კი
ვარდს ზვირთი მოხვდა პაწია,
გასაოცარმა ტბის წყალმა
ვარდი ილუშკად აქცია.
გულდამშვიდებით იანჩიმ
ვეღარ უყურა ამ სურათს,
ნაპირზე გამოსაყვანად
მაშინვე მისკენ გასცურა.
ტბა სასწაულის მომხდენი —
ტბა იყო უკვდავებისა,

მკვდარს აცოცხლებდა შეხება
მისი უბრალო შხეფისაც.
ვარდი ილუშკას საფლავზე,
მის ნეშტზე იყო გაზრდილი,
ტბამ გააცოცხლა იმ ვარდში,
მკვდარი სიცოცხლის ნაწილი.
და მთლად გაცოცხლდა ილუშკა,
ვაჟს თვალზე ცრემლი ერევა,
ვერა, ვერ აღწერს კალამი
ბედნიერებას.
გამოიყვანა ილუშკა
და ვით დიდი ხნის მწყურვალემ
მის ტუჩზე, დაღირსებულმა
კოცნა აღბეჭდა მხურვალე.
რა ტურფა იყო ილუშკა!
კუნძულის ყველა ფერია
გაოცებული ამბობდა:
„ეს ჩვენზე მშვენიერია?“
და ცდაწყვიტა მაშინვე
კუნძულის ყველა მოთავემ:
მეფე-დედოფლად ჰყოლოდათ,
ტახტზე დაესვათ ორთავე,
იმ დღიდან ტახტზე სვიანად
ზის იანოში მორჭმული,
ფერიებით და ვარდების
სურნელით გარშემორტყმული.
გვერდთ უზის თაეის ილუშკა —
ულამაზესი ფერია,
მადლიერი ჰყავს ხალხი და
თავადაც ბედნიერია.

ეროსი ედიანელი

(1796—1852)

უცხოეთიდან

როცა ლხინია ირგვლივ დამღლელი
და დროსტარება არის გაბმული,
გულს მიკლავს ტკბილი, ჩუმი ნაღველი,
განუსაზღვრელი სევდა მამულის.

ჩემს ულამაზეს მშობელ კუთხეში
შორიდან ვხედავ მთელ დიდ სამყაროს,
მე უცხოეთში ვინ მცეს ნუგეში,
სამშობლოს გარეთ ვინ გამახაროს.

ჩემო მამულო, ო, როგორ მინდა,
კვლავ ვნახო შენი მწვანე მინდვრები,
მდინარეები ბროლივით წმინდა
და ტყეთა ბნელი ლაბირინტები.

მსურს მივესალმო შენს ქოხებს, ჩუმი
ძილით რომ სძინავთ კაეშნიანებს,

ჩურჩულს, სიწყნარეს, პოეტურ დუმილს,
ფოთლებს, სიბნელეს რომ შეშრიალებს.

ნეტავ იქ მქონდეს პატარა სახლი,
გაბრწყინვებული მზის ელვარებით,
და დამყურებდეს ყოველდღე მაღლით
ნისლმოხვეული მთის მწვერვალები.

ნეტავ მაჩვენა მინდვრები ჩვენი,
მათ ახსოვთ ჩემი რბენა ტრამალში,
მათ ახსოვთ ჩემი ბავშვობის დღენი
და უზრუნველი ჩემი თამაში...

მდინარის ოხვრა, ხმაური ხევთა,
ტკბილი გალობა ცაში ფრთოსნების,
ბავშვს მიწვეთებდა სულში ტკბილ სევდას
და მიმაფრენდა მაღლა ოცნებით.

ნეტავ იქ ვიყო, შევკრავ კონებად
მინდვრის ყვავილებს, დავირბენ ახოს,
რომ დაქანცულმა ჩემმა გონებამ
კვლავ ის ბავშვური სიზმრები ნახოს.

იქ თვით სიკვდილიც იქნება ტკბილი,
არა სიცივე და დამიწება...
მოვა, წამიღებს საამო ძილით
ყრმობის ზმანება და დავიწყება.

უკანასკნელი სურვილი

ერთადერთი სურვილს ვინახავ წმინდად,
სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე მდგარი,
მე ზღვის ნაპირზე სიკვდილი მინდა,
როცა საღამო დადგება წყნარი.

ზღვასთან მსურს მუდმივ ძილს თავი მივცე,
ტყე შრიალებდეს ახლო ღამ-ღამე,
და ცას ეკვროდეს ზღვის წყნარი სივრცე,
ცასავით ლურჯი და მოკამკამე.

არ მინდა კუბო ძვირფასი, ანდა
დროშები, ღიდ ხალხს არ ვეტოლები,
უბრალოდ შეჰკრან საკაცე სადა,
სურნელოვანი მწვანე ტოტებით.

ნუ ღამიტირებს საფლავზე ნურვინ
უჭირისუფლოს და უსახლკაროს,
დე შემოდგომამ ცრემლით და მღურვით
ხმელი ფოთლები გადმომაყაროს.

დე ნაკადული მოთქვამდეს ნწარედ,
შხეფებით შუქზე მოციმციმეთი
და ფიქვის წვერზე ასულმა მთვარემ
მეც მომაწვდინოს შუქი მცირედი.

დე ფარა ძოვდეს ბალახს და ბოტებს
უყღარუნებდეს ყელზე ეკვანი,
ცაცხვი მაღლიდან მიქნევდეს ტოტებს
სავსე წუხილით და კაეშანით.

ალარ მკაცრებენ ქვეყანა მოვლილს,
წამებულს, მკვდარსაც დამწამონ ცილი,
და ჩემს სახელსაც, ვით ბილიკს თოვლი,
მოგონებები დაფარავს ტკბილი.

როცა ვარსკვლავნი ღამის სიშავეს
გასტეხენ, განა შორს ვეგონები,
ციდან ლიმილით თვალს ჩამიკრავენ,
ვით ჩემი ყრმობის ტოლ-მეგობრები.

ზღვა დაიკვნესებს და მის მკაცრ ხმაში
ტალღა დატყდება ყალყზე შემდგარი...
ვაგლახ, მე მარტო ვიქნები მაშინ
მიწად მდებარე ცივი ცხედარი.

მუსიკოსის სიმღერა

მარტო დავდივარ გაუგებარი,
გაუგებარი, როგორც ზღაპარი,
ამბოხებული, დაუდეგარი
და ცოდვილივით მიუსაფარი.

მუზა ვარ კლდეზე ფრთებმიმსხვრეული,
უდაბნოს ხმა ვარ ღონემიხდილი,
და ცოცხლებს შორის ჩემი სხეული
მარტოკა დადის, როგორც სიკვდილი.

მე მირონს ვსუნთქავ, დაღლილი მკერდი,
ალბათ, ამიტომ იწვის სახმილით,
ასე წვალებით წყალსა სვამს გედი,
ყინვით გასარკულ ტბაზე დახრილი.

ცხოვრების აზრის, სიცოცხლის ფასის
განმმარტებელი მითხარ სად არი,
ოდესღაც ვიყავ არწივის მსგავსი,
ახლა ჯვარი ვარ ცივი სამარის.

თუ ხალხი ჩემს ხმას არ გაიგონებს,
სიცოცხლეს მეტი რა აქვს მიზანი,
ცაზე ვარსკვლავთა ნათელ სტრიქონებს
რაღად ვკითხულობ როგორც მისანი.

და ესღა მინდა, ბედო შავბედო,
წამით ავწიო სიკვდილის ფარდა,

რომ ჩემს ფერმიხდილ სახეს დავხედო
ღია კუბოში სამარის კართან.

გვიან შეიტყობთ მე ვინ ვიყავი,
რისთვის ვცხოვრობდი გაიგებთ მაშინ,
როცა სიკვდილი განუკითხავი
თავის შავი ფრთით გამაფრენს ცაში,

რამდენი ანძა

ქარში დატყდება ანძა რამდენი,
ზღვაზე რომ ჩქარობს გრძელი გზის გავლას,
ბევრი ფრინველი, შორს გადამფრენი,
ზღვასა და გრიგალს ღარჩება დავლად.

მაღალ მიზნისკენ ბევრი იჩქარის, —
მღელვარე ზღვაში ქარი ბევრს ღანთქამს,
და შორს წაიღებს ისევ ის ქარი
ლამაზ სიმღერას, გრიგალში ნათქვაცს.

მწვერვალებზე

მწვერვალებს მთვარის ანათებს შუქი,
შრიალა ტყეებს სიბნელე ჰფარავს,
სადღაც, შორიდან, გაფანტულ ფარას
მწყემსი თავისკენ მოუხმობს ბუკით.

ეს ხმა, ნაღვლით და სევდით ბურვილი,
თანდათან წყდება, ყრუვდება თითქოს,
და ჩემს ცივ სულში ჩუმად ღვრის სითბოს
სავსე სიკვდილის ტკბილი სურვილით.

აღარ აქვს ამ თბილ ნაღველს ნაპირი,
ობოლ სულს ქვეყნად რა უხაროდეს!
ჩემს გულს რომ უხმობს, ნუთუ აროდეს
არ დაიძახებს იგი საყვარი?!

ვარსკვლავის შუქი

ზაფხულის ღამეს გასაოცარი,
ვარსკვლავი მოჩანს ცაზე პაწია,
მისმა ნათელმა, ისე შორს არი,
დედამიწამდე ძლივს მოაღწია.

ის იქნებ უკვე ჩამქრალიც არი,
თუმც მოკაშკაშე მოჩანს შორიდან,
სხივი კი მისი, როგორც ისარი,
ჩვენამდის მხოლოდ ახლა მოვიდა.

მისი აჩრდილი მარადისს ერთვის,
ჩვენთვის უჩინრად, თუმც გზა გალია,
ცოცხალი იყო, არ ჩანდა ჩვენთვის,
მოკვდა და ვხედავთ, თუმც გამქრალია.

და ჩვენც ცოდვილი მიწის ბინადრებს,
როცა გზას მივსდევთ უკვე გათელილს,
სულს შუქით კიდევ დიდხანს გვინათებს
უკვე გამქრალი ტრფობის ნათელი.

დ ე დ ა

დედავ! საფლავში სამუდამოდ თვალმიხუჭული
მიხმობ ფოთლების საიდუმლო წყნარი ჩურჩულით.
შენს ბნელ საფლავზე უხმოდ ცვივა და წყნარად წვება
გაყვითლებული აკაციის ფოთლების წყება.
მე მათ შრიალში კვლავ შენი ხმა მომესმის ტკბილი,
მათ ჩუმ ჩურჩულში გერგო წილად მარადი ძილი.

მე რომ მოვკვდები, როს წამიღებს ძილი ნეტარი,
არ დაიტირო, სატრფოვ, ჩემი ცივი ცხედარი.
ჩემს სამარეზე ცაცხვის ნერგი დარგე პატარა
და დააფრქვიე ცხარე ცრემლის წყარო ანკარა.
ცაცხვის ფოთლები იშრიალებს ჩურჩულით ნელა,
მე არ ვიქნები, ირგვლივ ისევ იცოცხლებს ყველა.

მაგრამ თუ ერთად მოგვეწევა ბედი მდევარი,
მინდა შენს გვერდით, ერთ კუბოში ვიყო მდებარე,
ერთად დაგვმარხონ ზღვის ნაპირას, ტყუპების დარად,
იქ, სადაც ზვირთნი შრიალებენ ღამეში წყნარად.
ასე, საფლავშიც განუყრელად ვიქნებით წყვილი,
ტალღებს სულ მოთქმა, ჩვენ მარადი გვექნება ძილი.

ღამე

ღამეა, ცეცხლის ალს შევყურებ ბუხართან მჯდარი,
და ვიდრე თვალს არ მოერევა თვლემა და ბინდი,
ვუცქერ ნაკვერცხლებს კერაზე რომ ღუღუნებს მშვიდი,
ჭრება სანთელი... ძილი მოდის ჩუმი და წყნარი.

დავხუჭავ თვალს და შენ ღიმილით მიახლოვდები,
თოვლივით თეთრი, ზაფხულის დღის მსგავსად ნათელი,
ჩემს მუხლზე ჯდები საოცნებო და სანატრელი
და შენნი მკლავნი მეხვევიან, როგორც ტოტები.

ყელს მომეჭდობი, მკერდს მომაყრდნობ თავს სასურველი,
თვალში ჩამყურებ სიყვარულით, ოდნავ შემკრთალი,
შენ გაგაოცებს ჩემი სახე, ასე ფერმკრთალი,
მე გამაბრუებს შენთა თეთრთა მკლავთა სურნელი.

და მერე, თითქო გამოფხიზლდი ძილიდან უცებ,
შუბლიდან ქოჩორს გადამიყრი ნაზი თითებით,
მძინარედ ჩამთვლი, სურვილით რომ გავირინდები,
და ჩემს ფართო შუბლს დააკონებ მხურვალე ტუჩებს.

ო, მომეფერე, ვიდრე არ აქვს ჩემს შუბლს ღარები,
ვიდრე ნორჩი ხარ, ვით ახალი ვარდის ფურცელი,
ვიდრე ნამივით ბრწყინვალე ხარ და ფერუცვლელი
და ჩემი სახეც არ დაუხნავს წლებს მწუხარებით.

ტბა

ლურჯია ტყის ტბა, ცა გეგონება,
სიო არ არხევს ზვირთთა ქარავნებს,
წრეებს ცახცახით ხაზავს რგოლებად
და ჩემს პატარა ნავს აქანავებს.

და მე მივცურავ, მივსდევ ოცნებას,
მწამს, ეს ოცნება წამით ახდება —
ლაქაშებს შორის ის გამოჩნდება
და ჩემთან ერთად ნავში ჩახტება.

წელს მომეხვევა სურვილით მკლავი,
ტკბილი ალერსით რომ განვისვენოთ,
რომ დამავიწყდეს საჭეც და ნავიც
და ნიჩბის მოსმაც არ გავიხსენო.

რომ მოვცურავდეთ და შუქი მთვარის
ციცინათელად კრთოდეს მის თმაში,
ლაქაშებს სიო არხევდეს წყნარი
და გვაცილებდეს ტალღების ტაში.

მაგრამ მე ისევ მარტოდმარტო ვარ.
ოცნება ქრება, როგორც ნამქერი,
ამაოდ ველი, იგი არ მოვა,
და მოწყენილი ლურჯ ტბას გავცქერი.

როცა შენ მაგონდები

როცა შენ მაგონდები, ოკეანე ყინულის
თვალთან დგება ყინვების ჯაჭვით შემორკინული,
ცაზე ერთი ვარსკვლავიც არ ანათებს კაშკაშით,
მხოლოდ მთვარე მიმქრალი ბჟუტავს ღრუბლის ალყაში.

და ყინულის ნამსხვრევებს მისდევს გასაკვირველი,
სუსტი ფრთების ფარფატით დაქანცული ფრინველი.
მისი ცალი ფრინველი, მისთვის გაუცინარი,
ფრინველების გუნდს გაჰყვა და შორს, სადღაც წინ არი.

ძალმიხდილი ფრინველი წამებით და წვალებით
განვლილ შარას მოხედავს სევდიანი თვალებით.
კვდება და თვალს განვლილ გზას უსიცოცხლოდ აყოლებს.
არც რაიმე გულსა სწყვეტს, არც რაიმე აღონებს.

ჩვენც ასე ვართ. ცალ-ცალად, უკვე თვალში ბინდდება
და მანძილი ჩვენს შორის ყოველ წამში დიდდება.
და რაც უფრო მშორდები და რაც უფრო მცილდები,
ახლოვდება სიკვდილი, ყინულივით ვცივდები.

მარტოობა

კვლავ მაგიდასთან ვზივარ მწუხარე,
სარკმელებს მძიმე აბნელებს ფარდა,
გაბრწყინებულა ცეცხლით ბუხარი
და არვინ არი ირგვლივ ჩემს გარდა.

მარტოდენ ცეცხლის გაისმის ჩქამი
და მოგონება სულს გაანათებს,
თითქო სანთლები სულ ერთი წამით
შუქს ჰფენდეს უკვე დაცლილ პალატებს.

თვალს ვავლებ წარსულს და გული მწყდება,
ბუხარში ცეცხლი გაქრა და გვიან
მოგონებების წყება და წყება
ერთი მეორეს ნელ-ნელა ცვლიან.

ჭერში ობობა სასახლეს აგებს,
დაფათურობენ წყნარად თაგვები
და ხრავენ წიგნებს, გაფანტულ წიგნებს,
რადგან ვერ ნახეს სხვა რამ საკვები.

ო, რამდენჯერ ვთქვი, არც ერთი პწკარის
ლექსის დაწერა არ მომინდება,
რამდენჯერ მსურდა ჩემივე ქნარის
უქმად კედელზე ჩამოკიდება.

მაგრამ ამ თაგვთა ფეხის ხმა მსდევდა,
ვერ გავექეცი მათ ხმაურს ვერსად,
და კვლავ იპყრობდა გულს ძველი სევდა,
სევდა მრავალჯერ ქცეული ლექსად.

ხანდახან გვიან, როცა ტიალი
ღამეა გარეთ ბნელი და წყნარი,
უცებ შემაკრთობს კარის ჭრიალი,
უეცრად თითქო იღება კარი.

ოთახში უცებ დგება ნათელი,
თითქო უქრობი შუქი ინთება,
ჩემი ცხოვრების ჩარჩო შავბნელი
კვლავ სატრფოს სახის შუქით ბრწყინდება.

ეს წამი დიდხანს გაგრძელდეს ნეტავ,
ერთად რომ ძგერენ ჩვენი გულები,
სატრფოს ჩემს მკერდზე მოკრულს რომ ვხედავ
და ტკბილად, ტკბილად ვეჩურჩულები.

ისევ ის ჟუჩა

კვლავ შენი ქუჩის ნაცნობი მხარე,
კვლავ შენი სახლი ამ ქუჩის ბოლოს,
შენს სარკმელს ისევ ჩაჰყურებს მთვარე,
შენ აღარ ჩანხარ სარკმელთან მხოლოდ.

კვლავინდებურად ჰყვავის კიდევაც
სახლთან ყვავილი წითელ-ყვითელი,
მაგრამ დღევანდელ დღედ არ იქცევა
უკვე განვლილი დღე გუშინდელი.

შენ შეიცვალე, ის არ ხარ ისევ,
გამქრალა შენი მზერა გულწრფელი,
მხოლოდ მე ახლაც იმ ძველ გზას მივსდევ,
მხოლოდ მე დავრჩი ისევ უცვლელი.

რა სიხარული მოგქონდა, ოდეს
მეგებებოდი ტყის პირას მდგარი,
ისე მსუბუქად, თითქოს ფრთა გსხმოდეს,
მოჰქროდი ჩემსკენ ქარივით ჩქარი.

მკერდს მომეკროდი და თვალი წყვილი
შემომცქეროდა თვალებში ლხენით,
და საუბრობდნენ საუბრით ტკბილით
სიტყვის უთქმელად თვალები ჩვენი.

ასე ვუცქერდით ერთმანეთს დიდხანს,
ბედნიერებით განაყუჩები,
და თვალით ნათქვამ ათასგვარ კითხვას
კოცნით აძლევდნენ პასუხს ტუჩები.

მჯეროდა, ჩვენთვის ერთი მზე ენთო,
მეგონა სუნთქვაც გვქონდა ერთობით,
თურმე ქალს ისე არ უნდა ენდო,
ვით საკუთარ ჩრდილს არ დაეყრდნობი.

მე კვლავ იმ სახლში დაგეძებ ფიქრით,
სარკმელთან ფარდას კვლავ არხევს ქარი,
მაგრამ, ვაი, რომ იმ ფარდის იქით
შენ აღარა ხარ სარკმელთან მდგარი.

შორსა ვარ შენგან

შორსა ვარ შენგან, ცეცხლთან ვზივარ, თითქო დავბერდი,
ფიქრში თვალს ვავლებ განვლილ შარას ბნელს და შავბედითს
მგონია, ყელში სიბერე მწვდა, როგორც აფთარი,
თითქო შენ მოკვდი, მეც გავთეთრდი, როგორც ზამთარი.
მოგონებები აღადგენენ თვითეულ წვრილმანს,
თითქო წვეთ-წვეთად ეცემოდეს ჩემს სულში წვიმა,
სარკმელზე ქარი აკაკუნებს მიუსაფარი
და გონებაში კვლავ ცოცხლდება უცხო ზღაპარი.
აი, ჩემს თვალწინ დგახარ ისევ და მოკრძალებით
მიცქერ მწუხარე, ცრემლიანი ფართო თვალებით.
გსურს მითხრა რაღაც, მომეხვევი, წამსვე მუნჯდები,
და მხოლოდ ოხვრას გამოსცემენ შენი ტუჩები.
გიკრავ გულში და ვგრძნობ მკერდები როგორ შფოთავენ,
ტკბილი ამბორი ერთ არსებად გვაქცევს ორთავეს.
კმარა! აღარ მსურს გახსენება ბედნიერ წამთა,
მისი, რაც მოკვდა, რაც ბავშვივით გულწრფელად მწამდა.
მკვდარი ხარ ჩემთვის, რწმენა გაქრა, აღარსად არი,
უშენოდ, მარტო გავთეთრდები, როგორც ზამთარი.

* * *

გავიდა ხანი, კიდევ გავა მრავალი წელი,
მაგრამ მე იმ დღეს დავიწყებას ვერ მივცემ ვერა,
როცა პირველად ჩემი თვალი შეხვდა შენს მზერას
და ჩემმა ხელმა იგრძნო შენი პატარა ხელი.

ო, დამიბრუნდი! გაცოცხლებას კვლავ შენგან ველი,
როგორ მომწყურდა შენი ფართო თვალების ცქერა,
მე მათი შუქი თუგინდ მკვდრეთით აღმადგენს, მჯერა,
მოდი, ჩემს მკვდარ ჩანგს კვლავ მოსწყვიტე სიმღერა
წრფელი.

ჩემს გულს სიმშვიდით ავსებს, კარგო, ყოფნა შენს
გვერდით,
ოდეს გიხილავ, შენი ნახვის ოხვრით მნატვრელი,
თითქო ღამეში შემოსულა მთვარის ნათელი —

სულს გამინათებს შენი ნაზი მოხედვაც ერთი,
თვალს წამსვე სტოვებს ბინდი, სევდის გამომხატველი,
და შენს ღიმილზე ძგერას უფრო უმატებს მკერდი.

როგორი არის ცხოვრება და
როგორი უნდა იყოს იგი

ლოყებწითელი, ღიპიანი, უმანკო მზერით,
ხალხის წინაშე როცა დგება ქადაგად ბერი,
და ამბობს: არ ღირს კარგ ცხოვრებას კაცნი ნატრობდნენ,
რადგან განცხრომას სინანული მოსდევს მარტოდენ.
ხალხის ცხოვრების მან რა იცის წესი და რიგი,
როგორი არის, ან როგორი სჯობს იყოს იგი.
ღამეა. ბნელ გზას მთვარის მკრთალი შუქი მინათებს,
ვარსკვლავებს შუქი მოემატათ, ზეცის ბინადრებს.
ქუჩას ორივ მხრივ მისდევს რიგი ძველი სახლ-კარის,
ისმის ტირილიც, შეძახილიც, ისმის ხარხარიც.
შავბნელ ფანჯრებში მინაც არ ჩანს ჩაუმტვრეველი,
ღია კართაგან ხმები ისმის გაურკვეველი.
მცირე ოთახში, სადაც მეფობს სიჩუმე მწუხრის
გოგონა ზის და უხალისოდ ნემსში ძაფს უყრის.
გამხდარ სახეზე ჩრდილად დაჰკრავს ფერი სნეულის,
თვალიც, ლოყებიც ჩასცვივნია ფერმილეული.
მარჯვე თითებში ნემსი ელავს, და დღეღამ ჩასცქერს
სხვის მოსახმარად მოსაქარგავ ქსოვილის ნაჭერს.
მღვრიე თვალებში აღარა ჰკრთის ცრემლის ნასახი,
და გალურჯებულ ტუჩებს ოდნავ გააქვთ ცახცახი.
რად დაიბადა, რისთვის გაჩნდა ქვეყნად საბრალო!
ფოთოლს ჰგავს ზღვაში, ლამის ბნელმა ტალღამ დამალოს.
იგი ლანდივით მარტო დადის სახეყვითელი,
არავინა ჰყავს ახლობელი და გამკითხველი.
სარკმლიდან მოჩანს, თუმცა ფარდა ჰფარავს ძველ სარკმელს,
შუაღამემდე, როგორ უზის თავის ხელსაქმეს.
როგორ დღედაღამ შრომობს მისი პატარა ხელი,
რომ მოიპოვოს მცირე პურის ნატეხი ხმელი.

და რომ საბრალომ დაასვენოს ერთ წამს მარჯვენა,
სენი, შიმშილი აწუევლინებს ბედს და გაჩენას.
აგერ, ვაჭარი დახლზე ძვირფას ქსოვილებს აწყობს,
ამდენი შრომის, ღამის თევის, წვალების ნაყოფს.
ვაჭრის თითებზე ბრილიანტი ბრწყინავს ვეება,
მკერავ გოგონას იგი უზის ტანჯვის დღეებად.
და რაც მკერავმა ჰკერა ცრემლით და სიმძიმილით,
მას ახლა ჰყიდის გამყიდველი პირზე ღიმილით.
ამ რბილ ქსოვილში ჩაქსოვილა სუსტი ხელებით
თვალის სინათლეც, გატეხილი ღამეც ხველებით.
იგი თეთრია, როგორც ცაში თოვლის ფიფქები...
შენ ცრემლი გახრჩობს, შენს მწარე ბედს რომ უფიქრდები.
სარკეში ჩასცქერ შენს უბედურ სახეს ნაწამებს,
დაღარულ ლოყებს, უძილობით დაღლილ წამწამებს.
უცქერს გათელილს, უთვისტომოს, საწყალ არსებას,
სიკვდილის გარდა ამ ქვეყნად, რომ სხვა გზა არ რჩება.
მას არვინ შერჩა ნათესავი და საკუთარი,
ჰყავს ერთადერთი მეგობარი მხოლოდ ფუტკარი.
როგორც ფრთებს გაშლის გასაფრენად სახლების მიღმა,
შორიდან იცნობს მეგობარი ერთგული მის ხმას.
დობილს დობილი სარკმელს უღებს წამსვე მდუმარი,
დე მის ოთახში, ყვავილებთან დარჩეს სტუმარი.
ამ ფრთოსან მაშვრალს თავზე მეტად უყვარს დობილი,
მთელ დღეს რომ შრომობს, ფუტკარივით კეთილშობილი.
როგორც გოგონას სევდით თვალი დაებინდება,
ფუტკარი წყნარად, ზედ ტუჩებზე დააფრინდება.
და ეუბნება: შენს ბაგეზე ეშხით ვყუჩდები,
რადგან ლამაზი ყვავილია შენი ტუჩები.
რადგან შენ თვითონ ყვავილი ხარ ჯერ გაუშლელი,
მიზიდავს შენი სილამაზე, შენი სურნელი.
კვდება გოგონა, შრომისაგან მკლავმოუღლელი,
მხოლოდ სიკვდილმა დაუკრიფა საწყალს გულ-ხელი.
კუბოში მდებარს მკრთალი სანთლის ფერი ერევა.
და მკვდარ სახეზეც არ შორდება მშვენიერება.

გათავდა ტანჯვა, მას ქვეყნისგან არა უნდა რა,
წევს ყვავილებში და მის სხეულს ფარავს სუდარა.
ღია სარკმელში გაზაფხულის წყნარად ჰქრის ქარი,
მაგრამ ფუტკარი მინდვრისაკენ აღარ იჩქარის.
გარს უვლის ცხედარს, გლოვობს, გული დარდით ევსება,
მდუმარე ტუჩებს დასტრიალებს, ეალერსება.
სურს სამუდამოდ მასთან იყოს, დარჩეს მის ახლოს,
სადაც მის დობილს დამარხავენ, იქ დაიმარხოს.
ლოყებწითელი, ღიპიანი, უმანკო მზერით,
ხალხის წინაშე როცა დგება ქადაგად ბერი
და ამბობს: არ ღირს კარგ ცხოვრებას კაცნი ნატრობდნენ,
რადგან განცხრომას სინანული მოსდევს მარტოდენ.
ხალხის ცხოვრების მან არ იცის წესი და რიგი,
როგორი არის, ან როგორი სჯობს იყოს იგი.

არ ჩანხარ შენა

ხედავ? გაფრინდა უკვე მერცხალი,
ხეებს ფოთლები სცვივა ფერმკრთალი,
დაიწყო თოვლი. ფიფქების ცვენა —
შენ კი არ ჩანხარ, არ ჩანხარ შენა.

მოდი მსურს კიდევ, კიდევ ვუმზირო
შენს ლამაზ თვალებს, ღრმას და უძიროს.
მოდი, თვალები შენს გზაზე მრჩება,
მიმიკარ მკერდზე, რომ ვპოვო შვება.

გახსოვს ზაფხული? მწვანეზე ორი
ვისხედით მარტო ბალახებს შორის.
ჩაგჩურჩულებდი ერთ სათქმელს წყნარად:
„მიყვარხარ მარად... მიყვარხარ მარად...“

ამ ქვეყნად ბევრი მინახავს ქალი,
თვალი აქვთ ცეცხლის, ტუჩები — ლალის,
მათი. მშვენება მიტაცებს განა?
შენ არა გგვანან, შენ არა. გგვანან.

სულ სხვაგვარია სიტურფე შენი,
შენს სახეს სულ სხვა ნათელი შვენის.
მინათებ, სულში შუქის მთოველო,
ჩემო ვარსკვლავო, გაუქრობელო.

ცივა და უკვე ამაოდ გელი,
ქარში ირევა ფოთლები ხმელი,
დაიწყო თოვა, ფიფქების ცვენა, —
შენ კი აჰ ჩანხარ, არ ჩანხარ შენა.

პაემანი

ჩემო ტყეო, ტყეო ბნელო,
როგორა ხარ სანატრელო..
რა დიდმა დრომ ჩაიარა,
რაც დაგშორდი ჯავრიანად.
შენზე ფიქრით მგლოვიარემ
მთა და ბარი მოვიარე.
— როგორა ვარ? ისევ ისე,
ზამთრის სუსხი ეკლებს მისევს,
ქარი მიმტვრევს მაღალ რტოებს,
თოვლი ბილიკს აღარ სტოვებს.
მოდის ყინვა, მოდის თქეში
და სიმღერა სწყდება ტყეში.
ზაფხულზე კი მწვანით სავსე
ვმღერი ფოთლებმოხასხასე,
ჩემს წყაროზე მომავალი
მღერის ბევრი ტურფა ქალი
და ქარს მიაქვს დოინები
სმენით, რომ არ მოიღლები.
— ტყეო, ტყეო, ეს დრო მშვიდი
ღელესავით ჩუმად მიდის.
შენ დროთა ცვლას დინჯად ხვდები,
შენ სულ უფრო ნორჩი ხდები.
— ჩემთვის რაა დრო და ჟამი,
მფარავს მწვანე მოსასხამი.
ასი ტბა და ნაკადული
ღამით ვარსკვლავჩახატული,
ჩემს სიღრმეში ბრწყინავს, ელავს,
როგორც ასი ცისარტყელა.

მძაფრი ქარი მივლის ტანში
და ფოთლების ისმის ტაში.
მხოლოდ კაცი იცვლის ბინას,
ჩვენ კი ისე, როგორც წინათ, —
ზღვა, მდინარე, ტყე და ველი —
ვრჩებით ადგილ მოუცვლელი.
ხეტიალი არ გაქვს გვარად,
სადაც გავჩნდით, იქ ვართ მარად.
ფუძის შეცვლას ჩვენ არ მივდევთ,
რაც ვიყავით, ის ვართ ისევ.

წერილი მესამე

ერთხელ დიდი სულთანი მომთაბარე ტომების.
მოყვარული ლხინის და სისხლისმღვრელი ომების,
იწვა მწვანე ბალახზე გაშოტილი გლეხურად,
ხელი ედო ბალიშად, ზედ ხის ჩრდილი ეხურა.
სძინავს, ხედავს სულთანი ზმანებაში წასული:
ციდან მთვარე ეშვება — უტურფესი ასული.
მოდის, მოეფინება ნაზი, შუქის მთოველი,
გაზაფხულის ღიმილით ირგვლივ ბრწყინავს ყოველი.
აღტაცებულთ მშვენებით ტყეებს გააქვთ ჩერჩული,
წყალი ჰავლებს იფარებს, უცქერს თვალმოხუჭული.
ცვივა მტვერი ალმასის, როგორც წვიმის წვეთები,
ცამდის, თვალისმომჭრელად დგანან შუქის სვეტები.
ისმის შორი სიმღერის მიმზიდველი ჰანგები,
ჰქრიან ცისარტყელები, როგორც ფარშავანგები.
სულთნის გვერდით ასული დაჯდა ულამაზესი,
მიესალმა კრძალვით და წყნარად უთხრა ალერსით:
— მომეხვიე ძვირფასო, არ დამტოვო არასდროს,
ჩემი სევდის ყინული შენმა ცეცხლმა დაადნოს.
დააწერა თვით ბედმა ჩვენი ზეცის კაბადონს —
მე ბატონად გიხმობდეს, შენ მეძახდე ქალბატონს.
სულთანს უნდა მოხვევა, მაგრამ ქრება ასული,
ხედავს სიზმარს სულ სხვაგვარს, ისევ ძილში წასული:
მბრძანებელის გულიდან შრიალით და ზანზარით
მძლავრი მუხა ამოდის, დიდი, უზარმაზარი.
მუხის ფართო ტოტები ზღვას და ხმელეთს ფარავდა,
მისი ჩრდილი ვეება გაწვა მთად და ბარადა.
შორს გაჰყურებს, მარადი თოვლი მთებზე ელვარებს,
თოვლი ჰფარავს ბალკანებს და კავკასის მწვერვალებს.
ხედავს: ტიგრზეც, ევფრატზეც მისი ჩრდილის ბინდია,

დუნაი და ნილოსი მის ტოტებქვეშ მიდიან.
უდაბური აფრიკა, ევროპა და აზია,
ყველა მის ქვეშ გართხმულა, მის ჩრდილს მოუხაზია
დიდი ნავსადგურებიც, გემთა თავშესაფარი,
მინდვრად პურის ყანების გაწეწილი ფაფარიც.
მის ჩრდილქვეშ წევს სამყარო — რაღაც ერთი მტკაველი,
უნაპირო ხალიჩად დაქარგული მთა-ველი.
უთვალავი ხალხების ესმის კვნესა-გოდება,
ყველა მისი გვირგვინის ფართო ჩრდილქვეშ გროვდება.
თითქო მის ქვეშ ცხოვრება ყველას ბედად ეწეროს,
თვით არწივიც ვერ სწვდება, მუხის მაღალ კენწეროს.
მაგრამ უცებ იჭექებს გამარჯვების ძახილი,
შრიალს იწყებს ერთბაშად მუხა ტოტებდახრილი.
და „ალაჰის“ ძახილი უძღვის ახალ იერიშს,
და მატულობს გუგუნი, ვით ზღვის ტალღა ძლიერი
ზანზარს იწყებს ვეება მუხა შენაშფოთები
და ახალ რომს ჩარდახად ეხურება ფოთლებით.
ძილში შეკრთა სულთანი, გაიღვიძა უცებ და
ირგვლივ თვალი მოავლო, გული სწრაფად უცემდა.
ხედავს, წყნარად მისცურავს, ხის ტოტებში მკრთომარე,
და ესკიშერს ანათებს შუქით სავსე მთოვარე.
მოჩანს სახლი შეიხის, მთვარე ამ სახლს გარს უვლის,
სარკმელთან დგას შეიხის უტურფესი ასული.
რა ქალი ჰყავს, რა ქალი, მოხუც შეიხს ედებალს,
ვაჟებს მისი სურვილით გულზე ცეცხლი ედებათ.
თვალი მისი ტბა არი, წელი — ტოტი ჩინარის,
მალხათუნი შორიდან უცქერს სახემცინარი.
უცქერს გასაოცარი, იშვიათი მშვენება,
ჩაუკვირდა სულთანი სიზმრად ნახულ ჩვენებას.
და მიხვდა, რომ ნამდვილად უცნაური ზმანება,
იყო თვითონ მაჰმადის ნების გამოცხადება,
რომ თვით შეჰქმნის სულთანი საბრძანებელს უდიდესს,
რომლის კიდეც, იქნება, მთელ ხმელეთსაც უვლიდეს.
მართლაც ახდა: უღელში ბევრი ხალხის გამბმელი,
წლითიწლობით იზრდება იმპერია შავბნელი.

მწვანე დროშა სულ მაღლა მიდიოდა ზვიადად,
სულთანს სცვლიდა სულთანი, რბევას — ნგრევა ნიადაგ.
ქედს უხრიდნენ ძლეულნი ტირილით და გლოვითა,
ბოლოს ბაიაზეთი დუნაისთან მოვიდა.
გემები და ნავები გადააბეს ხიდებად
და წყალგაღმა გავიდა საისლამოს დიდება.
დაჰკრეს იანიჩრებმა ამაზრზენი ნაღარა
და როვინის დაბლობი შავმა ურდომ დაჰფარა.
მოჰფენიან მიდამოს, კარავს ეკვრის კარავი...
შორით მოჩანს მუხის ტყე ბნელი და შემზარავი.
მოციქული მოვიდა, რუმინელი ჭაღარა,
მიესალმა სულთანს და თავი დაბლა დახარა.
— რისთვის მოხველ? უხეშად ეტყვის ბაიაზეთი.
— მშვიდობა და ზავი გვსურს, თან თხოვნა გვაქვს ასეთი:
თქვენი ნახვის მსურველი, წამოსული შორიდან,
მირჩა — ჩვენი მთავარი თავის ფეხით მოვიდა.
მოვიდესო, სულთანმა უბრძანა და კარავის
კართან მოდგა მოხუცი, თან არ ახლდა არავინ.
ტანთ არ ეცვა ძვირფასად, არ ბრწყინავდა ჯავარით,
— შენ ხარ მირჩა?
— გახლავარ! — მიესალმა მთავარი,
— ალბათ, მოხველ მისთვის, რომ თაყვანი მცე მირჩილად,
თუ ეს არ გსურს, გვირგვინი შეგეცვლება ბორკილად.
ვიდრე ომი არა გვაქვს და სტუმარი ხარ ჩემი,
გიმასპინძლებ გულღიად, კმაყოფილი დარჩები.
მაგრამ თუ გსურს თვით გეყმო. ქედს დავიდგა უღელი,
უკაცრავად ხელმწიფევ. ჩემგან ამას ნუ ელი.
რომელიც გსურს ირჩიე, ჩვენი ბედი ეგ არი:
ომსაც, ზავსაც მივიღებთ სიხარულით ერთგვარით!
— როგორ ბედავ ურჩობას? ეს რა მესმის, უფალო!
იქნებ ფიქრობ — დიდ გზაზე ჯირკი დამცემს უბრალო.
შენ არც დაგესიზმრება ის ზღუდე და ის ძალა,
მე რომ წინ აღმდგომია და გეზიც ვერ მიცვალა.
დასავლეთის მეფენი, ბარონები ცნობილნი,
უსასტიკეს ბრძოლათა ცეცხლში გამოწრთობილნი,

მწყობრი მალტელ რაინდთა, კედელივით ურყევი,
წამოსული ლაშქარი პაპის ლოცვა-კურთხევით.
რისხვით სამტროდ დაძრული დასავლეთის ლაშქარი,
ვით გრიგალი გრიგალის შესახლელად ამდგარი,
თითქო ტყე მოდიოდა. უდაბური, სულ ბნელი,
მოდიოდა ხალხები, როგორც შავი ღრუბელი.
ჯვარითა და მახვილით მოდიოდნენ ჯარები,
აბნელებდნენ ჰორიზონტს მათი ფართო ფარები,
მოდიოდა დროშის ტყე, შუბების ტყე ტიალი,
ხომალდების ხეთქებით ზღვას გაჰქონდა გრიალი.
ნიკოპოლთან გამაგრდნენ როგორც რკინის კედელი,
მაგრამ როდი შეეშინდი მათი ძალის მეკრეტელი,
როს ვიხილე ურიცხვი, ვით სათიბში ბალახი,
წვერში ხელი ვიტაცე, დავიფიცე ალაჰი,
რომ მათ წყობას გავაპობ, როგორც ქარი თავნება
და დიდ ტაძარს რომისას გადავაქცევ თავლებად.
შენ კი ფიქრობ, ბებერო, დაყრდნობილი ყავარჯენს,
რომ მაგ ჯოხით შემაკრთობ ლომთა მძლეველს მრავალჯერ!
— მე მეფე ვარ რუმინთა, და თუმცა ვარ ბებერი,
შენგან სიტყვაც, მოპყრობაც სხვანაირი შემფერის,
ჩვენს გაცნობას, ერიდე, სულთანი ხარ მაღალი,
არ წაიღოს დუნაიმ შენი ლაშქრის ფარ-ხმალი.
ადრეც გადმოულახავთ ეს დუნაი ცისფერი,
თვით უძლეველ დარიოსს ჩვენ მოვტეხეთ კისერი,
ბევრჯერ გადასასვლელი გაუჭიმავთ ხიდივით,
მაგრამ შემდეგ მძლავრ ტალღებს გაჰყოლიან ტივივით.
მოდიოდა სიავის და მხეცობის ჩამდენი,
ჩვენი მიწის, ჩვენი წყლის დასაპყრობად რამდენი.
მოდიოდნენ ბაღების და ტყეების მკაფავად,
მაგრამ ჩვენივ მიწა და წყალი ექცათ საფლავად.
შენ ამაყობ იმით, რომ სადაც ხმალი დაჰკარი,
ვერსად წინ ვერ აღგიდგა დასავლეთის ლაშქარი...
შენი ურდო მათ მწყობრში გრიგალივით დაჰქროდა,
მაგრამ მითხარ, მათ ჯარებს საბრძოლველი რა ჰქონდათ?
განა გადასახდელი სჭირდათ ჯავრი უცხოთა?

ომში მხოლოდ შური და ანგარება უძღოდათ.
მე კი ვიცავ სამშობლოს, ჩემი ხალხის ღირსებას,
მტერს რომ გხედავ მამულში, გული ჯავრით ივსება.
ხალხი რისხვით აღსდგება, ჩვენი თანამდგომელი,
ჩემთან ერთად იქნება ტყეც, მდინარეც ყოველი.
ბუჩქიც, ლოდიც მცირედი, რუმინეთის მთა-ბარის,
შენი მტერი იქნება, ჩემი თავშესაფარი.
და ვიბრძოლებთ, მომხდური ვიდრე არ დაინთქმება,
ერთგულება მამულის ჩვენი ძალა იქნება.
მირჩა სულთანს გაშორდა, ბანაკს გასცდა თუ არა,
საშინელმა გუგუნმა ტყეებს გადაუარა.
უცებ ატყდა განგაში, ხმა დაირხა მქუხარი,
ფეხზე დადგა საომრად გაუვალი მუხნარი.
ტყეებიდან მოჰქრიან ცხენოსნები გრიალით,
ზოგს ჰყავს ცხენი უბელო, ზოგსაც უნაგრიანი.
თავშიშველნი მოჰქრიან, წინ მოუხმობთ დაფდაფი,
მუზარადებს აქა-იქ მზეზე გააქვთ ლაპლაპი.
ყოველმხრიდან მოჰქრიან ქარს უსწრებენ ჭენებით,
მიწას თხრიან ფლოქვებით გაფრენილი ცხენები.
ალაგ ბრწყინავს შუბები, ალაგ-ალაგ ფარები,
ცახცახებენ მშვილდებზე დაჭიმული ლარები.
უცებ ატყდა ზუზუნი, დადგა კორიანტელი.
ისრის წვიმამ უეცრად დააბნელა ნათელი.
ისმის კვნესა, ოთხივ მხრივ შეხლაა და კვეთება,
ვეფხვებრ ბრდღვინავს სულთანი, გულზე ცეცხლი ედება.
მწვანე დროშას მაღლა სწევს, ბრაზით გააქვს ცახცახი,
უხმობს საიერიშოდ, გაფანტულებს გასძახის.
მაგრამ უკვე არ ისმენს სულთნის ძახილს არც ერთი,
თავის ლაშქრის დაღუპვას ხედავს ბაიაზეთი.
მოჩანს ხმლები აწვდილი და თვალები შეშლილი,
გორად ჰყრია ცხენები ფაშვებგამოგლეჯილი.
გორად მოჩანს ფლოქვებით დაჩეჩქვილი ზურგები,
მუსრგავლებულ ყვავთა გუნდს ჰგავს ლაშქარი თურქების.
დაცემულთა თვალებში ღამე დგება უკუნი,
ზამთრის ცივი ქარივით ისრებს გააქვთ ზუზუნი.

მოჰქრის შეუჩერებლად, როგორც ზვავი ძლიერი,
თვითონ მირჩა მოუძღვის რუმინელთა იერიშს.
და მტრის წყობას ისე სჭრის თურქთა შუამკვეთელი,
თითქო გრიგალს დაეცეს გარღვეული კედელი.
აგერ ზათქით დაეშვა რაში ყალყზე დამდგარი,
არის შუბთა ძგერება და ცხენების დგანდგარი.
ისმის რვალის ზრიალი და ფარების ჯახანი,
მოდის რუმინელების რაზმი ახალ-ახალი.
შედრკა თურქთა მედროშე, გარბის როგორც ლაჩარი,
გაიფანტა, გაიბნა მუსულმანთა ლაშქარი.
აჰა, შედრკნენ, დასტოვეს თვალუწვდენი ველები,
მაგრამ წინ დუნაია, უკან — რუმინელები.
შეწყდა ბრძოლა, ისვენებს ჯარი ომგადახდილი,
ნელა-ნელა მზე ჩადის, ძლივსღა მოჩანს დახრილი.
და სანამდე სულ ჩავა, ალმასივით ელვარებს,
გამარჯვების ნათელი რომ დაადგას მწვერვალებს.
მზეც ჩადის და ჩრდილები ეშვებიან ბინდებად,
ვარსკვლავები ბნელ ცაზე რიგრიგობით ინთება.
სავსე მთვარე ამოდის, ნაზი, შუქის მფრქვეველი,
მთა და ბარი იძინებს, ძილს ეძლევა ტყე-ველი.
ყველას სძინავს ბანაკში, მთვარეს გააქვს კაშკაში,
მირჩას ერთ ვაჟს არ სძინავს, თვალს არ ხუჭავს ვაჟკაცი.
ქაღალდს დასცქერს ღიმილით, სასტიკ ბრძოლებს იგონებს
და საყვარელ სატრფოს სწერს საალერსო სტრიქონებს:

მინდა, ჩემო ლამაზო,
შორით გაგებაასო.
ჩქარობს ჩემი კალამი,
რომ გადმოგცეს სალამი.
შენს მოსალოცს მოველი,
იცი, რის ვარ მთხოვნელი?
გამოგზავნე ჩვეული
ძღვენი გამორჩეული:
ტყე და მწვანე მინდორი,
შავი თვალი დიდრონი.

ალბათ, გულში იკითხავ,
მე შენ რას მოგიკითხავ.
— ომგადახდილ ვაჟკაცებს
დროშა რომ დაჰკაშკაშებთ
მწვანე ტყეებს, უღრანებს.
ფრთოსნებს გულს რომ უხარებს,
შავ წარბებს და შავ თვალებს,
ქალს რომ ძილშიც აწვალებს.
ომს გადავრჩი უვნებლად,
სულ კარგი მაქვს გუნება,
დაიჯერე, რასაც გწერ,
შორით გკოცნი ათასჯერ.

აი, რა დროს შეესწრნენ ჩვენი ჟამთაღმწერლები,
ჩვენ კი შევცქერთ ჯამბაზებს. თვალს გვისველებს ცრემლები.
გმირებს ცოცხლად ინახავს დღემდის მხოლოდ თქმულება,
მაგრამ ნუთუ ახლებში მსგავსნი არ ეგულებათ?
ახალ გმირებს სახალხო ჩანგი რად არ უმღერის,
მათ, ვინც ქედზე დაადგა ხალხს მონობის უღელი.
სად ხართ, გმირნო წარსულის, ხალხს წინ აღარ უძღვებით,
დღეს თქვენ მხოლოდ მოდისთვის გიმოწმებენ ურცხვები.
მათ სურთ სახე დაჰფარონ ნამუსშემოძარცული
და ცივ პროზად აქციონ პოეზია წარსულის.
დარჩით ისევ წარსულში გმირნო, წმინდა აჩრდილად,
თქვენს ადათზე, თქვენს წესზე თაობები აღზრდილან,
ბასარაბთა დიდთა და მუშატინთა თაობავ,
ჩვენს ხალხს თქვენ უანდერძეთ გარჯაც, გამბედაობაც.
გუთნით მიწას რომ ხნავდით, ხელში გეპყრათ ლახვარი,
მთიდან ზღვამდის დადევით რუმინეთის საზღვარი.
განა ეს დრო არ არის დიდი თავის დიდებით,
განა ჩვენშიც არ არის უცხო მარგალიტები?
ჩვენც ხომ სიბარისში ვართ, თაღლითების ტაძართან,
გენიოსი ცოტა გვყავს დუქანთა და ბაზართა?
ჩვენს რიტორთაც ხომა აქვთ, ენა, როგორც ლახვარი,
მათ ხომ გმირად აცხადებს ბრბოს ტაში და ხარხარი.

ან საქვეყნო საქმეში ცოტა ჯამბაზებია?
ხალხის თვალის ამხვევნი როდის დაფასდებიან?
თავის ფიქრი ნამდვილი მსმენელს რომ დაუფიცოს,
ლიბერალი მიტინგზე თავს აჩვენებს უბიწოდ.
ლუდხანაში რომ შევა, ნიღაბს წამსვე იცილებს,
სიკეთეზეც, მამულზეც გულიანად იცინებს.
აი კიდევ მახინჯი, უსულგულო ცხოველი,
მისგან მოდის ჭორი და საზიზღრობა ყოველი.
როგორც ვინმეს შეხვდება, სისაძაგლეს მოჰყვება,
წარბებგადმოხურული და ღაჟღაჟა ლოყება.
პირზე აკრავს სიავე, თუმც ბოროტი სწადიათ,
მათი არარაობა ყველასათვის ცხადია.
დასდევს ყალთაბანდების მოსყიდული არმია,
მის ბაყაყურ მზერაში სიავე და შხამია.
გადასახადს ის აწერს, კანონებშიც ეჩრება.
ქვეყნის მართვას მათ ვანდობთ, ხშირად ვგზავნით ელჩებად,
საგიჟეთის ღირსია ბევრი, მათებრ ვერაგი,
უნდა ეცვათ შეშლილის გრძელი, თეთრი პერანგი.
ჩაჩი უნდა ეხუროს, უნდა ერქვას სულელი,
მაგრამ დღემდის სახელი შერჩათ ხალხზე მზრუნველის.
სხედან, როგორც ამბონზე, მელის სათნო იერით,
შეხლა აქვთ და კამათი, ტაშის ცემა ძლიერი.
პატრიოტი ის არი, სიტყვა რომ არ ელევა,
თავიანთ თავს ნათლავენ ნამდვილ რომაელებად.
თავი მოაქვთ მასხარებს ტრაიანეს შვილებად...
ამ გლახებმა ვით შესძლეს ხალხის დამორჩილება.
რაც დასავლეთს ცუდი აქვს, ბინძური და გახრწნილი,
ყველა მათი სულის და ხორცის გახდა ნაწილი.
ფანარელი მუხთალიც, ხალხის ტყავის გამხდელიც,
ყველა ჩვენში შეგროვდა პატრიოტის სახელით,
ყველა ყბედი, თავხედი, გამდიდრების მნატვრელი.
გახდა ჩვენი ხალხის და ქვეყნის ბედის მმართველი,
თქვენ ხართ მემკვიდრეები რომაელთა დიდების?
აბა რა კაცები ხართ? ცრუები და ფლიდები?
ხალხის ჭირი გამხდარა თქვენი ავი ენები,

თვით მამულსაც ჩირქსა სცხებთ წარამარა ხსენებით.
ძველი მაინც დაზოგეთ, ბევრი ჭირის მნახველი,
ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდება და სახელი.
თქვენ პარიზში ყოფნიდან სხვა რა გემახსოვრებათ, —
უსაქმობა, ურგია და გარყვნილი ცხოვრება.
ფულს ბანქოში ფლანგავდით, ბუნაგებში გეძინათ,
დასავლეთმა რა მოგცათ, რა სიკეთე შეგძინათ?
დაგვიბრუნდით, სწავლა და ცოდნა მოგყვათ ბლომადა.
თვალს მონოკლი გიმშვენებთ, ტუჩს წითელი პომადა.
სხვა რა ცოდნა გამოგყვათ? — რაღაც ვალსის მოტივი,
ნაადრევად დაბერდით მოტეხილი ტოტივით.
და დასავლეთს იგონებთ კურტიზანკის ტუფლებით...
ძველი რომის მემკვიდრედ თავს თვლით რომელ უფლებით?
უკვე თქვენი სიცრუე ჩვენთვის გახდა ცნობილი,
აღარ გვჯერა ზღაპრების, თქვენი წილადობილის.
თქვენ ლამაზი სიტყვები მხოლოდ მისთვის გჭირდებათ,
რომ ადვილად იშოვოთ სიმდიდრე და დიდება.
დღეს, ფარდა რომ ახადეს თქვენს საქმეებს უხილავს,
სხვას აბრალებთ თქვენს ცოდვებს, ხელებს იბანთ
გულგრილად,
ისე შავად გამოჩნდით, შეძრწუნდება მნახველი.
შეარცხვინეთ ხალხი და ჩვენი ქვეყნის სახელი.
თქვენს ჭუჭყს დიდხანს ფარავდა სიტყვა ფერად-ფერადი,
დასცინოდით ჩვენს ენას, ადათს ფეხქვეშ თელავდით.
ნიჭს აბუჩად იგდებდით, ნამუსს არ იკარებდით,
და ერთადერთ ღვთაებად ოქროს აღიარებდით.
ნუ აღშფოთებს წინაპრებს მატიანის მტვერიდან,
მათი მზერა გმირული თქვენს შეხედვას ვერ იტანს.
აღსდექ, გმირო ცეპეშო,
დღეს რომ არვინ ისჯება,
მკაცრად გაჰყავ ისინი — მკვლელებად და გიჟებად,
და ციხეც და საგიჟეც, ვიდრე ყვირილს მორთავენ,
დასწვი, სულმთლად დაბუგე. ხანძარს მიეც ორთავე!

ლუჩაფერი

ცხოვრობდა ერთი მეფე მორჭმული,
ქვეყნად არ ჰყავდა ტოლი,
მტკიცედ ნაგები, კედელმორტყმული
ჰქონდა სასახლე ბროლის.
იდგა კოშკები ცაში ასული,
ვერ მისწვდებოდა თვალი,
ხელმწიფეს ჰყავდა ტურფა ასული,
ულამაზესი ქალი.
ყოველღამ, როცა ბინდი დგებოდა
წყვდიადი კუპრის ფერი,
ასულს სასახლის თაღთან ხვდებოდა
ვარსკვლავი ლუჩაფერი.
ამოდიოდა ზღვიდან კაშკაშით,
ცაზე იწყებდა კრთომას,
ყალყზე შემართულ ზვირთთა ალყაში
გზას უნათებდა ხომალდთ.
არა უბრალო წამი გართობის,
ორივეს სწვავდა ალი,
ქალს შეუყვარდა შორი მნათობი, —
მნათობს — ხელმწიფის ქალი.
ვარსკვლავის დარდი ჰკლავდა ქალთა მზეს,
სწვავდა ღამით და დღისით,
და წრფელი ტრფობით იყო აღსავსე
მთელი არსება მისი.
ვარსკვლავიც ცაში მისთვის ნათობდა,
შუქს მისთვის ჰფენდა ღამით,
სატრფოს დანახვას ახლო ნატრობდა,
სასახლის თაღქვეშ წამით.
დაცქერდა, მაღალ თაღს ეხვეოდა
სურვილით ლუჩაფერი,

სატრფოს იდუმლად თან შეჰყვებოდა
ოთახშიც შუქთაფენით.
როცა ასული მარტო წვებოდა,
ირგვლივ არ იყო არვინ,
ის სატრფოს ხელზე შუქად დნებოდა,
თვალს უხუჭავდა კრძალვით.
სარკიდან უხვად უკუქცეული
ვარსკვლავის შუქის ჩქერით,
მძინარე სატრფოს თეთრი სხეულიც
იყო იმ შუქის ფერი.
მასზე დადნობის გულით მნატვრელი
სულ უმატებდა ბრწყინვას
და ლუჩაფერის დიდი ნათელი
სულში წვდებოდა მძინარს.
და სიზმარეულ ძილში წასული
ქალი ეტყოდა წყნარად:
— ციდან მოგიხმობს მეფის ასული,
მოდი, მომხედე ჩქარა.
სხივების თოკით დაბლა დაეშვი,
ირგვლივ, გაფანტე ბინდი,
სული მოცული ბნელი კაეშნით
შუქით აანთე დიდით.
იდგა მნათობი, კრთოდა, ღელავდა,
ჩურჩულს უსმენდა ტუჩებს,
უეცრად ადგილს მოწყდა ელვად და
ზღვაში ჩავარდა უცებ.
მაღლა ავარდა ზღვიდან ქარბუქი
შუქს შემოერტყა ალყად
და თვალტანადი უცხო ჭაბუკი
მაღლა ამოყვა ტალღას.
მეფის სასახლე მრავალსართული
განვლო, ვით მცირე ქოხი,
ზღვის ყვავილებით კოხტად დაწნული
ხელთ ეპყრა ლერწმის ჯოხი.

უცებ ვადავლო ღია სარკმელი,
ვით ღია კარის ზღურბლი,
ოქროს ხუჭუჭის მკრთალი ნათელით
ჰქონდა შემკული შუბლი.
სახეს დაჰკრავდა ფერი მიხდილი,
მთლად სანთელივით მკრთალი,
და ენთო, როგორც ორი ჟინჟღილი —
ორი მგზნებარე თვალი.
— მიხმე, მოველ და კრძალვით მიცქერი,
შენზე ვფიქრობდი მეცა,
ჩემი დედაა ბნელი ზღვის ფსკერი,
მამა — ნათელი ზეცა.
ხელახლა გავჩნდი მღვრიე ტალღებში
ციდან დავეშვი უცბად,
მოველ სასახლის მაღალ თაღებში,
რომ შენ მენახე ტურფავ.
წამომყე, ჩემთან ცაში ილხინე,
ქვეყნად, ვით უნდა გასძლო,
მე კვლავ ვარსკვლავის ტახტზე ვიბრწყინებ,
შენ იყავ ჩემი სასძლო.
იცოცხლებ მარად ცათა მპყრობელი,
მარად, ღრუბლებში ფრენით,
და ზღვის მცხოვრები არსი ყოველი
მონა იქნება შენი.
— შენ ლამაზი ხარ, ვით ზაფხულის მზის
ამონათება დილით,
მაგრამ, ძვირფასო, რა ვქნა, შენი გზით
მე რომ ვერასდროს ვივლი.
მე ცოცხალი ვარ, შენ თითქმის მკვდარი
მხოლოდ უსულო სხივი,
სხეულს მიყინავს აგერ ფერმკრთალი
შენი ნათელი ცივი.
დრომ განვლო, ორი ღამე დასრულდა
და დღე გავიდა სამი,
კვლავ დაიბადა მეფის ასულთან
სატრფო ვარსკვლავი ღამით.

სიზმრად ხედავდა ქალი მძინარი
მშვენიერ ჭაბუკს ალბათ,
მწუხარე, სახე გაუცინარი
მისჩერებოდა ხარბად.
შესთხოვდა: ციდან დაბლა დაეშვი,
გამომიწოდე ხელი,
სული მოცული შენზე კაეშნით
ღამით და დღისით გელის.
ქრება ვარსკვლავი, ალბათ, ვედრებას
სატრფოსას ვეღარ უძლებს,
და ზეცას ცეცხლის ალი ედება,
სადაც ის გაჰქრა უცებ.
ცაში ავარდა წამსვე ქარბუქი,
გრიგალს გრიგალი მისდევს,
და მშვენიერი უცხო ჭაბუკი
ქაოსს ცილდება ისევ.
ოქროს გვირგვინი ბნელი ღამითაც
უნათებს თმების გიშერს,
დგას და შავბნელი მოსასხამიდან
მარმარის ხელებს იშვერს.
ჯავრით შუბლშეკრულ ვარსკვლავს — ლუჩაფერს
ფერი მკვდარს უგავს მკრთალი,
გაყინულ სახეს ნათელ შუქსა ჰფენს
ორი ბრიალა თვალი.
— მიხმე და მოველ შენი მორჩილი,
შენს მტკიცე პასუხს ველი,
ჩემი მამაა მზე შუქმოსილი
და დედა — ღამე ბნელი.
წამომყე, ვიდრე არ არის გვიან,
უშენოდ, როგორ გავძლო,
მე მაღალი მზის მემკვიდრე მქვია,
შენ იყავ ჩემი სასძლო.
თავზე დაგადგამ ვარსკვლავთა გვირგვინს,
მზე შემოგხვდება ტაშით,

შენ داابნელებ მნათობებს ირგვლივ
შენი მშვენებით ცაში.
— შენ ლამაზი ხარ, ვით ზაფხულის მზის
ამონათება, დილით,
მაგრამ ძვირფასო, რა ვქნა, შენი გზით,
მე რომ ვერასდროს ვივლი.
გულს კაწრავს შენი ტრფობის ბრჭყალები,
თითქმის წამერთვა ძალი,
ცეცხლს მიკიდებენ შენი თვალები
დამნაცრებელი ალით.
— შენ თვითონ იცი, ეს ტრფობა მწველი
მე ვერ მიმჯაჭვავს მიწას,
შენ, მოკვდავს, ბოლოს სიკვდილი გელის,
მე უკვდავება მიცავს.
— შენი ხმა მესმის უცხო ჰანგებად,
ყურს ვერ დაგიგდებ ლხენით,
მესაუბრები თუმც გასაგებად,
მაინც არ მესმის შენი:
თუ შენც გიყვარვარ და მართლა გინდა,
ტრფობის დაგიდგა ტახტი,
შენც უკვდავება დატოვე ცის და
ჩემებრ მოკვდავი გახდი.
— მე უკვდავება მიყვარდა, ღამით
ცაზე ანთებულ მნათობს,
მაგრამ ვეღარ ვძლებ უშენოდ წამით
და უკვდავებას დავთმობ.
ახალ ცხოვრების კანონს ვიწამებ,
ძველ ჯაჭვს გავწყვიტავ ძალით,
შენებრ მიმიღებს შავი მიწა მეც,
დამეხუჭება თვალი.
ეს თქვა და როგორც ტყვიანაკრავი
ღამეში უცებ გაჰქრა,
სადღაც ვარსკვლავებს მოსწყდა ვარსკვლავი,
და ბნელს გაეკრა ლახვრად.

* *

ამ დროს ცბიერი ერთი მსახური,
ერთი უბრალო ვაჟი,
არა მახინჯი და უსახური,
თვითონ დედოფლის პაჟი.
ვინც მერიქიფე იყო ქეიფის
და გამბედავი ჩანდა,
ვისაც დედოფლის ეპყრა შლეიფი
და უკან სდევდა ლანდად.
ერთი უგვარო, შინაყმის სწორი,
ღვინით ამვსები ჯამთა,
ხელმწიფის ასულს უცქერდა შორით
და თითქო თვალით სჭამდა.
„რა ტურფა გახდა, რა საოცარი
მიზიდავს როგორც ჯადო,
ჰეი, კატალინ, სწორედ დრო არი,
ბედი თუ გინდა სცადო“.
და ხელთ ჩაბღუჯა ერთ ბნელ კუთხეში
მისი წერწეტა წელი.
— ბიჭო, როგორ ხარ ასე უხეში,
რა გსურს, გამიშვი ხელი,
— შენი სურვილი, უმხურვალესი,
თვალში ჩამიდგა ბინდად.
მე მხოლოდ შენი ტკბილი ალერსი
და შენი კოცნა მინდა.
— რას ითხოვ ჩემგან, ვერ გამიგია,
მე ჩემს ლუჩაფერს ველი,
ჩემი ოცნება მხოლოდ იგია,
და ჩემი ტრფობა მწველი.
— შენ ჯერ ალერსის არ იცი გემო,
რაა კოცნაში ცუდი?
ხვევნას გასწავლი ძვირფასო ჩემო,
ოღონდ დამშვიდდი წუთით.
აი, მე ახლა ხელს მოგხვევ წელზე,
და შენც გაშალე მკლავი,

შენც შემომეჭდე უშიშრად ყელზე,
მკერდზე მომაყრდნე თავი.
ფეხის წვერებზე შედექ და ასე,
მხარზე მომაკარ მხარი,
ჩემს სახეს აშლილს და ყინით სავსეს
მზერა მოაპყარ წყნარი.
ნუ მიცქერ ეჭვით, ნურც გამომცდელად,
უმთავრესს გეტყვი ახლა:
მე რომ თავს დავხრი შენს საკოცნელად,
შენ თავი ასწი მაღლა.
შეერთდებიან ჩვენი ტუჩები,
დაგეხუჭება თვალი,
ვნებით და ეშხით შენ დამუნჯდები,
ნეტარებისგან მთვრალი.
რცხვენოდა ასულს, თან დაბნეული
ვნებით ლულავდა თვალებს,
გასხლტომა სურდა, მაგრამ სხეული
არჩევდა ვაჟის ალერსს.
ქალი ეტყოდა: მახსოვხარ ყბედი,
ბალღი იყავი ჯერაც,
შენ როგორ განდო მე ჩემი ბედი
და ჩემი ბედისწერა.
მაგრამ სხვა არი ჩემი ოცნება,
მე სხვა არავინ მინდა,
ის არის ბნელის გასხივოსნება,
შუქი უცნობი, წმინდა,
ტალღა თავს უხრის იმ რჩეულ ვარსკვლავს,
ზვირთით მოაფრენს წყალი,
ჩემს წამწამს ოდნავ სხივსაც რომ გაჰკრავს,
ცრემლით მევსება თვალი.
შორიდან მეტრფის და შუქის ფრქვევით,
მაღლდება, არ გრძნობს დაღლას,
მეძახის, მიდის სულ ზევით, ზევით,
მე კი ვერ მივდევ მაღლა.

ცივ სხივებს მტყორცნის ციდან ცთომილი,
და ჩემთვის ესეც კმარა.
შორია თუმც და მიუწვდომელი,
მაინც მას ვეტრფი მარად.
დღე ჩემთვის არი უდაბნო ბნელი,
მკლავს უმისობის სევდა,
მზის ჩასვლას გულის ფანცქალით ველი
ღამით ლუჩაფერს ვხედავ.
— შორს გადვიკარგოთ, რა დროს ეგ არი,
იქ მომყე, არ ხარ ბალღი,
სადაც ვერ ნახავს ჩვენს კვალს მდევარი,
სადაც ვერ გვიცნობს ხალხი.
იქ ბედნიერად ვიცხოვრებთ ორი,
კმაყოფილები ბედის,
დაგავიწყდება ვარსკვლავიც შორი,
ტკბილი ალერსიც დედის.

* *

ჰა, ლუჩაფერი, მძლავრ ფრთებგაშლილი,
ტოვებს ვარსკვლავთა წყებას,
ას წელს სავალი გრძელი მანძილი
ერთ წუთში უკან რჩება.
თუმც ვარსკვლავები აკრავს, ვით ჯარი,
მათი აღარ აქვს ფიქრი,
ვით გატყორცნილი ელვის ისარი
მნათობებს შორის მიჰქრის.
სულმოუთქმელი წინ მიჰქრის სწრაფად,
ნათელი აზრის მსგავსად,
შუქს ასე ღვრიდა ქაოსი, ალბათ,
ქვეყნის გაჩენის წამსაც.
თუმცა ნაპირი გაჰქრა ყოველი,
მოდის სინათლის ღვარი,
აღარც რამ არის შესაცნობელი,
აღარც დროა და ზღვარი.

დავიწყებით და სიცალიერით
წაშლილა გზა და კვალი,
მაგრამ ლუჩაფერს ისევ ძლიერი
ტრფობის ედება ალი.
— ჰე მზეო, დარდი მკლავს გაუმხელი,
ხვეწნა ისმინე შვილის,
გთხოვ უკვდავების ამხსნა უღელი,
სხვისთვის ესოდენ ტკბილი.
სიკვდილ-სიცოცხლე ხომ შენს ხელთ არი,
გვედრებ, გამკიცხო თუნდაც,
მე უკვდავება არ მსურს ნეტარი,
ის ჩემთვის იქცა ხუნდად.
არ მსურს მარადი შუქი მნათობის,
ტახტი ვარსკვლავთა გვერდით,
სანაცვლოდ მხოლოდ ტრფობით და ტკბობის
მომეც საათი ერთი.
მე ქაოსიდან ვარ გამოსული,
ქაოსსვე შემრთე წმინდად,
ადრე სიმშვიდით ვიყავ მოცული
და კვლავ სიმშვიდე მინდა.
— შენ მე შეგქმენი უკვდავად თვითონ,
დღეს სიკვდილს როგორ ცდილობ?
სასწაულს ნუ მთხოვ უმაგალითოს
ლუჩაფერ, ჩემო შვილო.
გსურს მიწიერი ცხოვრების განცდა,
თვით ხდები თავის მკვლელი?
ხანმოკლე არის სიცოცხლე კაცთა,
ცელავთ სიკვდილის ცელი.
ბევრი ვერ უძლებს მათ ბნელ მხარეში
ჩაგვრას და ბედთან ჭიდილს,
მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ დროის გარეშე,
არ ვცნობთ ნგრევას და სიკვდილს.
თუმც მარადია ზეცა მაღალი,
მასაც სახეცვლა ახლავს,
ქრება მნათობიც, რომ სხვა ახალი
გაბრწყინდეს უფრო მაღლა.

სიცოცხლის აზრი — გაუქრობელი
შუქით ბრწყინვაა მზისებრ,
ცოცხლობს, რომ ბოლოს მოკვდეს ყოველი
და ახლად გაჩნდეს ისევ.
შენ უკვდავი ხარ, ცეცხლით ხარ სავსე,
ტრიალებ ქვეყნის ირგლივ.
ოღონდ მთხოვე და ბრწყინვალე თავზე
დაგადგამ სიბრძნის გვირგვინს.
მთხოვე და შენს ხმას ჰანგი საამო
არ მოცილდება წუთით,
შენს სიმღერაზე დილა-საღამოს
იცეკვებს მიწის ბურთი.
იქნებ სახელი დიდი გიზიდავს,
ძალაუფლება ფართო,
სიცოცხლეს აღვგვი დედამიწიდან,
რომ მიწა თვითონ მართო.
ჯარს მოგცემ, გემებს, სამყაროს მომვლელს,
დალაშქრავ ქვეყნის ბოლოს,
მე ავასრულებ შენს თხოვნას ყოველს,
სიკვდილს ვერ მოგცემ მხოლოდ.
მოკვდავი მიწა ცის მნათობს არ ჰგავს,
ტრიალებს, როგორც ჩარხი,
მიწიერისთვის, დაფიქრდი კარგად,
იქნებ სიკვდილი არც ღირს.
ჰიპერიონმა ცეცხლოვან რაშით
გეზი იცვალა ხელად,
თავის ადგილზე დაბრუნდა ცაში,
სადაც ბრწყინავდა ძველად.
მწუხრზე მზის შუქის გაჰქრა ნასახი,
ცამ ჩამოუშვა ჩადრი,
და წყნარ ღამეში ჩუმი ცახცახით
მთვარე ამოდის ბადრი.
ბილიკებს სერავს ჩრდილები ხეთა,
ცაცხვის ტოტებ ქვეშ გრილა

და ხეივნებში მიჯნურნი სხედან
მტრედების მსგავსად წყვილად.
„მიმიკარ მკერდზე, შენს გულის ძგერას
ყურს თუ არ ვუგდებ მიმძიმს,
ვერა, ვერ მოვწყვეტ დამშეულ მზერას
შენი თვალების ციმციმს.
ასე ერთ არსად ვიქცეთ ორთავე,
რომ ვიგრძნო ტრფობის მადლი,
აავსე ჩემი სული მშფოთვარე
შენი სიმშვიდის ნათლით.
შენი ამბორით გული ცოცხლდება,
თითქო ქცეული ნაცრად,
შენ ხარ პირველი ჩემი ოცნებაც,
უკანასკნელი ნატვრაც“.
ლუჩაფერს ესმის ჩურჩული ნელი,
ქალ-ვაჟს შეასწრო თვალი:
ვაჟმა როგორც კი მოჰხვია ხელი,
მკერდზე მიეკრა ქალი.
მათ თავზე ცაცხვის ყვავილი სცვივა,
მსგავსი ურიცხვი პეპლის,
მხრებზე ეცემათ უთვალავ მძივად,
ფაფუკი, როგორც ფერფლი.
თავსა სწევს ქალი, ამბორის ჩქამი,
თითქო უეცრად აკრთობს,
ლუჩაფერს თვალი შეასწრო წამით
და ეუბნება მნათობს:
— ლუჩაფერ, მოდი, დაბლა დაეშვი,
გამომიწოდე ხელი,
ვით ჩემი სული სავსე კაეშნით,
ტყეც გაანათე ბნელი.
ჰიპერიონმა ერთი იელვა
და ძველებურად, მაგრად,
აბობოქრებულ ზღვაზე ძლიერად
ზვირთს უცებ ზვირთი დაჰკრა.
მაგრამ კვლავ აღარ ჩავარდა ზღვაში,
ვაჟად არ იქცა სწრაფად,

უთხრა: ვინ გინდა, მე თუ ეგ ვაჟი,
ერთ-ერთს გვატყუებ ალბათ.
მე აღარა ვარ ზეცის დამთმობი,
გულს გული ეძებს სწორი,
მე მინდა ისევ ვიყო მნათობი,
უკვდავი, მაგრამ შორი.

ჭილაძე ალექსი

(1848 — 1876)

ჩემს პირველ სიყვარულს

ნუღარ მიწვეთებ საწამლავს გულში,
ტრფობის სიმღერას ნუღარ მიმღერი,
ახალგაზრდობა არ მახსოვს ჩემი,
თუმცა ჯერ კიდევ არ ვარ ხნიერი.
მძულს ყოველივე დიდი ხანია,
რაც შენთვის მსხვერპლად მომიტანია.

გადაივიწყე მონას რომ ვგავდი,
შენი უბრალო ღიმის მნატვრელი,
შენს ერთ უბრალო გამოხედვაზე
რომ იელვებდა თვალში ნათელი.
ქვეყნად არ მქონდა არავის რიდი,
უნაზეს გრძნობებს ტალახში ვსვრიდი.

ნუ გაიხსენებ იმ სისულელეს,
მკერდია უკვე გაცივებული,
გულში სიყვარულს კვლავ ვეღარ აღძრავ,
რადგან სავსეა დარდით ეს გული.

შენ საკვირველი ტკბილი ხმით მღერი,
მაგრამ მღერიან უკეთ ჩიტები...
გესმის? გულს მიკლავს ღარიბთა კვნესა
და როგორ ვიყო მე დამშვიდებით...
დაჭრილ გულს უნდა იქ იყოს მარად,
სადაც მებრძოლთა სისხლი სდის ღვარად.

თავი ანებე ტკბილი სიტყვის შხამს,
მეხი ჰქუხს ქვეყნის შემარყეველი.
ყური მიუგდე ახალ სიმღერას,
კვნესით და ოხვრით მღერის ტყე-ველი.
მასში სევდა და ვაება მწველი,
ახალთან ერთად გაისმის ძველიც.

მიმღერე, კარგო, დარდზე მიმღერე,
მიმღერე მოთქმით, ნაღვლით ამავსე.
ძმა ძმას როგორ კლავს, ვით იღუპება
ახალგაზრდობა და სილამაზე.
მიმღერე, ქვრივი როგორ ღონდება,
ცას როგორ სწვდება ობლის გოდება.

მიმღერე, ან ხმას სულ ნუ გაიღებ,
გულთან ტკბილ ჰანგებს რა უნდა ხუნდად?
გელს გასაფრენად გააქვს ფართქალი,
გულს სწორედ იქით გაფრენა უნდა,
სადაც ხმა ისმის განწირულების
და ეცემიან განგმირულები.

იქ ქარიშხალი ხის ტოტებს ლეწავს,
რომ გვირგვინებად დაწნას ტოტები,
იქ ნაპრალები პირდაღებულნი
ცეცხლს ახველებენ გაბოროტებით.
იქ სიკვდილს მოაქვს ღიმილი ტკბილი
და საუკუნო ლოგინი ლბილი.

მაგრამ ის ჰანგი მე ვინ მიმღეროს,
გზნებით რომ ჰგოდებს ხალხის გასაჭირს,
ბრძოლის სიმღერა, რომლის გვერდითაც
ტრფობის სიმღერა ჩალად არას ღირს!
არავინ? გული არ გამიტყდება,
მე თვით ვიმღერებ ბრძოლის დიდებას.

დედაჩემს

დედავ, მე შენი სიმღერის სევდა
არ მშორდებოდა, სამ წელს თან მსდევდა,
სწუხდი, რომ ბედი მოხეტიალის
არ მშორდებოდა ოხერ-ტიალი.
ჩემგან შენ წყენა არ გახსოვს წამით,
არ გამიფლანგავს ქონება მამის.
მაშ, შავბედს რატომ არ აქვს დანდობა,
რად ჭკნება ჩემი ახალგაზრდობა.
ჩემს ტოლებს შორის არავინ არი
ჩემსავით მუდამ გაუცინარი,
და არ მოუვა ჩემს ტოლებს აზრად,
რომ ჩემი გული ზამთარმა დაზრა.
მათ შორის არვინ მყავს ახლობელი,
რომ საიდუმლო ვუთხრა ყოველი.
მარტო, სულ მარტო დავრჩი ამგვარად
ოცნებისა და ფიქრის ამარა.
და ჩემს უბედურ სიჭაბუკეში
მხოლოდ შენ ერთი შემრჩი ნუგეში.
მაგრამ დავკარგე უფლება, ვხედავ,
რომ ძველებურად მიყვარდე, დედავ,
დიდხანს ვეცადე, მსურდა ბოლომდის,
რომ ბედნიერი დედა მყოლოდი.

ძმისადმი

ირგვლივ მტრების მთელი წყება
კმაყოფილი, თავგასული...
სულში ცეცხლი მეკიდება,
ტკივილისგან კვნესის გული.
ვარ მამულის ტრფობის მცველი,
ქვეყნად ვისმეს თუ ვემდური —
მძულს ძლიერი — ჭკუათხელი
და მიტომ ვარ უბედური.
შავ ფიქრებში ჯვარზე ვაცვი
სული, ვწვალობ ამის გამო.
ნეტავ თუა ქვეყნად კაცი,
რომ ტკივილი დამიამოს.
არვინ არის ღირსეული,
მე სიხარულს ვპოვებ ვერსად,
და შმაგივით მიცემს გული,
როცა მესმის ხალხის კვნესა.
მინდა ხალხის საფლავს ცხელი
ცრემლი ჩუმად დავაყარო,
მთელს ქვეყანას ფარავს ბნელი,
მე რამ უნდა გამახაროს?
ყველა ცრუა, ვის გავენდო?
მცირე შუქიც არსად კვესავს.
ვაი, თურმე, დიდო ღმერთო,
შენც არ გესმის ხალხის კვნესა.

ძმური განაწილება

მე და შენ მართლა ძმებივითა ვართ,
გრძნობა ერთი გვაქვს, აზრი საერთო,
ჩვენ არაფერი გაგვახსენდება,
რომ სირცხვილისგან სახე აენთოს.

ჩვენი ცხოვრების ავის და კარგის
მსაჯული იყოს შთამომავალი.
მაშ წინ გავსწიოთ, მხარდამხარ, მედგრად,
ამ გზაზე გველის ტანჯვა მრავალი.

ვიაროთ აქაც, უცხო მხარეშიც,
არა უშფოთვლად და უზიანოდ,
და განსაცდელი მოსალოდნელი
კვლავაც ერთმანეთს გავუზიაროთ.

ზიარი იყოს მწარე ყველრებაც,
დაცინვაც, გული რომ იწამლება.
და უღრტვინველად ვიაროთ სულ წინ,
რომ უკან დაგვრჩეს ყველა წამება.

ნება-სურვილებს ქედს არ მოვუხრით,
კერპს მივახალოთ: გზიდან, მაცდურო!
ჩვენი მართალი, წრფელი გულები
ჩვენს ორ ნაღვლიან ქნარში ჩავწუროთ.

მაშ წინ, ბოლომდე ნამუსიანად,
ფიქრით და გრძნობით ძმად მონდობილო,
დაე აღსრულდეს პირობა ჩვენი,
სიკვდილსაც ერთად შევხვდეთ, ძმობილო.

ჰაჯი დიმიტრი*

ის ცოცხალია, წევს ბალკანებთან,
კვნესის, ელევა ძალა გმირული,
ვინც სამშობლოს მტრებს აკანკალებდა,
წევს ჭრილობებით მთლად დაცხრილული.
მხარმარჯვნივ გდია გამტყდარი ხმალი,
თოფიც აღარ აქვს ხელთ დაბღუჯული,
სისხლს დაუნისლავს არწივის თვალი
და ტუჩებს წყდება წყევლა ჩურჩულით.
წევს გმირთა გმირი, ცხოველმყოფელი.
მზე სხივებს ისვრის ოქროს ფიწლებად,
ისმის სიმღერა, პურს მკის სოფელი
და სისხლისაგან გმირი იცლება.
მონები მკიან, და მკიან ოდეს,
მღერიან, ვაი მონობის მხარეს.
მზევ, დააცხუნე,
დე გმირი მოკვდეს,
მაგრამ რად_ვამბობ ამ სიტყვებს მწარეს?!
ვინც შეეწირა თავისუფლებას, არ კვდება,
ტყუილს ამბობს მტარვალი, —
გმირს იგლოვს მიწაც,
ცაში ღრუბლებიც,
და ლექსად აქცევს შთამომავალი.
დღისით იფარავს ფრთები არწივის,
ღამით ულოკავს მგელი იარას,
და შევარდენი ერთგულ კაცივით
გვერდთ უდგას ჭირშიც თანაზიარად.

---

* ჰაჯი დიმიტრი — აჯანყებულ ბულგარელთა რაზმის მეთაური. დაღუპა თურქებთან. ბრძოლაში.

გვიან, შუქი რომ იფრქვევა მთვარის.
და იცრიცება ღამის უკუნი,
ბნელ ბალკანების ტყეში ჰქრის ქარი,
ისმის სიმღერა ჰაიდუკური.
და ასულები სამოსით თეთრით,
ულამაზესნი, ღამით მოსულნი,
ჩამოსხდებიან გმირთ გმირის გვერდით
და უმღერიან ხმით ჯადოსნურით.
ერთი აპკურებს ცივ წყალს მუდარით,
მეორე მკურნავ ბალახებს ურჩევს,
მესამე კიდევ, ვით საკუთარი
ღვიძლი და ჰკოცნის მის გამხმარ ტუჩებს.
— დაო, ყარაჯა მითხარ სად არის,
ჩემი სად არის დღეს რაზმეული,
ვერ შეაშინებს ჩემს სულს ავდარი,
თუნდაც აქ დალპეს ჩემი სხეული.
გადაეხვივნენ, შემოჰკრეს ტაში,
და ფრთა გაშალეს მაღლა ათასი,
ნაზი სიმღერით დაფრენენ ცაში,
რომ ნახონ სული ყარაჯატასი.
მაგრამ თენდება და ქრება ბნელი...
და გმირი ისევ სისხლს ჰკარგავს ულევს,
ურიცხვ ჭრილობებს ულოკავს მგელი
და მცხუნვარე მზე უშანთავს წყლულებს.

გამოსალმება

ნუ სტირი, დედავ, ნუ ივალალებ,
რომ ჰაიდუკი გავხდი, ძვირფასო,
ჰაიდუკი ვარ, მეამბოხე ვარ,
მარტო დაგტოვე, საბრალო დედავ,
და დარდი გახრჩობს შენი პირმშოსი.
დასწყევლე, დედავ მწარედ დასწყევლე
თურქთა მხეცობა და ბოროტება,
ახალგაზრდებს რომ ერეკებიან
მშობელ ქვეყნიდან უცხო მხარეში,
მათ უნდათ ჩაგვკლან შორს, ხეტიალში,
უბედურნი და მიუსაფარნი.
დედილო, მე შენ, ჯერ ახალგაზრდა,
დასაღუპავად არ გემეტები.
თუმცა, ვინ იცის, ხვალ დუნაიზე
გადასვლას იქნებ ვეღარც გადვურჩე,
მაგრამ რას იზამ, მშობელო ჩემო,
მე ხომ ეს გული შენგან გამომყვა —
გული გმირული და ვაჟკაცური,
გული, რომელსაც არ შეუძლია,
უცქიროს მშვიდად და არხეინად
თურქ ყაჩაღთაგან იმ ქვეყნის თელვას,
სადაც შენ ძუძუ მაწოვე ტკბილი,
სადაც პირველად მორცხვი ღიმილით,
ნაზი ღიმილით შემხედა სატრფომ —
გულის რჩეულმა, უძვირფასესმა,
და გამოხედვა მისი თვალების
დამკვიდრდა გულში სამარადისოდ;
სადაც მამაჩემს და ჩემს ძმებს ახლა
შენსავით ჩემი ბედი ადარდებთ,

ო, ჩემო დედავ, ვაქკაცის დედავ,
შემინდე, უნდა გამოგესალმო,
მე ახლა ხელში ვიღებ იარაღს
და მივიჩქარი ხალხის ძახილზე,
რომ ურჯულო მტერს შევება რისხვით
და ხმლით მივაგო სამაგიერო
დედ-მამისათვის, ჩემი ძმებისთვის,
ყველაფრისათვის, რაც საყვარელი
და უწმინდესი კაცს გააჩნია.
დედილო, როცა ტყვიების სტვენის
ხმას გაიგონებ და მეომრები
შენი სახლის წინ გზად გაივლიან,
მათ შეეგებე ხელებგაშლილი
და ჰკითხე შენი პირმშო სად არი.
თუ გითხრან: შენი შვილი შორს, სადღაც,
ცხარე ბრძოლაში ტყვიამ მოჰკლაო,
ნუ ატირდები, ძვირფასო დედავ,
ნურც ყურს ათხოვებ მას, ვინც დაასკვნის:
„შვილი არ იყო დედის ღირსიო!“
შეატყობინე მწუხარემ შენს სახლს,
შეატყობინე ჩემს უმცროს ღვიძლ ძმებს,
იცოდნენ ძმებმა, არ დაივიწყონ,
რომ კიდევ ჰყავდათ, მათ ძმა უფროსი,
რომელიც ომში დაეცა, რადგან
ვერ შესძლო ხალხის ტანჯვის ყურება,
ვერ შესძლო ქედის მოხრა საბრალომ
გათავხედებულ თურქთა წინაშე.
უამბე ჩემს ძმებს, დაე ბიჭებმა
შენგან შეიტყონ ჩემი ამბავი.
დაე ეძებონ ჩემი სხეული
მაღალი მთების ბნელ ჭიუხებში.
სისხლი კი ჩემი მიწას გაალბობს
და იქ ეძებონ, მშობელ მიწაში,
თუ ჩემი თოფიც სადმე იპოვნონ,
ჩემი ერთგული თოფი და ხმალი,

როგორც კი გზაზე მტერი შემოხვდეთ,
იმ თოფის ტყვიით მას მიესალმონ
და იმ ხმალითვე მიუალერსონ.
მაგრამ თუ, დედავ, არ შეგიძლია
ჩემს ძმებს გადასცე ეს სათხოვარი,
ეს ამისრულე, ერთი მუდარა:
როცა სოფელში შებინდებისას
თავს მოიყრიან ქალიშვილები
და გააბამენ მხიარულ ფერხულს,
იქ, ალბათ, მოვა ტოლებთან ერთად
ჩემი ოცნებაც, სატრფო გულისა.
მაშინ იქ მიდი უთუოდ, დედავ,
და ჩემი ძმებიც თან მიიყვანე,
რომ მოისმინოთ ჩემზე სიმღერა,
თუ სად და როგორ მოვკვდი გმირულად,
ვით შევხვდი სიკვდილს,
ან ჩემს მამაც რაზმს
განშორებისას რა დავუბარე.
დედავ, მწუხარე სახით შეხედავ
ქალიშვილების ფერხულს უდარდელს
და შენი თვალი შეხვდება წამით
ჩემი ლამაზი სატრფოს შავ თვალებს.
და ორი გული — შენი და მისი —
გულები, ჩემთვის უძვირფასესი,
ჩემზე მწუხარედ ამოიოხრებს
და დაეცემა ცრემლები ცხელი
მკერდს მოხუცსა და მკერდს ახალგაზრდას.
დე თვითონ ნახონ ეს ჩემმა ძმებმა,
დედავ, და როცა დაიზრდებიან
ჩემი უმცროსი პატარა ძმები,
დაადგებიან ჩემს გზას ისინიც,
მათ სიყვარული ეცოდინებათ
ისე ძლიერი, ვით სიძულვილი.
მაგრამ თუ, დედავ, ტყვიით უვნები
მე კვლავ დავბრუნდი სოფლად ცოცხალი,

თუ ხელთ მექნება საბრძოლო დროშა
და მომყვებიან თან რაზმელები,
მე მოვალ ქუდზე ლომდახატული,
მხარს დამიმშვენებს ჩემი სიათა,
გვერდს მოღუნული ხმალი გველივით,
მაშინ, ო, მაშინ, ძვირფასო დედავ,
და სატრფოვ, ქვეყნად უსაყვარლესო,
ბლომად დაკრიფეთ ბაღში ვარდები,
სურო და მწვანეც არ დაივიწყოთ,
რომ მორთოთ ჩვენი თოფ-იარაღი
და გვირგვინებით შეგვიმკოთ თავი.
შენ მოხვალ, დედავ, თაიგულებით
ჩემთან და შუბლზე მაკოცებ პირმშოს
და გამაგონებ შენს მშვენიერ ხმას,
შენს აზრიანსა და ნათელს სიტყვებს —
თავისუფლების, გმირობის, ქებას.
მორცხვ სატრფოს მაშინ ხელს მოეხვევ მხარზე,
იმ ხელს, რომლითაც
მტრების სისხლს ვღვრიდი,
და მკერდს მივიკრავ, რომ მოისმინოს,
როგორ სწრაფად სცემს ვაჟკაცის გული.
მის ქვითინს კოცნის ხმით გავაყრუებ
და ძვირფას ცრემლებს ტუჩებით ავკრეფ.
მაშინ... მაგრამ, ეხ... მშვიდობით, კარგო,
არ დამივიწყო, გახსოვდე მარად.
ისევ დაადგა გზას ჩვენი რაზმი,
სახიფათო და სასახელო გზას.
იქნება მოვკვდე ცხარე ბრძოლაში,
მაგრამ მე ჯილდოდ ისიც მეყოფა,
რომ ჩემზე იტყვის ოდესმე ხალხი:
„გმირულად მოკვდა, თავი შესწირა
სიმართლესა და თავისუფლებას!“

ივანე ჯავახიშვილი

(1850 — 1921)

* * *

ბოლო ექნება დაწყეულილ წყვდიადს,
დადგება ბოლო ჯავრის, დარდების,
შენ ისევ ნახავ ცხოვრებას დიადს
და წელში ისევ გაიმართები.

მოვა თაობა ბნელის დამნთქმელი,
მოვა ბოროტის დამამხობელი,
თავისუფლების დიდი, ნათელი
მზე გაგინათებს ცხოველმყოფელი.

წამების ცრემლი გაქრება ხალხში,
აღარ ივლიან თავდახრილები,
და მაშინ... მაგრამ ვაი, რომ მაშინ
ქვეყნად მე უკვე აღარ ვიქნები.

ჩემი სიმღერა

მოვკვდები, წავალ ადრე თუ გვიან,
მეც მახსენებენ კარგად ან ცუდად,
ჩემს საფლავზედაც ამოვა ია,
ლექსი კი ჩემი იცოცხლებს მუდამ.

ბევრ სახელს, ბევრის ტყუილ დიდებას
გააქრობს, წაშლის წლების ნამქერი,
მათ ხსოვნას ხავსი მოეკიდება,
მაგრამ ვერ მოჰკლავს ლექსს ვერაფერი.

ლექსი ძმობას და სიმართლეს უმღერს,
მისი სიცოცხლე არ შემოკლდება,
ბნელს ჰკიცხავს, ებრძვის მონობის უღელს,
და ლექსი ჩემი როგორ მოკვდება.

მას ბალკანების ეშხი და ფერი,
მთების სიმღერის კილო მოჰყვება,
იგი სახალხო დიდებას მღერის,
სიმღერა ჩემი როგორ მოკვდება.

მას მივეც გულის საუნჯე სრული
რჩეულ ხმებად და რჩეულ ფერებად,
და ახლა ჩემი მთრთოლვარე გული
ჩემს ლექსებში ძგერს შეუჩერებლად.

მოშურნე მტერი, ჩემზე რომ ცდიდა
ძალას, სიხარბით თვით დამიწდება,

მე თვალს ვუსწორებ მომავალს მშვიდად,
რადგან მას ჩემი ლექსი მისწვდება.

ჩემს ლექსს — ბულგარელ ხალხის სულს უკვდავს
დრო შეამტკიცებს დუღაბის დარად,
ვით ბულგარეთი იცოცხლებს მუდამ,
ჩემი სიმღერაც იცოცხლებს მარად.

•

პოეტისადმი

შენ ამბობ, თითქო მსმენელი პოეტს
არ უგდებს ყურს და არ ხვდება ტაშით,
რომ გამოძახილს ლექსი ვერ ჰპოვებს
ვერც ხალხის ლხინში, ვერც ოფლის ღვრაში.

დე ნუ ისმენენ სიმღერას შენსას,
არ შედრკე, გული ნუ გიღონდება,
იმღერე ისე, რომ ლექსში კვნესად
ისმოდეს შენი ხალხის გოდება.

როცა ტოროლა ღრუბლებს შორდება,
ვინ ისმენს მის ხმას ღრუბლების გარდა,
მაგრამ მრისხანედ განმეორდება
კაცთა გულებში გუგუნი ზართა.

დაუსრულებელი სიმღერა

მე იმ სტრიქონებს ვაქსოვდი ამ გულს,
სამშობლოსათვის რომ მითუთქავდნენ,
ჩემი სიცოცხლე ეკუთვნის მამულს
მთლად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

შენდამი მოძღვნილ სტრიქონებს მივეც
გულის სათქმელი, რაც მაქვს, მამულო,
თუ რამ გამაჩნდა ვთქვი ყოველივე
სამწუხაროც და სასიხარულოც.

ყველაფერი ფეთქს სიტყვით გულწრფელით,
რისაც კი შევძელ თქმა და მოსწრება,
თუმცა ვინ იცის, იქნებ უთქმელი
კიდევ ფარული დამრჩა ოცნება.

შენ რომ გიმღერდი, მამულო, ერთი
ესღა მიმაჩნდა ჩემთვის სახელად,
მაგრამ მთავარი, ვაითუ ვერ ვთქვი,
თუმც ლექსში მსურდა ბევრის გამხელა.

საფლავშიც შემძრავს, აქ რომ მიღელვებს
გულს, შთაგონების მწველი ხანძარი,
ჩემთან დავმარხავ იმ კარგ სიმღერებს,
რის დასრულებაც ვერ მოვასწარი.

სევდა სამშობლოზე

გავცქერდი ფინეთს თუ ცეცხლოვან ეტნის მწვერვალებს,
დიად ვოლგას თუ სენას, ტალღებს რომ მოაქანებს,
უცხო მშვენება იზიდავდა ყველგან ჩემს თვალებს,
ფიქრი კი ჩემი არ სტოვებდა მშობელ ბალკანებს.

მთელი ევროპა დავიარე, სამშობლოს გარეთ
მთებს გადვივლიდი თუ მღელვარე ზღვებს გავცურავდი,
სადაც არ ვიყავ, ბალკანების ლამაზო მხარევ,
სულ თვალწინ მედგა საყვარელი შენი სურათი.

ვნახე ბრწყინვალე ხელოვნების ბევრი ფურცელი,
ბევრჯერ მივსულვარ მათ წინაშე ქედის მოხრამდის,
მათ ეკუთვნოდა აღტაცება ჩემი გულწრფელი,
მაგრამ ოხვრა კი... ბალკანებო, თქვენთვის ვოხრავდი.

ცოცხალი მატიანე

კერპი შვილი ვარ დიდი თაობის,
რკინის ნებით და ფოლადის რწმენით,
მოთმენაც ვიცი, გამბედაობაც,
ცხოვრების ტვირთი მძიმეა ჩვენი.

ოი, ეს წლები ქარიშხლიანი,
ქარი მნგრეველი და გამკივარი...
მე ვიყავ ჩემი ხალხის ზიარი,
მისი წუხილის და სატკივარის.

ეს ტკივილები მკაცრი ხელებით
შიგ სულში ჩამწვდნენ, გამატიალეს,
მე ბალკანების საშინელების
ახლა ცოცხალი ვარ მატიანე.

არა, არ ჭრება ჩაუჭრელელი

ჩვენ გვხიბლავს ცა, რომ გამოიდარებს,
მზე რომ შუქსა და სითბოს გვაჩუქებს,
მაგრამ მზე გულებს უფრო გვიხარებს,
როცა დილეგში შემოაშუქებს.

ვარსკვლავთა შუქი თუნდ ილეოდეს,
გემს მაინც ჰყოფნის, ბნელში რომ მიდის,
მცირე ნაპერწკალს, სულ მცირეოდენს,
ძალუძს დაანთოს ხანძარი დიდი.

თუმც დასწვეს ჰუსი, კოცონის ალმა
ფარდა აჰხადა შუქით ჯალათებს,
ღამე რაც უფრო ბნელია ხოლმე,
ელვა მით უფრო მეტად ანათებს.

ის რაც არ ჰქრება, სულ უფრო ღვივის,
მას ვერ ჩააქრობთ ძალით გულქვანი,
მტარვალნო, თქვენგან დევნილი სხივი
თქვენვე წაგლეკავთ, როგორც ვულკანი.

მოჩვენებაა წუთისოფლისა
ქვეყნის დიდება, თუკი რამ არის,
ტახტსაც, სკიპტრასაც, მეფის პორფირსაც,
ყველას გამოხრავს ჭია სამარის.

სამყაროს მხოლოდ სინათლე შვენის,
მხოლოდ ის არის ქვეყნად უხრწნელი.
ნათელთან გაჩნდა პლანეტა ჩვენი
მისივე ტოლი და განუყრელი.

ბრწყინავს სინათლე ბნელის დამნთქმელი,
სიკვდილი მას ვერ შეეჭიდება,
პრომეთეოსის ცეცხლის ნათელი
ახლა ვოლტერის აზრში ბრწყინდება,

და დღეს რომ უცებ მზე გაჰქრეს, შავად
წამოგვეფაროს ბნელი შორიდან,
გაჩნდება ვინმე, ქვესკნელში ჩავა
და მანათობელ ცეცხლს ამოიტანს.

ბულგარული ენა

ენავ წუხილის, კვნესის და სევდის,
ჩემი სამშობლოს წმინდაო ენავ,
შენ ერთი იყავ ნუგეში დედის,
შენ უმტკიცებდი მომავლის რწმენას.

ვინ არ იკადრა შენი გინება,
ან ვინ დაგინდო დევნილი ჯერაც?
მაგრამ ვინ შესძლო, ან ვინ ინება,
ჩაკვირვებოდა შენს ლამაზ ყღერას?

შეიგნო ვინმემ, თუ როგორ მაღლა
ანათებს შენი წმინდა ნათელი?
შენს ლამაზ სიტყვებს რა ღონე ახლავს,
რა ძალა აზრის გამომხატველი?!

შენ მოგაყენეს ბევრი ზიანი.
ტალახიანმა გაგთელა ფეხმა,
ყველანი, უცხო და შენიანი
შენ გიმეტებდნენ ლანძღვისთვის ერთხმად.

გაიძახოდნენ, რომ შემოქმედის
შენ ვერ აგიტანს აზრი გულწრფელი,
გამოგიყენებს შენ მხოლოდ ყბედი
და სიმღერისთვის ხარ მოუქნელი.

და რაც მე გავჩნდი, ეს ჩემი გულიც
მით იჩაგრება, მით იწამლება —
რომ შენი თრევა გულს მიკლავს მტრული
მოდად ქცეული ცილისწამება.

მე შევაბრუნებ ამ ლანძღვას ქებად,
დავეწაფები შენს წმინდა ძირებს,
მე შენ გადაგცემ ჯადოსნურ ხმებად
ჩვენი ოცნების მომავლის გმირებს.

მე შენ აღგადგენ ძლიერი რწმენით,
ლამაზს და დიადს, მტრების ალყაში,
რომ შენს მზრახველებს თვალს სჭრიდეს შენი
გაუქრობელი შუქის კაშკაში.

მეოცე საუკუნე

მის შესახვედრად თასებს ავავსებთ,
დგას საუკუნე მეოცე — კართან,
იგი მოუტანს იმედს ათასებს,
ბრძენებს — არაფერს ეჭვების გარდა.

თუმც საუკუნე საუკუნეს სცვლის,
მაგრამ ეს საქმეს არაფერს შველის,
ჟანგმოდებული, ასეული წლის,
ისევ ჟღარუნებს ბორკილი ძველი.

მემკვიდრეობად წელი ახალი
ვერაფერს იღებს სახარბიელოს,
განკურნვას ელის სენი მრავალი,
მაგრამ ვაითუ ვერც დრომ გვიშველოს.

ვაითუ ძალამ დასძლიოს ახლაც
გონიერების ნათელ იდეას,
მაშინ, როდესაც წყურვილი ქვეყნად
ბედნიერების ასე დიდია.

ბულგარეთის ძეგლები

ო, ბულგარეთო, ყოველი
სიკეთითა ხარ მდიდარი,
მაგრამ წარსულის ძეგლები
აღარ გაქვს არავითარი.

არც ბარად, არც მაღალ მთებში,
კლდენი რომ დგანან შიშველი,
აღარსად კვალი აღარ ჩანს
წარსულისა და სიძველის.

საუკუნენი გამქრალან,
ყველაფერს ფარავს შამბნარი,
განვლილის მოწმედ მინდვრებზე
ერთი სამარხიც არ არი.

აღარ ჩანს, კვალი წაშლილა
შენი წარსულის დიდების
და ბინდი ჰფარავს ყველაფერს
გაქრობის, გადაჯიშების.

ამაოდ ვეძებთ, ყველაფერს
სიბნელე გადაჰფენია,
აღარ ჩანს, როგორ ჰყვაოდა
მშობელი ხალხის გენია.

არ შენახულა ქმნილება
უკვდავი შემოქმედების,
და თუ რამ დარჩა წარსულის —
მხოლოდ დაშლილი კედლები.

შენი წარსულის მოთხრობის
ბნელ პწკარებს ბინდი ახურავს,
ამ პწკარებს შორის ეკითხულობთ
ცოცხლებისადმი სამდურავს,

იგი სისხლის ღვრას აგვიწერს,
სავსეს მარცხით და ზიანით,
ხან ქვეყნის მმართველთ ამტყუნებს
მისი ხმა სამართლიანი.

მათ, ვინც არ მოკვდა გმირულად,
ვინც არ შეაკვდა ჯალათებს,
ვისი ანდერძიც შვილთათვის
სამშობლოს ცას არ ანათებს.

ასე გამოვლე ძველი გზა
სიბნელით, ხანაც ნათებით,
გაპარტახებულს არ მოგყვა
ძველი დიდების ნაშთები.

გადმოცემადაც არ დაგრჩა
რაც კარგის იყავ მნახველი,
შავი დღეების ხსოვნალა
შემოგრჩა სავსე ნაღველით.

შენ მაინც ხარ და იქნები
ჩემი ლამაზი ოცნება,
ვარდის და დაფნის გვირგვინით
მსურს შენი გასხივოსნება.

თავდავიწყებით მიყვარხარ,
სამშობლოვ, ჩემო ცისკარო,
ბედკრულო, ბედით ჩაგრულო,
სიტურფით ედემის დარო.

შენ მზრდიდი, ჩემზე ზრუნავდი,
სამშობლოვ, გენაცვალები,
მზისათვის, სიყვარულისთვის
შენ ამიხილე თვალები.

მე ვეჩვეოდი მწარე ბედს,
ყველგან, სად ვიყავ, სად არა,
ბრძოლისთვის ვემზადებოდი,
ჯერ კიდევ ვიყავ პატარა.

ჩემს შთაგონებას, სიმღერას,
სევდა რომ სდევდა მამულის,
შენსავე ტანჯულ ყოფაში
ჰქონდა ფესვები გადგმული.

უბედური ხარ, მაგრამ თვით
ტალახშიც მოჩანს ნათელი,
ეგ შენი შუბლი მაღალი,
სიწმინდის გამომხატველი.

ჩემო ჩაგრულო სამშობლოვ,
ჩემო ტანჯულო მამულო,
დამპყრობელ მტრებთან ხმალდახმალ,
სამშობლოვ, ომში ჩაბმულო.

ათასჯერ გამოისყიდე
შვილების დანაშაული,
ახლის მშვენებით, ტანჯული
აღსდექი, ვით სასწაული.

თავგანწირულად იბრძოდი
ურიცხვი მტრების მსახვრელი,
შორს ისმის შენი შიპკის და
შენი ბატაკის სახელი.

ის შენი პანთეონია,
და კოლიზეი ახალი,
ცად აზიდულა ამაყად
მათი სვეტები მაღალი.

წლების სიმძიმე ვერ გასტეხს,
მათ ვერ დაამხობს ვერავინ,
და იცოცხლებენ მარადის
დროთაგან გაუთქერავი.

ეს ქმნილებანი შენ შვილთა
ურღვევი, მტკიცე რამ არი,
სისხლით და ცრემლით ნაგები,
გრანიტზე უფრო მაგარი.

ნუ დარდობ, ჩემო სამშობლოვ,
შენ აღარ გატიალდები,
ცას გინათებენ შორეულს
მომავლის განთიადები.

„რადეცკი“

დიდი დუნაის ლურჯ ტალღებს
ხმაური გააქვთ მედგარი,
შორიდან მოჩანს „რადეცკი“,
გემი, ზვირთებზე შემდგარი.

ტედავ? ახლოა ნაპირი
და რაზმიც ფეხზე დამდგარა,
გემზე გაისმა ყიჟინა,
დაჰკრეს ბუკი და ნაღარა.

ისმენდნენ იუნაკები,
დაჭიმული აქვთ კუნთები,
დგანან თვალცეცხლოვანები
ლომდახატული ქუდებით.

ყველა მეთაურს შეჰყურებს,
მის თვალებს, შუქით მღიმართა,
მან სატევარი იშიშვლა,
გემის კაპიტანს მიმართა:

„მისმინე, ბულგარელების
ვარ ერთი მხედართმთავარი,
ბრძოლის ველისკენ ვიჩქარით,
უნდა გადავვლოთ მთა-ბარი.

მტრის შესახვედრად ვისწრაფვით,
ვით შევარდენთა გუნდები,
სამშობლოს უნდა ვუშველოთ,
დავლეწოთ მისი ხუნდები.

ეგ გემი ნაპირს უსწორე,
თუნდაც გზა გვქონდეს სხვადასხვა,
ეს ჩემი რაზმი მებრძოლთა
ნაპირზე უნდა გადასხა“.

გეზის ცვლა არ სურს გერმანელს,
იქნებ ჰგონია მკვეხარა,
ბოტევს მგლისფერი დაედო,
მრისხანედ წარბი შეჰყარა:

„აკი გიბრძანე? იცვალე
გეზი, თუ არ გსურს გავცხარდე.
დღეს მე ვარ აქ კაპიტანი,
თქვენ ჩემს ტყვეებად გაცხადებთ.

ხალხი მტერს ებრძვის, ჩვენც ხალხის
ბედი გვსურს გავიზიაროთ,
ახლავ უბრძანე მესაჭეს,
ნაპირისაკენ იაროს“.

დუმს მეთაური მრისხანე,
კაპიტანს უცქერს თავნებას,
რაღა გზა ჰქონდა გერმანელს,
მესაჭეს მისცა ბრძანება.

ხომალდმა გეზი იცვალა,
გამოჩნდა მხარე მშობელი,
ისმის დუნაის ტალღების
სიმღერა დამატკბობელი.

ქარი ჰქრის, ზვირთი ხმაურობს,
თითქო ზვირთებსაც ახარებს,
სამშობლოსათვის მებრძოლთა
გემით მიყვანა ამ მხარეს.

რაზმელნი გმირულ სიმღერას
მღერიან დროგამოშვებით
და ფრიალებენ დროშები,
ლომდახატული დროშები.

უახლოვდება ხომალდი
მშობელი ქვეყნის ნაპირებს,
კრძალვით ქუდს იხდის ბოტევი,
მხედრულ სიტყვის თქმას აპირებს:

„სამშობლოს მიწას ვემთხვიოთ,
წინ ბრძოლა გველის, ჭიდილი,
მოვკვდეთ ამავე მიწაზე,
თუ გვიწერია სიკვდილი“.

მუხლმოუყრელი არ დარჩა
არც ერთი რაზმელთაგანი,
ემთხვივნენ როგორც სალოცავს,
მშობელ მიწას სცეს თაყვანი.

„ძმებო! — გაისმა ბოტევის
ხმა ვაჟკაცური ძლიერი, —
ჩვენს ხალხთან ერთად, სულ მალე,
მტერზე მივიტანთ იერიშს.

ბარს შესძრავს ჩვენი გუგუნი,
მთებზე ყიჟინით ავივლით,
თურქთ დამპყრობთ გასათქერავად
დავეჯახებით ზვავივით.

თუმცა ჩვენ რიცხვით ცოტა ვართ,
არც ბრძოლებში ვართ წრთობილი,
მაგრამ გულს გვინთებს რისხვა და
სიმართლე კეთილშობილი.

დავლეწავთ, რაკი შევებმით,
მტერს სულიც ამოხდომია,
ჩვენი ფარია სიმართლე,
ჩვენი მეგზური ლომია“.

ეს ფიცი ესმის ქვეყანას,
მეომრის ფიცი განთქმული,
წინ, ძმებო, ბულგარეთისთვის!
წინ, მტრებზე, ვიხსნათ მამული!

ის არ მოკვდება

მტრის რისხვის მოწმე, ცამდის აწვდილი
მთები რომ დგანან ჭაღაროსანნი,
ვზივარ იქ, სადაც მტრისგან დაჭრილი
მოკვდა მგოსანი.

გამომიზნულმა მტრის ტყვიამ უცებ
აქ გაუგმირა შუბლი ნათელი,
უთქმელი შერჩა ვაჟკაცის ტუჩებს
ბევრი სათქმელი.

თითქო აქ წევს და დავცქერ ფერმიხდილს,
ჩემს თვალწინ კვდება თითქო, ეს არი,
და მესმის, როგორ ებრძვის ბნელ სიკვდილს
მწარედ მკვნესარი.

დუმს მთა და ლოცვას არავინ იტყვის,
არ ამჟღავნებენ ლოდები მწირი,
რომ აქ დაეცა სამშობლოს ხსნისთვის
პოეტი — გმირი.

მხოლოდ მწყემსები უსაზღვრო სევდას
მიზიარებენ უბრალო ენით
და მიამბობენ, სულს როგორ ლევდა
დიდება ჩვენი.

ამ კლდესთან მოკვდა, ეს კლდეა წმინდა,
მოკვდა, რომ ეხსნა მხარე მშობელი,

ჩვენივე თვალით, თუმც ტყვია წვიმდა,
ვნახეთ ყოველი.

„სწორედ აქ მოკვდა“ — ჰგავდა მწყემსების
მოთხრობა მოთქმას, ნამდვილ გოდებას,
შორს ჩემთვის სჭექდნენ მისი ლექსები:
„ის არ მოკვდება“.

ჩემო სამშობლოვ, რა კარგი ხარ, რა დიდებული!..

ჩემო სამშობლოვ, რა კარგი ხარ, რა დიდებული!
რა ლამაზია შენი ლურჯი ზეცა უძირო!
თვალს ვერ ვაშორებ შენს სიტურფეს, სულ მსურს ვუცქირო
და როცა გიცქერ, საოცარი ძალით ძგერს გული.
აქეთ ბარია, იქით — მთები ცადაწვდილები,
ცას ვარსკვლავები ამშვენებენ, ველს ყვავილები...
ჩემო სამშობლოვ, რა კარგი ხარ, რა დიდებული!

განა ამქვეყნად არის მხარე შენებრ მდიდარი?
ყველა სიკეთით მოკაზმული ხარ დედოფალი,
შენს ბაღებს ხილი არ ელევა, ყანებს — ხორბალი,
აგერ ღვინო სჩქეფს, აგერ ფარჩა ბრწყინავს მზისდარი,
რა ვარდები გაქვს, რა ტყეები ხშირი, ულრანი!
ბედნიერების ცრემლით ბრწყინავს თვალთა გუგანი...
განა ამქვეყნად არის მხარე შენებრ მდიდარი?

განა შენ დიდი სიყვარულის არა ხარ ღირსი?
რით ხარ ღარიბი, რა სიკეთე არ გაბადია?
ვერ დაგივიწყებს ის, ვინც ერთხელ აქ გაათია,
შენი მშვენება ელანდება ღამით და დღისით.
ღმერთს რომ ეძებნა სამოთხისთვის ტურფა ადგილი,
არ იქნებოდა შენზე კარგის პოვნა ადვილი.
განა შენ დიდი სიყვარულის არა ხარ ღირსი?

შენ სამოთხე ხარ, მაგრამ ფასი ვინ იცის შენი?
საქმე გვგონია თვით შენ შვილთაც დასაძრახველი,
ზოგჯერ ამაყად რომ ვახსენოთ შენი სახელი.
იქნებ შენს დიდ განძს ვერა ფლობენ შენივე ძენი?

იქნებ ეგ მთები არ იციან, ან ეგ ველები,
სავსე სიმდიდრით, სიტურფით და საკვირველებით?
შენ სამოთხე ხარ, მაგრამ ფასი ვინ იცის შენი?

ჰოი სამშობლოვ, ჩვენ აქ ვცხოვრობთ, ვით უცხოები,
შენი მშვენება არ გვაღელვებს, სულ არ გვაკვირვებს,
უყვარხარ ალბათ ჩვენზე მეტად მთებში ნადირებს,
ჩიტიც გადიდებს, ჩვენ კი ვდუმვართ, ვით უხმოები.
ჩვენ ვერც ვარდს ვამჩნევთ, ვერც ცის ლაქვარდს, აღვსილნი
შურით,

ჩვენ შენგან გვინდა მხოლოდ ბინა და მხოლოდ პური...
ჩვენ აქ მოვკვდებით, ჰე მამულო, ვით უცხოები.

როდოპის მთები

როდოპის მთებო! დევებივით მხარგაშლილებო,
ცაში გრანიტის მწვერვალებით ავარდნილებო!
სიმკაცრით თქვენით რატომ სტკბება თქვენი მჭვრეტელი?
მწვერვალთა წყება მედიდურად ცად აზიდულა
და ჩვენს თვალთაგან უცხო ქვეყნებს ჰფარავს დიდგულად
თქვენი კედელი!

თქვენს საოცრებას სულ ვუცქერდე ასე ნეტავი,
კლდეების ჯაჭვი რომ გევლებათ ცის გამკვეთავი,
როგორ შორს სწვდება კუშტი მზერა თქვენი მეფური,
თქვენი თოვლ-ყინვის ალმასები თვალს ვით აბრმავებს,
ვით აუსვრიათ სატევრები ცაში ნაპრალებს
ელვისებური.

უცხო ყვავილთა გვირგვინს გიწნავთ თქვენ გაზაფხული,
დგახართ მშვენიერ ენძელებში კალთებჩაფლული
და იმ დროს, როცა ქარიშხლისგან შუბლმოღრუბლული
ეგ მწვერვალები ირყევიან ქარით და თქეშით,
ძირს, ხეობაში, ნელი სიო დაჰქრის და ტყეში
მღერის ბულბული.

გუგუნებს ტყე და მთის მდინარე ხევში გაჰყვირის,
ჩიტი ბუდეში მხიარულობს, ტყეში — ნადირი.
ზვიადი მთების ბრწყინვალებით აღტაცებული,
და ეს სამყაროს ყველა ხმა და ჰანგი ყოველი
შენსკენ მოილტვის, როგორც ერთი საგალობელი —
ჰიმნადქცეული.

ცული არ ელავს შენს გაუვალ ტყეების ჩრდილში,
გარეულ ტახებს მონადირის არა აქვს შიში,

ირმებს სიმშვიდეს არვინ უფრთხობს, ჩიტს მოსვენებას,
თავისუფლება განუყოფლად სუფევს ნამდვილი,
და მხოლოდ ზოგჯერ გაიელვებს კაცის აჩრდილი,
ვით მოჩვენება.

მთის ძირას ყველგან წყარო მოსჩქეფს კლდეში ნადენი,
იქ უბრალო ხალხს გაუზრდია გმირი რამდენი,
ენა წმინდაა მათი, როგორც მთის ნაკადული,
მათ თქმულებებში დღემდე ცოცხლობს დრო შორეული
და უსახელო ხეობებში რულმორეული
სუნთქავს წარსული.

როდოპის მთებო, ხართ სავსენი იდუმალებით,
ქაოსისაგან გაფანტულნი, მიუვალები,
მწვერვალებს ბოლო აღარ უჩანს, ტყეებს — ნაპირი,
დაქანებული ნაპრალები უფსკრულს ჩასცქერენ,
და ხევში, თითქო ბანს აძლევდეს ბროლის ჩანჩქერებს,
ღმუის ნადირი.

კლდეზე მიდგმულ კლდეს მისადგომი არ უჩანს არსად,
დგანან ტყეებით დაფარული კოშკების მსგავსად,
და ლაბირინტს ჰგავს ბუნებრივი კლდეთა ნაკრძალი,
მათ შეაჩერეს წამოსული მტერი წყვეტებით,
ბატაკის მხრიდან ავარდნილი ცეცხლის სვეტები
და ნახანძრალი.

როგორ იწოდა, რა ძლიერი იყო ხაწძარი,
ცა წითლდებოდა და გაჰქონდა ქვესკნელს ზანზარი,
იდგა ბატაკი დაფერფლილი და გაძარცული,
თოკზე ჰკიდებდნენ დიდს და მოზარდს კაცის მკვლელები,
წიოდა ჩვილი, დედისაკენ გაწვდილ ხელებით,
ხიშტზე აცმული.

გრანიტის მთებო, თქვენ სურათი ნახეთ დიადი,
როგორ დაიფშვნა ძალადობის ზვავი ზვიადი,

და თოვლზე დარჩა კვალი სისხლის გამომსახველი,
მაშინ გაისმა ქვეყნისათვის ჯერ უცნაური,
ძლიერი, როგორც ჩანჩქერების ცივი ხმაური —
შენი სახელი.

თქვენი ოხვრის ხმამ, მეხის მსგავსმა, შესძრა ტყე-ველი,
და ეს ხმა იყო მტრის დამხობის მაუწყებელი,
უკან გარბოდა თურქთა ბნელი ურდო ჭენებით.
დღემდე გაისმის ეხო მთიდან მთაზე დახლილი,
ძლიერი ეხო, ვით ფეხის ხმის გამოძახილი
მათი ცხენების.

თქვენ გახსოვთ დიდი გამარჯვება, თოფის გრიალი,
ხალხმა ბორკილი რომ დალეწა ოხერ-ტიალი,
„თავისუფლებას“ გუგუნებდნენ პირველად მთები,
როცა არწივმა მოძალადეს დასცა თავზარი,
და დილით მთების ზემოთ, მაღლა, უზარმაზარი
გაშალა ფრთები.

1882

თავისუფლება ან სიკვდილი

გვეყო მოთმენა! მოვიპოვებთ ბრძოლით სამართალს,
კმარა, რაც თურქის ხმალმა ჩეხა ჩვენი სხეული,
ტანჯულმა ხალხმა გამარჯვების დროშა აღმართა,
რომ დაიღუპოს ან დაამხოს მტერი წყეული.

სჩქეფს სისხლის ღვარი, ელავს ხმალი, ისმის ყიჟინა,
აღსდგნენ მონები, რომ მტარვალნი მოსპონ გულქვანი,
ასეულ წლობით დაგროვილმა ბოღმამ იგრგვინა
და თავს დაატყდა მტერს სახალხო რისხვის ვულკანი.

ნახევარ მთვარეს ებრძვის ჯვარი თავგანწირული,
მაღალ ბალკანებს აზანზარებს ქარის თარეში,
ძგერს ვაჟკაცურად ბულგარელთა გული გმირული
და „ბულგარეთი“ ისმის ქვეყნის ყველა მხარეში.

შენ, ჩემო ჩანგო, არ შეწყვიტო საბრძოლო ჰანგი,
დე ეს გმირული სული შერჩეს ჩვენს ხალხს ბოლომდის,
რომ არ მოედოს ხმალს შემართულს მტარვალზე ჟანგი
და მზემ გვაუწყოს საუკუნოდ დანთქმა ბოროტის.

მაგრამ მოსისხლეს მორევია ბრაზი მხეცურად,
თავისუფლებას ყელში სწვდება წარბშეუხრელი,
ხოცვით, ჟლეტით და ნგრევით ცდილობს ადრინდებურად,
ამბოხებულ ხალხს კვლავ დაადგას ქედზე უღელი.

გვიცქერს ევროპა არხეინად ახლა, როდესაც
სისხლისგან დაცლილს მტერი გვიტევს ხმალამოწვდილ,
გვიცქერს და შველას არ გვპირდება მცირეოდენსაც,
რომ მოვიცილოთ სამარცხვინო მონის ბორკილი.

ᲨᲐᲗ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲣᲮᲕᲔᲭᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ, ᲛᲢᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲐᲙᲚᲔᲑᲐ,
ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲒᲕᲡᲣᲠᲡᲝ, ᲒᲐᲭᲧᲕᲘᲠᲘᲐᲜ, ᲓᲐ ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲘᲗ
ᲗᲕᲐᲚᲡ ᲒᲕᲐᲠᲘᲓᲔᲑᲔᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲔᲜᲐᲦᲕᲚᲔᲑᲐᲗ
ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲒᲕᲡᲠᲔᲡᲔᲜ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲡᲛᲔᲚᲘ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲚᲐᲕ ᲮᲐᲚᲮᲡ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲡᲢᲔᲮᲐᲕᲡ ᲓᲐᲠᲢᲧᲛᲐ-ᲬᲒᲠᲔᲕᲐᲜᲘ,
ᲘᲒᲘ ᲩᲐᲒᲕᲠᲐᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲚᲙᲚᲓᲔᲕᲓᲐ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲘ ᲬᲠᲗᲝᲑᲘᲚᲘ,
ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ:
ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲜ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘ!

ა ჯ ა ნ ყ ე ბ ა

ძმებო, დაეცით ძნელ ბრძოლაში უტეხი რწმენით,
ჩვენს ხალხს სახელი თქვენი დარჩა გმირთა სახელად,
თქვენ მოგკლეს, მაგრამ არ მოკვდება სახელი თქვენი,
ვინც თავი დასდეთ მშობელ ქვეყნის გამოსახსნელად.

თქვენ სიჭაბუკე სიცოცხლის და ლხინის მდომელი
დასთმეთ, რომ მტერი გაგეთელათ გარსშემორტყმული,
და სისხლით მორწყეთ მშობლიური მიწა, რომელიც
ცოცხლებს ცრემლით და ოფლის ღვარით გქონდათ
მორწყული.

დიადი იყო, მაჭარივით დაუდუღარი,
ეს ამბოხება, რომ დაგემხოთ თურქი მზეპნელი,
დაჰკრა საათმა, ხალხი აღსდგა, რისხვით მქუხარი,
აღტაცებული, სასტიკ მტერზე შურისმგებელი.

საღვთო ომისკენ მოუხმობდა თქვენი ნაღარა,
ლომდახატული წაიმძღვარეთ დროშა ნაცადი,
და მოწმე გახდა ბალკანების მთები ჭაღარა,
როგორ ღებავდა კლდეებს მტრების სისხლის ნაკადი.

როგორ უტევდით, ედებოდა ჩვენს გულებს ალი,
თქვენგან დანთებულ ცეცხლის ალი, ცამდის ასული,
და მიხვდა მაშინ დამპყრობელი მოსისხლე, მხდალი,
რომ ახლო იყო საშინელი დღე აღსასრულის.

ისმოდა ყკელგან „ბულგარეთი აღსდგა და გრგვინავს!"
ტყეებში ეხო ტრიალებდა ბრძოლის ძახილის,

რაკოვსკის ჩასწვდა ბრძოლის ზათქი მიწაში-მძინარს,
ჰაჯი დიმიტრიმ კვლავ აიღო ხელში მახვილი,

მაგრამ მწუხარე საფლავები თქვენი სად არი.
რატომ არ ჩანან სამარეთა ბორცვნი მომცრონი,
იქ, სადაც დასცა მტერს გმიროშამ თქვენმა თავზარი
და სიკვდილს შევხვდით უშიშარნი, ვით უხორცონი,

თქვენს სახელს ხომ არ ამცნობს მნახველს ძეგლი მარმარის,
შამბმა დაჰფარა, თუ გვირგვინი ადევს დაწნული,
ნაზის ხმით ხომ არ იფანტება მწუხრი სამარის,
ან დილის ნამად ცრემლს თუ აფრქვევს ვარდზე ქალწული?

თქვენ დუმხართ, თქვენგან ჩემს კითხვაზე პასუხს არ ველი,
ხეობებს ვკითხავ მე თქვენს ამბავს, დაბურულთ მკაცრად,
თქვენს სათქმელს მეტყვის აკლებული ჩვენი მთა-ველი,
ჩვენი სოფლები — ხანძრებისგან ქცეული ნაცრად,

უთანასწორო იყო ბედთან თქვენი ჭიდილი.
დაეცით, თუმცა უკვდავება შეგრჩათ ბეგთარად,
წყლულიც იგემეთ, განსაცდელიც, ძნელი სიკვდილიც.
მაგრამ სირცხვილი სიახლოვეს ვერ გაგეკარათ.

მოჰქუხს იანტრა ამღვრეული და შესაზარი,
ჯაგარაშლილი გარეული შლეგი ტახივით,
მოაქვს ტრიალით ხის მორები უზარმაზარი
და გაცოფებით, ქაფმომდგარი ველებს გაჰყივის,

ქანცგაწყვეტილნი, ნაომარნი დღისით და ღამით,
გაწამებულნი მტრისგან დევნით წყლულით, შიმშილით,
ნაგიჟებული მდინარის პირს მოადგა სამი,
თავგანწირული სამი გმირი მამულიშვილი*.

---

* სამი გმირი — იგულისხმება აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ვოლოვი და ორი მისი თანამხლები.

ესმით მტრის ცხენთა თქარათქური. რომ ახლოვდება,
ხედავენ, როგორ მიდის ტალღა ყალყზე ამდგარი,
სალი კლდეები დალეწილი მოაქვს ლოდებად
და გამძვინვებულს საშინელი გააქვს დგანდგარი.

ისმის კივილი — ჩერქეზები ოთხით მოდიან,
უკან სირცხვილი, წინ იანტრა შავად მოღელავს,
და ასარჩევად მესამე გზა უკვე როდია:
წინ — წყლისგან დანთქმა, უკან — ციხე და სახრჩობელა.

„ძმებო! — შესძახა ამხანაგებს ვოლოვმა მტკიცედ. —
მდგომარეობა ჩვენს არჩევანს თავად კარნახობს:
სჯობს თავი ჩვენვე ადიდებულ მდინარეს მივცეთ,
ოღონდ შერცხვენა მტრისგან ჩვენი ხალხმა არ ნახოს!"

სამივე ერთად მოსწყდა ადგილს, ეს თქვა თუ არა,
სამივეს თვალებს დაეფარა წამსვე უკუნი,
ცივმა იანტრამ შმაგი ტალღით გადაუარა
და კვლავ გაქანდა შურდულივით თავქვე გუგუნით.

ისევ აჩნია ვესლეცს* სისხლი... უდაბნო ველი...
დუმს ბულგარეთის დამარცხების მოწმე რომ არი,
შენ გახდი ჩვენი იმედების საფლავი ბნელი,
შენ გამოგვტაცე გმირთაგმირი სწორუპოვარი.

გვითხარ, სამყაროს შავი ღამე როდის დაჰფარავს,
ნადირი როდის წაიძინებს, ჩადგება ქარი,
ნუთუ არ გესმის, როგორ დაძრწის მიუსაფარად
ვიღაცის სული, რომ იპოვოს სამარის კარი?

სასტიკი ომი სისხლისაგან იყო დამცლელი,
ბულგარეთისთვის ვაების და ცრემლის მომტანი,

---

* ვესლეცი — ადგილის სახელწოდება.

თურქნი იცავდნენ ტირანიას, ხოლო დამცველნი
თავისუფლების — ბულგარელნი იყვნენ ცოტანი.

კვამლი ჰფარავდა მოგუგუნე ბალკანებს ზვიადს,
ცა ბნელდებოდა, იქცეოდა სამყაროს ბჭენი,
ამ დიდ გრიგალში უცებ, წამით გამოტყვრა ტყვია
და ძირს დაეცა ჩვენი გმირი, ბოტევი ჩვენი.

დაეცა, სისხლში იწვა გმირი თვალმიხუჭული,
გაფითრდა მთლად და, სილურჯემ რომ გადაჰკრა ტუჩებს,
წამით შეირხა, რაღაც ეთქვა სწადდა ჩურჩულით,
მაგრამ ბაგესვე შეეყინა სათქმელი უცებ.

იქნებ ეძახდა — არ უსმენდა მშობელი მხარე,
იქნებ რამე თქვა მოძმის გვერდზე თავის მინდობით?
იქნებ უნდოდა გადმოეცა ტკივილი მწარე?
ან მშობლიური ცისთვის სურდა ეთქვა „მშვიდობით“?

იქნებ სწყეულიდა ბედს, ჭაბუკი რომ მოჰკლა ასე,
თავის რაზმელებს მოუხმობდა იქნებ ქომაგად,
რათა დაედოთ მტკიცე ფიცი, მუქარით სავსე,
საზიზღარი მტრის რომ აეღოთ სისხლი ორმაგად?

დაეცა იგი! მშობელ მხარეს შესწირა თავი,
ქვეყნის წინაშე შეასრულა ფიცი მხედრული,
მან სიცოცხლეში არ იცოდა მტარვალთან ზავი
და ისე მოკვდა, თავის დროშის დარჩა ერთგული.

რა მძიმე არი დანაკარგი, რამდენ სურვილთა,
რამდენ იმედთა დატირება ბედმა გვაღირსა,
დიდსულოვანნი გმირნი გაწყდნენ გმირულ სულითა,
შეწყვიტა ფეთქვა მათმა გულმა, გულმა ხალხისამ.

ბოტევს, ბენკოვსკის, კაბლეშკოვსაც, ვოლოვსაც*, ყველას,
საფლავის მიწა ჩაეხვია ბინდში მკოცნელად,

* ბულგარეთის აჯანყების მეთაურები.

რამდენი მტკიცე გული დნება მიწაში ნელა,
ომის ქარცეცხლმა რაოდენი გმირი მოცელა.

მხეცის ბრჭყალებში ბრძოლა იყო მონისთვის ძნელი,
რას გახდებოდა მეამბოხე შიშველი ხელით?
ეძახდნენ მშველელს, არსაიდან გამოჩნდა მხსნელი
და ცეცხლს გულისას აცივებდა სიკვდილი ბნელი.

მატულობს კვნესა... ურდოს მოაქვს სიშავე ღამის,
სირცხვილი, ნგრევა და მხეცობა შესაჩვენები,
დასჯილთა სისხლში ბულგარეთი ჩაიხრჩოს ლამის
და მთის მწვერვალებს ლამის მისწვდეს ცეცხლის ენები.

ჩვილ ბავშვებს სრესენ, მირეკავენ ქალებს ტყვეებად,
ო, ბალკანებზე ჯოჯოხეთის შავი ბინდია,
სახრჩობელები აღმართულან ირგვლივ ტყეებად
და გრძელ მარყუჟზე ჩამომხრჩვალი ლევსკი ჰკიდია.

უნდა დაღვაროს ხალხმა სისხლი, სხვა გზა არ არის,
დე ადიოდეს ხანძრის ბოლი ცაში ღრუბლებად,
ჩვენ გვინდა დამპყრობს გამოვსტაცოთ ჩვენი მთა-ბარი
და მოვიპოვოთ სანატრელი თავისუფლება.

სავსე ფიალა მოთმინების ჩვენ შევსვით ზიზღით,
რკინის ბორკილის დალეწვაა ახლა საჭირო,
და რომ სირცხვილი მოვირეცხოთ ჩვენივე სისხლით,
თავისუფლების გულისათვის თავი გავსწიროთ.

უკვე ბრწყინდება მზე, ბინდბუნდში ძლივს რომ ელავდა,
სისხლიან მთა-ბარს დაფრქვევია შუქნი მზისანი,
ანგრევენ სერბეთს, ნანგრევებად იქცა ელადაც,
მაინც მაღალი მიღწეული არის მიზანი.

ვძლევთ ჩვენს მჩაგვრელებს, კმარა, აღარ დავიღუპებით,
ახალგაზრდული ძალა გვაქვს და ვართ მამაცები,

ძალ-ღონეს გვმატებს ჩვენ წყურვილი თავისუფლების
და მიტომ ვიბრძვით თავდადებით და გატაცებით.

დავამსხვრევთ ხუნდებს, გზას გავიკვლევთ ბნელში მახვილით
მოსისხლეს რისხვა დავატეხოთ იმ გმირთა დარად,
ვინც ბრძოლის ველზე ეცემოდა ერთი ძახილით:
„ჩვენ მოვკვდეთ, ოღონდ ბულგარეთმა იცოცხლოს მარად!“

ბულგარეთს

ო, ბულგარეთო, შენს მთებს და ველებს
მე ვუმღერ ისევ, მშობელო მხარევ,
მე ვუმღერ ისევ შენს შეკრულ ხელებს,
სისხლს, რაც მკერდიდან ღვარე და ღვარე.

მე ვუმღერ ისევ შენს მწარე ქვითინს,
უსაზღვრო გლოვას მაგ ცის და მიწის,
წამების გვირგვინს, ეკლიან გვირგვინს
შენს თავზე ახლა ცეცხლად რომ იწვის.

დე ვიყო ასე შორს განდევნილი,
მე მაინც ვხედავ, მე ვხედავ ყველას
და შორი მხრიდან, ცრემლდადენილი,
შენს მტანჯველ ტირანს ვუგზავნი წყევლას.

მიიღე ჩემი ხმატკბილი ჰანგი
მაგ სევდიანი ძახილის წილად,
შენდამი ტრფობამ დაბადა იგი,
ვით შენ დამბადე შენს ერთგულ შვილად.

სარჩევი

მთარგმნელისაგან 5

ადამ მიცკევიჩი

ოდა ახალგაზრდობისადმი 7
ალბომში ს. ბ.-ს 10

იან ნერუდა

მხოლოდ წინ . . 11
•••(ბედო, თუ გინდა...) . . 14
•••(ურიცხვ ვარსკვლავთა წარწერას...) 15
სიყვარული 16

შანდორ პეტეფი

ჩემი საუკეთესო ლექსი 19
ვარდი ხარ? 20
საამო ღამე 21
შორიდან 22
ჩემი საფლავი . 25
ღრუბელი და ვარსკვლავი 26
შევსვათ 27
ყანჩა 28
პავლე პატო 33
სიზმრები 35
ბორკილები . . 36
მე ერთი ფიქრი მაწუხებს 37
ერთი ზამთარი დებრეცენში 39
მესიზმრა ომი 41
ჩემი სიმღერები 42
ღრუბლები . 44
მთის მდინარედ გადავიქცევი 46
შენ გაზაფხული გიყვარს 48
უნგრეთის ერი 49
მიყვარხარ . 51
როგორ მიყვარხარ! 54

მე რა გიწოდო? 55
შავ-წითელი დროშა 57
ერისადმი 59
აი ჩემი მშვილდ-ისარი 62
საბრძოლო სიმღერა 64
საშინელი დღეები 66
ავსტრიისადმი 68
მივდივარ, ჩემთან არა ხარ შენა 70
სამშობლოში 71
ისევ შემოდგომა 73
სახრჩობელაზე ხელმწიფეები 75
ისევ ტოროლა დამმღერის თავზე 77
მშობლების სიკვდილზე 79
პატრიოტული სიმღერა 81
იანოშ რაინდი 83

მიხაი ემინესკუ

უცხოეთიდან 170
უკანასკნელი სურვილი 172
მუსიკოსის სიმღერა 174
რამდენი ანძა 176
მწვერვალებზე 177
ვარსკვლავის შუქი 178
დედა 179
ღამე 180
ტბა 181
როცა შენ მაგონდები 182
მარტოობა 183
ისევ ის ქუჩა 185
შორსა ვარ შენგან 187
***(გავიდა ხანი...) 188
როგორი არის ცხოვრება და როგორი უნდა იყოს იგი 189
არ ჩანხარ შენა 192
პაემანი 193
წერილი მესამე 195
ლუჩაფერი 204

ქრისტო ბოტევი

ჩემს პირველ სიყვარულს 216
დედაჩემს 219
ძმისადმი 220
ძმური განაწილება 221
265

ჰაჯი დიმიტრი 222
გამოსალმება 224

ივანე ვაზოვი

*** (ბოლო ექნება...) 228
ჩემი სიმღერა 229
პოეტისადმი 231
დაუსრულებელი სიმღერა 232
სევდა სამშობლოზე 233
ცოცხალი მატიანე 234
არა, არ ჰქრება ჩაუქრობელი 235
ბულგარული ენა 237
მეოცე საუკუნე 239
ბულგარეთის ძეგლები 240
რადეცკი 244
ის არ მოკვდება 248
ჩემო სამშობლოვ, რა კარგი ხარ, რა დიდებული! 250
როდოპის მთები 252
თავისუფლება ან სიკვდილი 255
აჯანყება 257
ბულგარეთს 263

რედაქტორი ც. ჯაფარიძე
მხატვარი გ. გორდელაძე
მხატვრული რედაქტორი ფ. დუნდუა
ტექრედაქტორი ვ. ხეცურიანი
კორექტორი ე. ბეწულელი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII-65 წ.
ქაღალდის ზომა 84 × 108¹/₃₂. ნაბეჭდი თაბახი 13,74.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 10.07.
ტირაჟი 7000. შეკვ. № 588.
ფასი 79 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

*

სტამბა № 1 თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.
Типография № 1. Тбилиси, Орджоникидзе № 50.